

# აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის ორ თვეში ერთხელ

5

ნოემბერი – დეკემბერი

თბილისი

2016

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოღებული  
მის თემის ძლვენი” (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წ.

მაგალითობურას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი

ნანა ყანცაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე



არაბული ლიტერატურა

## მიხაილ ნუაიმე (1889 – 1988)

მიხაილ ნუაიმე – ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული ლიბანელი მართლმადიდებელი პოეტი, ესეისტი, მწერალი და დრამატურგი, ახალი არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლისა და მაჰჟარის (მეოცე საუკუნის და-საწყისში ამერიკაში არაბული ემიგრანტული ლიტერატურის) ცნობილი წარმომადგენელი, საზოგადოება „არ-რაბიტა ალ-კალამიას“ დაარსების ერთ-ერთი მოთავე და სულისჩამდგმელია.

1932 წელს მიხაილ ნუაიმე მშობლიურ ლიბანში დაპრუნდა და თავი ლიტერატურას მიუძღვნა.

## სამოცდაათი ცელი

არ გაგიჭირდება ამ ორი სიტყვის წარმოთქმა, არც ამ წლების პირველიდან სამოცდაათამდე გადათვლა გაგიძნელდება, მარტივად გამოთვლი, რამდენი თვე, კვირა, დღე, საათი, წუთი და წამია მათში. თუმცა შენ უძლური ხარ, დაბრუნდე წარსულში, გაიხსენო თითოეული წამის გაელვება, თუ როგორ მისდევდნენ ისინი ერთმანეთს გაელვებიდან გაელვებამდე, რა მოგიტანეს მათ შენ – შთაგონება, წარმოსახვა თუ განცდა; ყველაფერი ის, რითაც შენ შეავსე ისინი – შეგნებული თუ გაუაზრებელი სულიერი ლტოლვით, ფარული ზრახვებითა და სურვილებით, ოცნებითა თუ სიზმრით, სიამოვნებითა თუ მწუხარებით და ყოველივე იმით, რაც დაგიმალავს ადამიანების-თვის ან გაგიმულავნებია მათვის ნებით თუ უნებლიერთ.

ყოველ მცდელობაზე, უამბო შენი ცხოვრების სულ რაღაც ერთი საათი საკუთარ თავს ან სხვას, შენ ხარ მატყუარაც და მოტყუებულიც, ვინაიდან შენ ვერ შეძლებ, მოყვე მცირედიც კი; მაშ, როგორ შეძლებ, გადმოსცე სამოცდაათი წლის ისტორია!?

როგორ შეძლებს შენი მეხსიერება, აღიდგინოს ის ყოველივე, რაც შენს თვალებს უნახავს ამ სამოცდაათი წლის მსვლელობისას, ყველა ის სურათი, სცენა და გამოსახულება – მთელი თავისი მოცულობით, ფერებითა და გარემოებებით, რომლებშიც ისინი არსებობდნენ?! ფანჯრიდან ერთი გადახედვითაც კი, – ერთი მზერის მოვლებით, – უფრო მეტს ხედავ, ვიდრე შენს ცნობიერს შეუძლია აღიქვას და დაიმახსოვროს!.. და რას მეტყვი იმაზე, რაც გინახავს სამოცდაათი წლის განმავლობაში?! რას მეტყვი იმის შესახებ, რაც გინახავს დედამიწაზე – ადამიანებზე, ცხოველებზე, მცენარეებზე, წყაროებსა თუ ქვებზე ან იმაზე, რაც ცაშია – ვარსკვლავებზე, მზეზე, მთვარეზე და ირმის ნახტომზე და იმაზე, რაც დაწერილა წიგნებში – ასოებზე, სიტყვებზე და მათ გამოთქმებზე?!.. და რას იტყვი იმაზე, თუ როგორ იმოქმედა ამ ყოველივემ შენს სულიერ სამყაროზე მათი დანახვისას და შემდგომაც, მომდევნო დღეებში?!

როგორ შეძლებ, სმენით გაიმეორო ყვე-

ლა ის ხმა, რომელიც მოგისმენია და აღიდგინო მექსიერებაში ყველა ის შეგრძნება, რომელიც ამ ხმებს გამოუწვევია? – სიხარული ან უკმაყოფილება, სიმშვიდე ან აღელვება, ბედნიერებით გაპრუება ან შეძრნუნება, დაინტერესება ან გულგრილობა...

როგორ შეძლებ, დათვალო ყველა ნაბიჯი, რომელიც შენს ფეხებს გადაუდგამთ და ყველა ის საგანი, რომელსაც შენი ხელები შეხებია; ყველა სურნელი, რომელიც შეგისუნთქავს და ყველა ის საკვები, რომელიც შენს ბაგეს უგემია?!.. ან როგორ დათვლი ყველა იმ საჭმელსა და სასმელს, რომელიც ჩასულა და გამოსულა შენი კუჭიდან?!..

მკითხველო, უმრავლესობა ამ ყველაფრისა, ისევე, როგორც სხვა ათასი ბენვისოდენა წვრილმანი, რისგანაც შედგება შენი და ჩემი ცხოვრება, ილექტა სადღაც, მეხსიერების სილრმეებში, სადაც შენი სურვილისამებრ ჩაღწევა ძალზე რთულია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ. ისინი მუდამ იქ არიან, ჩვენს ყველაზე ღრმა და გასაიდუმლოებულ „მე“-ში, მთელი თავიანთი სიზუსტითა და სისწორით. ჩვენ მოვიცავთ რეესტრს ყველა იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც კვალს ტოვებს ჩვენი ცხოვრების თითოეულ ფურცელზე. ჩვენ ვავსებთ ამ რეესტრს, მაგრამ იშვიათად გვამახსოვრდება და ვაცნობიერებთ იმას, თუ რა ვწერთ იქ და თუ გვამახსოვრდება და ვაცნობიერებთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ მცირედი ნაწილია და სწორედ ეს მცირედი ნაწილი წარმოადგენს იმის გასაღებს, რაც ჩვენთვის დახურულია და ჩვენი ცხოვრების ძირითადი მიზანია, დავხვენოთ ამ გასაღების გამოყენების ცოდნა.

თუმც მე არ ვისწრაფი ამ გასაღების ფლობისკენ, ვძედავ, გავრისკო. მსურს, მკითხველთან ერთად ვიმოგზაურო იმ ხანმოკლე თუ ხანგრძლივ ცხოვრებაში, რომელიც წილად მხვდა მე დღევანდელ დღემდე და წინასიტყვაობას, რომელიც წინ უძღვის ამ მოგზაურობას, აქვს მხოლოდ ერთი მიზანი – ვუთხრა მკითხველს, არ იფიქროს, რომ ყოველივე, დაბეჭდილი ამ ფურცლებ-

ზე, არის ის, რაც ამ სამყაროში ცხოვრების სამოცდაათმა წელმა ჩაწერა ჩემს რეესტრში. რასაც მკითხველი წაიკითხავს, მხოლოდ ჩემი ცხოვრების მონაკვეთებია, სავარაუდოდ, არცთუ ისე მნიშვნელოვანი, მაგრამ ისინი ქმნიან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას მოიცავს ჩემი არსებობა, ისევე, როგორც რუკა იძლევა წარმოდგენას ამა თუ იმ მთის მოცულობისა და სიმაღლის შესახებ, ან სხვადასხვა მდინარის მიმართულებებსა და სიგრძეზე; თუმცა რუკა ვერ შეგიქმნის წარმოდგენას იმ ხევების, კლდეების, ფერდობების, საბადოების, მცენარეებისა და ცხოველების შესახებ, რითაც ეს მთაა მდიდარი; ვერ გეტყვის, რამდენი წვეთია მდინარემი, როგორი წყალმცენარეებია მის ფსკერზე, რომელი თევზი ბინადრობს იქ; ვერ მოგიყვება ქვიშებსა და ტყეებზე, რომლებიც მის ნაპირზეა და ვერც ცასა და ჰაერზე, რომლებიც მის თავზეა.

მაშ, რითა გამოწვეული ეს სარისკო მცდელობა?! მე ხომ არაფერი მაიძულებს ამის გაეტებას!

მე შემიძლია დავწერო ეს წიგნი, მაგრამ შემიძლია, არც დავწერო.

თუმცა ჩემი ხასიათი მაიძულებს, მივყვე ქრისტეს აღთქმულ გზას; ქრისტესი, რომელმაც თქვა: „მიეცით კეისარს კეისარისა და ღმერთს – ღმრთისა“. მე ვაძლევ ადამიანებს ჩემი ცხოვრების ნაწილს, ან იმას, რასაც მე ვეძახი ნაწილს. მე ვაძლევ მათ ჩემი გულისა და გონების საზრდოდან იმას, რაც მგონია, რომ ასაზრდოებს მათ გულებსა და გონებას.

რაც შეეხება ჩემს პირად ცხოვრებას, როგორ მოვიპოვებ ჩემს სარჩოს, რას ვჭამ, ვსვამ ან ვიცვამ, როგორ მძინავს, ვიღვიძებ და ვმუშაობ, ვინ არიან ჩემი დედ-მამა, დაძმები, შვილები, ბაბუები, ბებიები, ბიძები, დეიდები და მამიდები, ვინ არიან ჩემი მეგობრები და მტრები, როგორ ვექცეოდი მე მათ ან როგორ მექცეოდნენ მე ისინი; რაიყო ჩემსა და იმ ქალებს შორის, რომლებიც მე მიყვარდა და რომელთაც მე ვუყვარდი, როდის ვდარდობდი და ვტიროდი, ან ვმხია-

რულობდი და ვიცინოდი... რაც შეეხება ამ ყოველივეს და ბევრ სხვა ამგვარ გარემოებას, ვფიქრობ, მკითხველი ვერ მიიღებს სარგებელს ამგვარი წვრილმანების ცოდნით და არასოდეს დავწერ ამის შესახებ, მხოლოდ ხანდახან თუ შევეხები ამ თემებს ზოგიერთ სტატიასა და ჩემს ახლო მეგობრებთან და ახლობლებთან მიწერილ წერილებში.

თუმცა ჩემი ცნობისმოყვარე მკითხველი, რომლის ცნობისმოყვარებაც სრულიად საპატიოა და მადლიერების ღირსი, არ ისურვებს, დასჯერდეს მხოლოდ ჩემს სულიერ ცხოვრებაში შემოჭრას. მას აინტერესებს ის ნიადაგი, რომელშიც აღმოცენდა ჩემი ფიქრები, ატმოსფერო, რომელშიც ისინი ყალიბდებოდნენ, საძირკველი, რომელზეც დაფუძნებულია ისინი და ის სირთულეები, რომლებსაც ისინი გადასწყდომიან, გადაულახვათ ან დღემდე ვერ შეძლეს მათი გადალახვა, როგორ შეესაბამება ჩემი ცხოვრება ჩემს ნააზრევს ან რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან. მკითხველს სრული უფლება აქვს, იცოდეს ყველაფერი, ჩვენ ხომ თანამგზავრები ვართ ცხოვრების მაცდურ გზაზე! თანამგზავრები იმათი ცხოვრების უსასრულო გზაზე, რომლებიც საკუთარი თავის მარადიულ ძიებაში არიან; ისინი არიან მაძიებელნი ამ ცხოვრებაში თავიანთი დანიშნულებებისა და მათ სჯერათ, – მართებულად თუ შეცდომით, – რომ მე მათზე უკეთ ვიცი ეს გზა; მისი მიხვეულ-მოხვეული ბილიკები, მოლიპული ადგილები, ხევები და მის გაყიდებაზე არსებული მშვიდი, მყუდრო სადგომები, სადაც იშვიათად თუ შევა მგზავრი. ვიცი, თუ რა არის აუცილებელი ამ გზაზე მიმავალთათვის და ვიცი იმ მთავარი სადგომის შესახებ, რომლითაც მთავრდება ეს გზა და მის შემდეგ არც გზაა და აღარც მგზავრები.

საიდან გაუჩნდა მკითხველს ჩემი ცოდნის ეს რწმენა, ამ კითხვაზე პასუხი მეც მაქვს და მათაც. იმიტომ, რომ თითქმის ნა-

ხევარი საუკუნეა, ვუძლვნიდი მათ ჩემი კალმის შემოქმედებას, თუმცა მათ არ უთხოვიათ ეს ჩემთვის. მე დაუპატიჟებლად ვჩნდებოდი მათთან და მათ კი მიიღეს ეს უდიდესი საჩუქარი ჩემგან; ისინი ჩემსავით გრძნობდნენ, რომ ეს შემოქმედება შესისხლხორცებულია ცხოვრებასთან, შესისხლხორცებულია მათთან და ჩემთან, გამოწრთობილია მათი გულის ცეცხლზე.

აი, რას მწერს ერთ-ერთი მკითხველი კაიროდან: „გულწრფელად გეუბნები, ჩემი შენდამი სიყვარული ბევრად ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სულიერისადმი, უფრო მეტიც, ვიდრე საკუთარი მამის მიმართ, ვინაიდან შენ ხარ ჯადოქარი, ხარ მამა, ძმა და მეგობარი“.

აი, კიდევ ერთი, უკვე ბასრადან: „მე ძალიან დავალებული ვარ შენგან... შენ ჩემი პირველი მასწავლებელი ხარ და ყოველთვის პირველი იქნები, შენ დარჩები ჩემს სულში სამუდამოდ და უკვდავად – ჩემს გულში და შენ იქნები მარად ჩემი მეგობარი“.

აი, რას მწერს გოგონა ჰამადან (სირია): „მე თავს ბედნიერად ვგრძნობ მოკვდავთა შორის, როდესაც სიამოვნებითა და სიყვარულით ვფურცლავ თქვენს წიგნებს; მე გადავდივარ სამყაროში, რომელიც მხოლოდ მძაფრი შეგრძნებით შეიძლება განიცადო“.

სხვა გოგონა მოსულიდან (ერაყი): „როგორ მინდა, რომ დედამინა შემობრუნდეს ჩემს ფეხებქვეშ და მე წარვდგე თქვენ წინაშე ისე, როგორც ამ წუთას გულის სიღრმეში ვიდრე მუხლს თქვენი ბრწყინვალებისა და კეთილშობილური საკურთხევლის წინაშე და მე ვკოცნი იმ ხელს, რომელმაც მაჩვენა სინათლე და ჭეშმარიტი გზა. ეს იქნება ჩირალდანი, რომლითაც მე ვივლი მომავალში და ის დამამშვიდებს ჩემი ცხოვრების იმ დაკარგული წლების გამო, რომლებიც განვვლე სიბნელეში“.

ამერიკელი მწერალი მწერს კალიფორნიიდან: „ახლა, როდესაც მე წავიკითხე „მირდადი“<sup>1</sup> ხელმეორედ, ვისწრაფი დაგარ-

<sup>1</sup>, „მირდადის წიგნი“ – მიხაილ წუამეს ცნობილი ნაწარმოები, რომელმაც მას დიდი პოპულარობა მოუტანა.

წმუნოთ, რომ მან შეიძყრო მთელი ჩემი არ-სება. ის არის სიბრძნის საცავი. ყოველი აზ-რი ამ წიგნში, პოეზიისა და აზროვნების სიღრმეებში რომ ჩაჰყავხარ, გამოხატულია ორატორული ფორმებით, რომლებშიც არ არის ზედმეტი სიტყვები. ჭეშმარიტებით, სიმბოლოებითა და იდეებით აღსავსეს, მას არ ემუქრება დრო“.

ბომბეის გამომცემლობა მთხოვს ნე-ბართვას „მირდადის წიგნის“ გამოცემის-თვის; ინდოეთში მას ახასიათებენ, რო-გორც „დღევანდელი ყოფის წიგნს“ ან, რო-გორც „ყველა თაობის წიგნს“ და უფრო მე-ტიც, როგორც „ყველა დროის წიგნს“.

სხვა გამომცემლობები ჰოლანდიაში ნე-ბართვას მთხოვენ ფრანგული, გერმანული და ჰოლანდიური თარგმანებისთვის.

აი, რას მწერს პაკისტანელი მაჰარაჯა: „მე წამიკითხავს თქვენი წიგნები. დღე არ ჩაივლის, რომ თქვენ არ იყოთ ჩემს ფიქ-რებში. ყოველ წუთსა და წამს ვიყენებ, რა-თა შევისნავლო თქვენი შეხედულებები, რომლებიც უფრო და უფრო მაახლოებენ ჩემს სულიერ სამყაროსთან და მაშორებენ ეგოიზმს. თქვენმა ნაწარმოებებმა ჩემში განამტკიცეს ადამიანებისა და კაცობრიო-ბის მიმართ რწმენა“.

მე არ მსურს, დავლალო მკითხველი ამ-გვარი წერილების კითხვით. ისინი მე ასო-ბით მაქვს, სხვადასხვა ქვეყნიდან და სხვა-დასხვა ენის წარმომადგენლებისაგან. მათ-ში არის სერიოზული შეფასებაც და ალ-ფრთოვანებაც, ისინი მზად არიან, გამოხა-ტონ თაყვანისცემა და ქედი მომიხარონ. მე მხოლოდ იმიტომ მოვიტანე აქ ეს რამდენი-მე წერილი, რომ ვალიარო მკითხველის წი-ნაშე – მათ უფლება აქვთ, იცოდნენ უფრო მეტი იმ მწერლის ცხოვრებაზე, რომელსაც ალიქვამენ, როგორც ძმას, მეგობარს, ამხა-ნაგს, მასწავლებელს. განა მათ არ მივუძ-ლვენი ჩემი გული და გონება?! და არც მათ უარუყვიათ ძლვენი, მიიღეს ის მადლიერე-ბით.

წუთუ ცენზურას იმსახურებს ის, ვინც მიირთმევს ხის ნაყოფს და ამავდროულად იმყოფება იმავე ხის ჩრდილში?!

ამ მცდელობას სხვა გამართლებებიც აქვს, ერთ-ერთი მათგანი კი სრულიად ეგო-ისტურია: თუ მე მთლიანად მივეცემი ამ წიგნს და გონებაში აღვიდგენ ყველაფერს, რაც კი ამქვეყნად გადამხდენია, მე უპირო-ბოდ ორჯერ ვიცხოვრებ ჩემი ცხოვრებით და ფრიად დარწმუნებული ვარ, რომ თუ ეს არ დამიბრუნებს ბავშვურ უმანკოებასა და ახალგაზრდულ სულისკვეთებას, მაშინ და-მეხმარება, გავასწორო ანგარიში საკუთარ თავთან და მათთან, ვინც მონაწილეობდა ჩემს ცხოვრებაში.

ადამიანისთვის სასარგებლოა, დრო-დადრო უკან მიიხედოს, თუკი ის მუდამ მხოლოდ წინ იყურებოდა. ხშირად ხდება ხოლმე, რომ რომელიმე საქმე ან პრობლე-მა, რომელიც უკან უკან მოვიტოვეთ, ჩა-საფრებული გვიხვდება წინ, გზის რომელი-მე მოსახვევში.

კიდევ ერთი გამართლება, რომელიც შეიძლება მკითხველს თავში აზრადაც არ მოუვიდეს – ეს არის სიამოვნება, რომელ-საც ადამიანი განიცდის, როცა ფარდას ხდის ყველა თავის საიდუმლოს თავისი ძმე-ბისა და სხვა ადამიანის წინაშე. ის შუმის სახლის მსგავსი ხდება; ყველაფერი, რაც მასშია, ხილულია თვალისათვის, გარდა ყველაზე შორეულისა და სიღრმისეულისა, რომელიც დაფარულია ადამიანთა თვალი-სა და გონებისაგან, ის ერთადერთი რჩება წმიდათაწმიდა, სადაც ვერავინ შედის სხვა, მის გარდა.

და ბოლო, ალბათ, ყველაზე მნიშვნელო-ვანი არგუმენტი: როგორიც არ უნდა იყოს ჩემი მდგომარეობა დღეს თუ ხვალ აზროვ-ნებისა და კალმის სამყაროში, მე ვრჩები ადამიანად და ჩემი ცხოვრება აისახება სხვების ცხოვრებაზე და მათი ცხოვრება კი – ჩემსაზე. მაგრამ ჩვენ შორის რომ არ ყო-ფილიყო ბევრი საერთო დამაკავშირებელი ხაზი, მაშინ არც ეს ურთიერთგაგება და პარმონია იქნებოდა. ჩემი ბუნება მათი ბუ-ნებაცა და ჩემი მოწოდება – მათი მოწო-დებაც; ჩემი მიწა მათი მიწაცაა, ჩემი ზეცა და პაერი მათი ცა და პაერიცაა და ჩემი სი-ამოვნება და შეგრძნებები – მათი შეგრძნე-

ბებიც. ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მე ამ ყველაფრისგან შემიძლია სხვა დასკვნა გამოვიტანო, შევერწყა გარემოს ან შევირწყა ის. მე შემიძლია, გავაკეთო ყოველივე ეს სხვა გზებით, ვიდრე ისინი აკეთებენ ამას და რომ არ იყოს ეს განსხვავებები, მაშინ რა აზრი ექნებოდა დასკვნებისა და გამოცდილების გაზიარებას ადამიანთა შორის?!

ეს სამოცდაათი წელი, რომელიც მე განვვლე ამქვეყნად დღევანდელ დღემდე, განსაკუთრებით კი ბოლო ოთხი ათწლეული, იყო შესანიშნავი ეპოქა ჩვენი ცხოვრებისა და აზროვნების მკვეთრი ცვლილებებისათვის. ეს წლები წარმოადგენს ადამიანის გონიერის უდიდესი გამოგონებების წლებს. ძალიან მოკლე დროში ამ ახალმა მიმართულებებმა და დინებებმა, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების გასაღებებად იქცნენ, ამოხეთქეს ვულკანივით. ამიტომ, ჩემი ასაკის ადამიანს ეჩვენება, რომ სამყარო, რომელშიც ცხოვრობს დღეს, ის სამყარო აღარაა, რომელშიც ის დაიბადა. მეც დარწმუნებული ვიქნებოდი ამაში, რომ ძაფი, რომელსაც ვეძახი „მეს“, არ აერთიანებდეს ამ ორ სამყაროს.

მე ეს ცვლილებები, დინებები და მოვ-

ლენები გავიარე წინამოსამზადებელი ეტაპით, – არა როგორც ისტორიკოსმა ან მეცნიერმა, არამედ იმ კაცივით, ვინც ისწრაფვის შეიცნოს ამ ცვლილებათა ფარული არსი და გამოავლინოს მათი ზეგავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე, თუ რას მოიტანს ის ახლო და შორეულ მომავალში – ახალი ეპოქის დასაწყისია თუ სასიკვდილო ციებცხელება.

ჩემი ინტერესი ადამიანთა მიმართ არ განისაზღვრება იმით, თუ რას აშენებს ის ან რას ანადგურებს, რა გამოიგონა, რა შექმნა, რა ანარმოა ან რა გამოიყენა. მაინტერესებს, რამდენად ეხმარება ადამიანს ეს ყოველივე თავისი მიზნის განხორციელებაში.

მიზანშეწონილად ჩავთვალე, ჩემი ცხოვრება, რომლის შესახებაც ვწერ, სამ ეტაპად დამეყო: პირველი – სიყრმიდან სწავლის დასრულებამდე, მეორე – შტატებში ჩემი ემიგრაციის დაწყებიდან დაბრუნებამდე და მესამე – დაბრუნების დღიდან დღევანდელ დღემდე.

ახლა, როდესაც მე ბოლომდე გამოვალე ამ წიგნის კარი, დავბრუნდეთ უკან, სამოცდაათი წლის წინ, თუ, რა თქმა უნდა, სიტყვების – „წინ“ და „უკან“ მნიშვნელობები დროსთან მიმართებაში გამოსადეგია.

## ზეციური მამა და ამერიკაში მყოფი მამა

– გაიმეორე ჩემთან ერთად, ჩემო ბიჭო: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ – ასრულებს დედა იმ მოკლე და ერთადერთ ლოცვას, რომელიც ქრისტემ ასწავლა თავის მოწაფეებს. ამასთანავე, ის იმეორებს სიტყვებს გაუზაბრებლად და არც გრამატიკულ წესებს აქცევს ყურადღებას. დედაჩემმა განვლო თავისი ცხოვრება ისე, რომ მისთვის ანბანის ასოები ისეთ გამოცანად დარჩა, რომ-

ლის გაგებაც არ შეუძლია არავის, თუ არ ფრიად მეცნიერთ!

და რა ცოტანი იყვნენ ასეთები იმ დროში...

ღვთაებრივი ლოცვის დასრულებისთანავე დედაჩემი აგრძელებს ხანგრძლივ ვედრებას იმ ადამიანებისათვის, რომლებიც პირველ ადგილს იკავებდნენ მის გულსა და ცხოვრებაში.

– გაიმეორე ჩემთან ერთად, ჩემო ბიჭო: „ღმერთო, დაეხმარე მამაჩემს ამერიკაში! დაე, ოქროდ გადაიქცეს მის ხელში მიწა,

რომელსაც ის შეეხება! ღმერთო, დაგვიბრუნე ის ჯანმრთელი და უვნებელი! ღმერთო, დაიფარე ჩემი ძმები, ღმერთო, დაიფარე ბიძაჩემი იბრაჰიმი და ბიძაჩემი სულეიმანი, შეენიე და მიეცი მათ შვილები!“

ულიმდამოდ ვიმეორებ იმას, რასაც დედაჩემი ამბობს. ქუთუთოები მიმდიმდება და თვლემა მერევა. ვხუჭავ თვალებს და ვხედავ საოცარ სურათებს, რომლებსაც დედის სიტყვები ხატავენ ჩემს წარმოსახვაში.

ვხედავ ღმერთს, რომელსაც, დედის თქმით, არც სისხლი აქვს და არც ხორცი და რომელიც ცხოვრობს ზეცაში, ცისფერ უსასრულობაში, სადაც დღისით მზეა, ღამით კი – მთვარე და ვარსკვლავები. არ ვიცი, როგორ წარმოვიდგინე ღმერთი ან მისი სამყოფელი. შეიძლება, მისი სახლი იქ ჰგავდეს ჩვენს სახლს აქ?! არა, ის უფრო დიდი და ლამაზია, თანაც წამდვილად კრამიტითა გადახურული. ვხედავ მამის სახებას, ვისაც გააჩნია სისხლი და ხორცი და ის არის ქვეყანაში, რომელსაც უწოდებენ ამერიკას. წარმოვიდგინე მას ულვაშებიან გოლიათად და უფრო დიდი ულვაშები, ვიდრე მას აქვს, თვალით არ მინახავს.

ამერიკა წარმომესახება ქვეყნად ჰორიზონტს მიღმა, სადაც ადამიანები მუჭით ილებენ მინას, რომელიც ოქროდ გადაიქცევა. ოქრო კი, რომელიც არასდროს მინახავს, ძალიან ძვირფას რამედ წარმომიდგენია.

ჯერ კიდევ გაოცებული ვარ, რატომ გაემგზავრა მამაჩემი ამერიკაში ოქროს ჩამოსატანად, როცა დედას ასე მარტივად შეუძლია სთხოვოს ცაში მყოფ მამას, გადააქციოს მინა ოქროდ. ჩვენი სახლის იატაკიცა და ჭერიც ხომ მიწისაა და ჩვენ გარშემოც ხომ ყველგან მინაა?! ნუთუ მინა ამერიკაში განსხვავდება ჩვენი მიწისაგან?! დიახ, ალბათ ასეც არის...

თუკი ეს წარმოსახვები მაბნევდა, სხვა წარმოსახვები, რომლებსაც ყოველ საღამოს, ძილის წინ წარმოვიდგენდი თვალწინ, არ მაბნევდნენ.

და, აი, დედაჩემი. მე ვიცნობ მას და მიყვარს ის, რადგან მასაც ვუყვარვარ. მისი მკლავები კი ის მკლავებია, რომლებშიც ტკბილად ვიძინებ და მას აქვს სხეული, რომელიც მიცავს და მმფარველობს მე, განსაკუთრებით კი ზამთრის ცივ ღამეებში. მისი სითბო ცვლის ცეცხლის სიმხურვალეს და ჩემთვის საკმარისია ეს სითბო და სიმყუდროვე.

როგორ გახდა ეს ქალი დედაჩემი, რატომ ჰყავს ყველა ბავშვს დედა და მამა, ან რაში მდგომარეობს მამობისა და დედობის არსი – ეს კითხვები ნაკლებად მაღელვებდა მაშინ. ყველა ბიჭს ხომ ჰყავს დედ-მამა. მამაჩემი ამერიკაშია; ეს ქალი კი დედაჩემია. ის დედაჩემია და ეს საკმარისია.

და, აი, ჩემი ორი ძმა. ისინი ჩემზე უფროსები არიან – დიბი<sup>1</sup> და ჰაიქალი. მე მათაც ვიცნობ და ვიცი, რომ ისინი ჩემი ძმები არიან ერთი მარტივი მიზეზის გამო – ჩვენ ვიძინებთ და ვიღვიძებთ ერთად, ერთსა და იმავე სახლში და ვჭამთ ერთსა და იმავე საჭმელს. ჩვენ ერთი დედა გვყავს, რომელიც ზრუნავს ჩვენს საჭმელზე, სასმელზე, ტანსაცმელზე და მას აქვს სრული ძალაუფლება ჩვენზე – გვაძლევს ჩვენ მითითებებს და, თუ არ ვემორჩილებით, გვეჩუბება, სილას გვანწის და გვცემს კიდეც.

ჩემი ძმების საწოლი იმ საწოლის გვერდით დგას, რომელზეც მე დედასთან ერთად მძინავს. დედა რამდენჯერმე იღვიძებს ლამები, რადგან ეშინია, მათ ძილში საბანი არ გადასძვრეთ.

ის, რომ ზოგიერთ მეზობლის ბიჭუნას ორზე მეტი ძმა ჰყავს, ან საერთოდ არ ჰყავს ძმა, ზოგიერთ მათგანს კი ჰყავს დები, როცა მე საერთოდ არ მყავს და – ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხის გაცემა მეძნელება.

იქ, ოთახის კუთხეში, კიდევ ორ ადამიანს სძინავს. ბაბუაჩემ ბუ იუსიფს და ბებია უმ იუსიფს. ისინი ჩემზე, ჩემს ძმებზე და დედაზე ბევრად უფროსები არიან. მე ვიცნობ მათ და მიყვარს ისინი, რადგან მათაც

<sup>1</sup> დიბი – ადიბის შემოკლებული ფორმა.

ვუყვარვარ მე. ისიც ვიცი, რომ სხვა ბებია და ბაბუაც მყავს, ბუ იბრაჟიმი და უმ იბრაჟიმი. თუმცა ჩემთვის გაუგებარია ის მიზეზები, რომელთა გამოც ისინი სხვა სახლში ცხოვრობენ. მე ისინიც მიყვარს, მაგრამ არა ისე ძლიერ, როგორც ბაბუა ბუ იუსიფი და ბებია უმ იუსიფი. მე არ მესმის, რატომ მყავს ორი ბაბუა და ორი ბებია, როცა ჩვენს უბანში ზოგიერთ ბიჭს საერთოდ არ ჰყავს ბებია-ბაბუა. ან ჰყავთ ბაბუა, მაგრამ არ ჰყავთ ბებია და პირიქით.

ყველაზე მთავარ ჯადოქრობად, – იმაზე მეტადაც კი, ვიდრე დედაჩემის მონოტონური ხმა, რომელიც ყოველ საღამოს იმეორებს: „ღმერთო, დაე, მოხდეს ასე! ღმერთო, ნუ დაუშვებ ამას!“ – მესახება ჩირალდანი, რომელიც ჩამოკიდებულია ბოძე, სახლის შუაგულში.

ეს იყო კონუსის ფორმის თუნუქის ჩირალდანი, თავზე შვერილითა და გვერდიდან გამოსული გრძელი მომრგვალებული სახელურით. ჩირალდანი, რომელიც არ ალემატებოდა ერთ უნციას და რამდენიმე უნცია ნავთის ზეთი წარმოადგენდნენ სახლის განათების ერთადერთ საშუალებას. ჩვენ მას ვეძახდით „ნავასას“, რომელიც მომდინარეობს სიტყვა „ნასიდან“ და, როგორც დიდ ლექსიკონშია ნათქვამი, ნიშნავს ქანაობას, ციმციმს. ჩვენი ნავასას შუქი კი მუდმივად ციმციმებდა. დროდადრო ალი ღვივდებოდა და მისგან გამოდიოდა შავი კვამლი, რომელიც რგოლებად მიიწევდა მაღლა-მაღლა ისე, რომ ეხებოდა ჭერის ყავისფერ დირებს. ხანდახან ის გადაიხრებოდა მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ და ალის ენა დაიწეოდა დაბლა, თითქოს თავბრუ და-ესხაო. ალის ეს ცეკვა იმ უცნაური ფიგურების წყალობით, რომლებსაც ცეცხლის ენა ხატავდა სახლის კედლებზე, ჭერზე, იატაქსა და ავეჯზე, იყო ჩემი მუდმივი გაოცების წყარო.

ვინაიდან უკვე ვახსენე სახლი და მისი ავეჯი, დაე, მომიტევოს მკითხველმა, თუკი ცოტა ხნით შევჩერდები ამ სახლის აღწერაზე, რომელიც მსგავსია იმ ათასობით სოფლური სახლისა, ლიბანის მთების მა-

ლალ ფერდობებზე რომ იყვნენ შეფენილნი და დღეს შორეულ ლეგენდებად ქცეულან.

ისინი, ვინც დასახლდნენ ამ ფერდობებზე ასობით წლის წინ, არ მოსულან იმის გამო, რომ ეს ადგილები გამოირჩეოდა ნაყოფიერი მიწებით ან მდიდარი იყო ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობებით. ვიღაცა უსამართლო მმართველებს გაურბოდა, ვიღაცა – მწირ მიწებს, სადაც წყალი ძვირია და მოსავალი – მცირე. ამ ფერდობებზე კლდეები უფრო მეტია, ვიდრე მიწები; აქ როულად სავალი გზები და ზამთრის ძლიერი სიცივეა. აქ არც სავაჭრო ადგილებია, არც სახელოსნოები და ერთადერთი გზა საარსებო საშუალების მოსაპოვებლად არის გუთანი, თოხი და ცელი. მაგრამ ეს ფერდობები მიუვალია ან იყო მიუვალი იმ დროში... და არის უფრო ლამაზი ადგილი, ვიდრე იგი. იქ არის წყაროები, მუხები, ფიჭვები და ბაძები ბუჩქები. ხალხი სახლდებოდა ამ ფერდობებზე, მათ გროში არ ჰქონდათ ჯიბები და არანაირი იარაღი – ხელში, მათ ჰქონდათ მხოლოდ საკუთარი თავის რჩმენა და თავიანთი ხელების ძალა! და, რა თქმა უნდა, საცხოვრებლების ასაშენებლად მათ გამოიყენეს ახლო არსებული უხარისხო მასალები, რომლებზეც არანაირი ფული არ დაუხარჯავთ.

როგორი იმგიათი და ძვირფასი იყო ფული! ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებები კი იყო ქვები, ხე და მიწა. ხალხი საცხოვრებელ ადგილებს აშენებდა პატარა ქვებით, რომლებსაც ამოლესავდნენ ხოლმე მიწანარევი თიხით და მერე გადახურავდნენ ხის ღეროებით, რომლებზეც აფენდნენ დაფებს, ფოთლებს, შემდეგ კი მასზე ასხამდნენ ტალახს და ისე მჭიდროდ ტკეპნიდნენ, რომ ის არ ატარებდა წვიმის წყალს მანამ, სანამ ძალიან არ გაიუღინთებოდა სინესტით და არ გაიჩენდა ბზარებს, რის შემდეგაც მას კვლავ დატკეპნიდნენ და ასე გრძელდებოდა მთელი ზამთრის განმავლობაში, ყოველ ჯერზე, რამდენჯერაც კი მასში წყალი გაუონავდა. რამდენი ბზარი წარმოიქმნებოდა წვიმისა და თოვლის დროს! წყალი ჩამოდიოდა სახლის ყველა

კუთხიდან. აქედან მომდინარეობს გამოთქმაც: „ჭერიდან ჩამონაჟონი სანიალვრემდე გაატანსო!“ ყოველი სახლის სახურავის ქვეშ აუცილებლად იყო გადებული დირე, ან დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, ან ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. მასზე იყო დამაგრებული ხის ღეროების ბოლოები. დირე ეყრდნობოდა ბოძს, რომელიც ეხმარებოდა მას ამ სიმძიმის გაძლებაში. ეს ბოძი, ქვის ან ხის, იდგა სახლის შუაგულში. მსგავსი სახლების აშენების ფასი იყო მხოლოდ ხალხის გარჯა – ხეების მოჭრა, ქვის დაწყობა და მიწის გადატანა. ამ შრომაში ხალხი ერთმანეთს ეხმარებოდა, განსაკუთრებით, ერთი ოჯახის წევრები. ყოველი ოჯახი, მისი წევრების ზრდისა და ახალი ოჯახების შექმნის შესაბამისად, აშენებდა მსგავს საცხოვრებლებს მჭიდროდ, ერთმანეთის გვერდიგვერდ ან მოპირდაპირე მხარეს. ასე რომ, სოფელში იზრდებოდა მთელი უბანი, ცნობილი ამა თუ იმ ოჯახის სახელით. ასეც ეძახდნენ: ნუამეების ოჯახის უბანი, ჰადდადების ოჯახის უბანი, აბუ ჰეიდარის ოჯახის უბანი და ასე შემდეგ. ერთმანეთის გვერდით მდებარე სახლების რაოდენობა აღწევდა შვიდ-ათს. მათ ჰქონდათ ერთნაირი სიმაღლე, სიგრძე და სახურავი, მაგრამ ყოველ მათგანს ჰქონდა საკუთარი შესასვლელი. ამგვარი სახლების ერთობლიობას ეწოდებოდა „საიპი“!<sup>1</sup> შესაძლოა, ამ სახელში იგულისხმებოდეს ის, რომ, როდესაც ერთ ბოლოში ყვირიან ან ეძახიან ვინმეს, ისმის საიპის მეორე ბოლოში.

ჩვენს საიპს ჰქონდა ექვსი კარი და ყველა მათგანი მიმართული იყო სამხრეთისაკენ. მათგან სამი კარი გვეკუთვნოდა ჩვენ, ორი – მამაჩემის ბიძაშვილებს. მეექვსე კარი კი, უკიდურესი დასავლეთისაკენ, ეკუთვნოდა მოხუც ქვრივ უმ ჰაინს, რომელსაც სხვა ავლადიდება არა გააჩნდა რა.

ჩვენი საიპის ზემოთ სხვა ასეთივე საიპი იყო, ოდონდ უკან დაწეული, ისე, რომ ჩვენი საიპი მის ვერანდად მოგეჩვენებოდა. ეს სა-

იპიც ნუამეების გვარს ეკუთვნოდა. ჩვენ გვანუხებდნენ მათი ბიჭები, რომლებიც ჩვენს სახურავზე ხტუნაობდნენ. ამის გამო მიწა ხან თავზე გვეყრებოდა, ხანაც – თეფშებში ჭამის დროს. მესამე საიპი პირველი ორი საიპის აღმოსავლეთით მდებარეობდა და ისიც ნუამეების სხვა ოჯახს ეკუთვნოდა. იმ საიპს უფრო ვიწრო გასასვლელი ჰქონდა, ვიდრე ამ ორს. ეს იყო ნუამეების უბანი, რომელიც ასეთად დამამახსოვრდა – მისი საზღვრები სამყაროს საზღვრები იყო, რომელშიც მე ვცხოვრობდი და მისი მკვიდრნი იყვნენ ჩემი სამყაროს მკვიდრნი.

ვუბრუნდები სახლს, რომელშიც დავიბადე. ის მდებარეობდა საიპის შუაგულში. მისი კარი წარმოადგენდა ორ ერთმანეთთან შეერთებულ სქელ დაფას. კარს ჰქონდა საკეტი, რომლის აღწერაც ძალიან რთულია. ეს იყო ორი მსხვილი ფირფიტა, მტკაველი ან უფრო მეტი სიგრძისა და სიგანის, რომლებიც შეერთების დროს ჯვრის ფორმას ქმნიდნენ. ერთი ფირფიტა მიჭედებული იყო კარის აღმოსავლეთ კიდეზე, მეორე კი ეკიდა ქვევით, მოძრაობდა მარჯვნივ და მარცხნივ ხუთი ან ექვსი თითის სიგანეზე. მას ხუთი ნახვრეტი ჰქონდა, ორ-ორი კიდე-ებში, ერთი კი – ცენტრში. ზედა ფირფიტაზე კი განლაგებული იყო ხუთი ლურსმანი, რომლებიც ერთდებოდნენ ნახვრეტებში და ამგვარად იხურებოდა კარი. ამ ლურსმნებს „სავაკიტს“ უწოდებდნენ, რაც „ჩამოკიდებულს“ ნიშნავს. საიდუმლოდ რჩება, თუ როგორ იკეტებოდა კარი ლურსმნების ნახვრეტებში შესვლისას და იღებოდა მათი გამოსვლისას.

ვინც გამოიგონა ეს საოცარი საკეტი, გამოიგონა მისი გასაღებიც. ეს იყო ჯოხი, ერთი მტკაველი ან ოდნავ გრძელი. თავზე მას ჰქონდა ხუთი კბილანა, რომლებიც განლაგებული იყო ფირფიტის ნახვრეტების შესაბამისად. როდესაც ეს გასაღები შედის საკეტში, საჭიროა მოთმინება, ნახვრეტებში შემავალი კბილანების ისე მოთავსება, რომ ისინი აწვებოდნენ სავაკიტს. ქვედა

<sup>1</sup> საიპი – მყვირალი, დამძახებელი კაცი (არაბ.).

ფირფიტა თავისუფლდება ზედასაგან, კარი კი გასაღებით უნდა მიიზიდო შენკენ ისე, რომ ზედა ნაწილი გადაადგილდეს და კარი ამგვარად გაიღება. ეს იყო რთული პროცესი, რომელიც ხანდახან დიდხანს გრძელდებოდა და ამ დროს ადამიანი კარგავდა საკუთარი ღმერთის რწმენას.

და, აი, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გავაღეთ სახლის კარი და მაში, მკითხველო, მოდი, შევიდეთ შინ.

მიუხედავად მოკრძალებული გარემოსი, სახლი მუდამ ღიმილით ეგებება სტუმრებს. სახლში შესვლისას შენი ფეხები აბიჯებენ ნახევარწრის ფორმის იატაკის ნიშზე, რომლის დიამეტრიც შეადგენს ერთ მეტრს. ეს არის ‘უთპა’<sup>1</sup>. ის დაფარულია ფეხსანმენდის საფენის ნაფლეთებით და მასზე დალაგებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ფეხსაცმელი. წესჩვეულება ოჯახის წევრებისა და სტუმრებისგან მოითხოვს, რომ ფეხსაცმელები დატოვონ შესასვლელთან, რათა შინ არ შეიტანონ ტალახი და ჭუჭყი. უმ დიბს<sup>2</sup> უყვარს სისუფთავე და წესრიგი.

როგორც კი ზღურბლს გადააბიჯებ, საკმარისია ერთი მზერა მოავლო სახლს, რომ გაეცნო მასა და ყველაფერ იმას, რაც მაშია. ეს არის კვადრატული ოთახი, რომლის სიგრძე და სიგანეც არ აღემატება შვიდ მეტრს, სიმაღლე კი – სამ მეტრს. პირველი, რასაც ნახავ შენგან მარჯვნივ, არის ხის დახლი, რომელზეც დგას ორი დიდი თიხის დოქი, მათ შორის კი მოთავსებულია პატარა ქოთანი, ასევე თიხის. ამ დახლს ეწოდება „ბანკი“. უმ დიბი ორივე დოქს ავსებს წყლით დღეში ერთხელ ან მეტჯერ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი წყალი სჭირდება მას საჭმლის მოსახარშად, ტანსაცმლის გასარეცხად და სახლის დასალაგებლად. ის მხრებზე შედგმული დოქით მიემართება წყაროსკენ, რომელიც სახლიდან ნახევარ კილომეტრში მდებარეობს. ის წყალს ეზიდება ყოველთვის, ნებისმიერ ამინდში – წვიმაში, ივლისის პაპანაქებაში

და იანვრის თოვლში.

შენ, ალბათ, დაინტერესდები, თუ რის-თვისამა მარჯვენა კედელზე მიმაგრებული სარკის ნატეხები. ეს ერთადერთი სარკეა სახლში. მას უკანა მხრიდან ვერცხლისფერი გადაუვიდა და ის უფრო ამახინჯებს სახეებს, ვიდრე აირეკლავს მათ; თუმცა, როგორც ანდაზა ამბობს: „დაბრმავებას თვალების სურმით შეღებვა სჯობია“.

პირველი, რასაც დაინახავ მარცხნივ, ეს არის კედლის კუთხესთან მდებარე ხის ყუთი, რომელიც მოხუცების საყვარელი მოსასვენებელი ადგილია ზამთარში, რადგან ის ღუმელთან ახლოსაა და ცივი ქარი, რომელიც შინ შემოდის კარის ყოველ გაღებაზე, იქამდე ვერ აღწევს. ღუმელი არის წითელი თიხისაგან ნაკეთები და ნახევარწრის ფორმის, რომელიც იატაკიდან ერთი მტკაველით არის დაშორებული. მასზე შემოდგმულია საჭმლის მოსამზადებელი ქვაბები, ხოლო შიგნით დაჩეხილი შეშა აწყვია. ღუმლის წინ კი დევს მომრგვალებული რკინის ფირფიტა, რომელიც მის გარშემო დაგებულ ტილოსა და ცხვრის ტყავს იცავს ფერფლისა და ნახშირისაგან. ამას „ჰარუნი“ ეწოდება. მახსენდება, როცა ცეცხლს ვანთებდით ამ ღუმელში და ალი ირგვლივ ყველაფერს ახშობდა, კვამლი კი ჭერამდე ადიოდა და კედლებისაკენ ვრცელდებოდა, ჩვენ მთელი ძალით სულს ვუბერავდით ცეცხლს. ვეხვეოდით კვამლში, ფერფლით გვევსებოდა თვალები და გვდიოდა ცრემლები, თუმცა ჩვენ ერთმანეთს ვენაცვლებოდით ღუმელთან მანამ, სანამ ცეცხლის ენები კვლავ არ გაჩნდებოდა.

ღუმელი იმავე სიმაღლისა და ფერის კარნიზს უერთდებოდა. მისი სიგანე დაახლოებით მტკაველი იყო, სიგრძე კი – ორი ადლი. ამ კარნიზს „ფარიზა“ ეწოდებოდა.

კედლის ჩრდილოეთით, რომელიც შენგან მარჯვნივ მდებარეობს, არის თიხის კარადა, რომელიც ჭერიდან ერთი ადლით თუ იქნება დაშორებული. ის თითქმის შეუმჩნე-

<sup>1</sup> ‘უთპა – ზღურბლი.

<sup>2</sup> უმ დიბი – ქალის ქუნია, შერქმეული ვაჟის სახელის მიხედვით, დიბის დედა.

ველია; შენ მხოლოდ ჩაღრმავებას ხედავ, რომელიც ტილოს ნაჭრით არის დაფარული. ეს კარადა გამოიყენება ზამთარში ხორბლის შესანახად და, საჭიროების შემთხვევაში, ღრმულის მეშვეობით ჩამოაქვთ დაბლა. რაც შეეხება მის ბრტყელ სახურავს, რომელიც ჭერთან ახლოს მდებარეობს, გამოიყენება კარტოფილის, ხახვისა და ნივრის შესანახად.

შენ მზერა გადაგაქვს წინა კედელზე და მის მარჯვენა ბოლოში ხედავ თეთრ ფარდას, რომელიც ჭერიდან ეშვება და მინიდან დაახლოებით ერთი ადლით არის დაშორებული. ის ფარავს კედლის ნიშას, რომელშიც დღისით ინახება საბნები, ქვეშაგები და ბალიშები, ღამით კი გამოილებენ ამ ყველაფერს და სძინავთ მასზე. მათ შორის არის სტუმრებისთვის განკუთვნილი ლოგინიც და ისიც, რაც ოჯახის წევრებისთვისაა. ნიშის ქვეშ სიცარიელეში კი, რომელსაც ასევე ფარავს სხვა ფარდა, ინახება ბადაგის დიდი დოქი, მასმანა, ოსპი, ბარდა, შვრია, ცოტაოდენი შაქარი, ბრინჯი და ყავის მარცვლები – ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ყოველ სახლში. მასმანა არის გამომწვარი თიხის ჭურჭელი, რომელშიც ინახება წვრილ ნაჭრებად დაჭრილი, დამარილებული და ქვაბში მომზადებული ცხვრის ხორცი. ასეთ ხორცს ეწოდება „ყაურმა“. მასმანას რაოდენობა დამოკიდებულია ცხვრის წონაზე, რომელსაც კლავენ შემოდგომაზე ყოველ ოჯახში. რაც შეეხება ზეითუნის ზეთს, რომელსაც არ ანარმოებდნენ მთიან რეგიონებში, მცხოვრებლები მცირე რაოდენობით – უნციებით და არა რატლით<sup>1</sup>, ყიდულობდნენ მოხეტიალე ვაჭრებისგან.

ამ მომთაბარე ვაჭრებს, სულ მცირე, ექვსი თვის განმავლობაში, რითაც კი შეეძლოთ, უნდა მოემარავებინათ მოსახლეობა, როცა ისინი წყვეტდნენ მუშაობას ველებსა და ვენახებში – შუა შემოდგომიდან გაზაფხულის დასასრულამდე და მაშინ, როცა ზამთრის თოვლი გარშემოერტყმოდათ და

მოწყდებოდნენ მთელ დანარჩენ მსოფლიოს. ამგვარი მდგომარეობა გრძელდება დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ გააადვილა კავშირი გარე სამყაროსთან.

ახლა კი თქვენი „ქუვარამდე“ მიყვანალა დამრჩა. ეს არის დიდი თიხის კასრი გაბერილი მუცლით, რომელიც დგას ნიშის მარცხენა კიდეში და გამოიყენება ფქვილის შესანახად. მას ზემოთ დიდი ხვრელი აქვს, რომელშიც იყრება წისქვილიდან მოტანილი ფქვილი; ქვედა ხვრელიდან კი ფქვილს იღებენ საჭიროებისამებრ. ზედა ხვრელთან განთავსებულია ცომის მოსაზელი ვარცლი და მურაპრაპი, რომელშიც ინახება პური. ვარცლი თიხისაა და ის იტევს ერთი კვირის სამყოფ პურს. მისი სახურავი არის სინი, რომელზეც პური ეწყობა ჭამის დროს, ის ჩალისაგანაა მოწნული და ხელები, რომლებმაც ის დაამზადეს, ბებიაჩემის, უმ იუსიფის ხელებია.

და ბოლოს, მზერა სახლის იატაკსაც მოვავლოთ. ის დაფარულია უბრალო ჩალით. მასზე დევს დასაჯდომად განკუთვნილი ლეიბები და ბალიშები და ზამთარში ამას ემატება მატყლის ან თხის ბეწვის ხალიჩა.

ჩალის ქვეშ კი სწორი, მიწური იატაკია. ის ცისფერია, რადგან გალესილია ცისფერი თიხით. უმ დიბი ცდილობდა იატაკის გალესვას რამდენჯერმე კვირაში. ამ ცისფერივე თიხით იყო გამოლესილი სახლის ყველა კედელი იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე, დანარჩენი ნაწილი კი თეთრად იყო შეღებილი, როგორც სახლის ის ერთადერთი სამხრეთი კედელი, რომელიც მოჩანს გარედანაც.

ამგვარად, შენ შეგექმნა სრული წარმოდგენა სახლზე, რომელშიც მე დავიბადე, საიდანაც გამოვდიოდი და ვბრუნდებოდი 1911 წლამდე. ვიცი, შენ გაკვირვებული ხარ ამ სახლით. როგორ ხვდებოდა პაერი შიგნით, თუკი მისი სამი კედელი საერთოდ არ გადიოდა გარეთ, ორ მათგანს იყოფდნენ

<sup>1</sup> რატლი – წონის ერთეული, დაახლოებით 2 კგ.

მეზობლები, მესამე კი ესაზღვრებოდა მთას?! მხოლოდ ის ერთი კედელი გამოდი-ოდა გარეთ, რომელზეც იყო კარი. ის ზაფ-ხულობით არასდროს იკეტებოდა, ღამი-თაც კი. ზამთარში ნაპრალები, სახურავსა და კედელს შორის, გვაძლევდნენ სუფთა ჰერს და სახლიდან გაჰქონდათ კვამლი და დაბინძურებული ჰერი. ჩვენ მას ვეძა-დით „ანგალს“ – „საჩუქარს“, რომელიც დი-დი ბებიებისთვის იყო თანამედროვე კონ-დიციონერი.

შენ გიკვირს ეს ყოველივე, ჩემო ძმაო და მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი ნახე, მომიბრუნდები, სრული სერიოზულობითა და გაოცებით მკითხავ:

- და სად არის ამ სახლში მისაღები ოთახი?
- ზამთარში – ღუმლის გარშემო, ზაფ-ხულში კი იქ, სადაც ლეიბები და ბალიშებია.
- და სად არის სასადილო?
- იქ, სადაც მაგიდა დგას, რომელზეც სეზონური საჭმელია დალაგებული; მის კი-დეზე სინია, რომელზეც პური დევს. რაც შეეხება კოვზებს, უმეტეს შემთხვევაში, თხელი პური გვიჩევდა მათ მაგივრობას, დანებსა და ჩანგლებს კი საერთოდ არ ვი-ყენებდით.
- და სად არის საძინებელი?
- იქ, სადაც მოგინდება ქვეშაგებისა და

საბნის გაშლა.

- და სამზარეულო?
- ზამთარში – სახლში, ღუმელთან და თბილ ამინდში – გარეთ, მინდორში.
- და აბაზანა სად არის?
- ეს ‘უთბაა, რომელიც შენ უკვე ნახე, ოღონდ ფეხსაცმლებისგან გათავისუფლე-ბული. მის ნაცვლად კი მოხურულ კარს უკან დგას ცხელი წყლით სავსე დიდი თასი.

- საპირფარეშო სად არის?
- სადაც კი მოგესურვება – თუთის ბა-ლებში, რომელებიც გარს ერტყმიან ჩვენს კვარტალს და მთელ დასახლებას. ან კი-დევ, პატარა რუებში, რომლებიც ასე ბევ-რია ჩვენთან.

მე დავასრულე სახლის აღწერა. არ მქონია სხვა მიზანი, გარდა იმისა, რომ მკითხველისთვის მეჩვენებინა რეალისტუ-რი სურათი იმ ფანჯრისა, რომლიდანაც მე ვუცქერდი სამყაროს; და გისოსები, რომ-ლებიც ერთდროულად იყო ვიწროც და ვრცელიც, იყო ჩემი ბავშვობისა და ყმანვი-ლობის წლების თავშესაფარი, რომლებშიც მე პირველად აღვავლინე ლოცვა მამის მი-მართ, რომელიც ზეცაშია და შენევნის ვედ-რება იმ მამისთვის, რომელიც ამერიკაშია. ვიმედოვნებ, რომ ეს სურათი ზედმინევნით კარგად დავხატე, ისე, რომ არ გადავლალე მკითხველი და მისი გონება.

## პავშვილის მოგონებებიდან

არც ერთი ჩვენგანისთვის არ არის მარ-ტივი, დაადგინოს მოგონებათა საზღვრები, გადაწყვიტოს, ზუსტად რომელია ბავშვო-ბის პირველი მოგონება და განსაზღვროს ასაკი, როდის ჩაიბეჭდა ის გონებაში. ამი-ტომ მე ვუამბობ მკითხველს რამდენიმე მოგონებას ჩემი ბავშვობიდან დროის და-კონკრეტების გარეშე.

და მე მახსენდება, როგორ მივყავარ დე-დას მხრებზე შესმული ეკლესიისაკენ. რამ-დენი წლის ვიყავი, ან როგორ შეეძლო დე-დას, მხრებზე შესმული ვეტარებინე, არ ვი-ცი. მე მახსოვს ის სიხარული, რომელსაც

ჩემს სულში იწვევდა ეკლესიაში დანთებუ-ლი სანთლები, საკმევლის სუნი და მღვდლის ოქროსფრად ნაქარგი სამოსი. ასევე მახსენდება ის მღელვარება, რასაც მლოცველთაგან ერთ-ერთის ხმა და მისი უზარმაზარი მელოტის დანახვა აღმიძრავ-და, აგრეთვე სურათის დანახვა იმ ზღუდის მიღმა, მლოცველებს საკურთხევლისგან რომ ყოფდა. სურათი მუქ ტონებში იყო შესრულებული და მასზე ხშირწვერა კაცი იყო გამოსახული, ნაღვლიანი სახით. მის ჩამქრალ თვალებში არც გულმონყალება იყო და არც სიბრალული. რა დიდი იყო ჩემი

გაოცება, როცა გავიზარდე და გავიგე, რომ ეს სურათი არც მეტი, არც ნაკლები, იესო ქრისტეს გამოსახულება იყო. ასე დაეხატა იგი ერთ-ერთი ბერძნული თუ რუსული მონასტრის ბერს...

მახსოვს, ერთ საღამოს, როცა შევიტყვე, ჩემი ძმები მიდიოდნენ ეკლესიაში, ვთხოვე, მეც თან ნავეყვანე; როდესაც მათ უარი მითხრეს და მიგხვდი, რომ ვერ შევძლებდი ეკლესიისკენ მიმავალ უსწორმასწორო გზებზე სიარულს, გადავწყვიტე, ჩუმად გავყოლოდი. თუმცა მალევე გავაცნობიერე, რომ ამისთვის ძალები აღარ მყოფნიდა. დავინწყე ყვირილი და სლუკუნი, დავვარდი მიწაზე ხელ-ფეხის ქნევით. ცრემლები ღაპალუპით მომდიოდა თვალებიდან, ხმა ჩამეხლიჩა ძლიერი ტირილისგან და გავბრაზდი ჩემს თავზე, რადგან ჯერ ისევ პატარა ვიყავი. როდის უნდა გავხდე დიდი? ჩემს უფროს ძმას შევეცოდე და დაბრუნდა, რათა ეთქვა, რომ სახლში ნავსულიყავი, მაგრამ მე უფრო ძლიერად ავტიოდი და გავჯიუტდი და ამ ძროს მას შესანიშნავი ხერხი მოუვიდა თავში. შემპირდა, რომ, თუ შინ დაბრუნდებოდი, მომიტანდა ეკლესიის ზარს. ამ დაპირებამ მაგიური ზემოქმედება იქონია ჩემს გულზე, რომელიც ბრაზისაგან სკდებოდა. დავბრუნდი სახლში და დავიძინე იმ მოლოდინით, რომ დილით გავიღვიძებდი და აღმოვაჩენდი ეკლესიის ზარს ჩემ გვერდით...

ასევე თვალნათლივ ნარმომიდგება ის მოგონება, როდესაც დედამ ხელში ამიყვანა, მიმიყვანა სარკესთან, რომელიც წინა თავში უკვე აღვწერე და მითხრა: „შეხედე, პატარა მიხაილი!“ მაშინ პირველად დავინახე საკუთარი სახე. დავინწყე ამ სახის დაუინებით თვალიერება და ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ჩემი სახე იყო. ხან მოვიღუშებოდი, ხან კი ვიღიმოდი. ჩემი ღიმილი სევდიანი ჩანდა და ჩემი კანი იყო მუქი, მე კი მსურდა, ღია ფერის მქონოდა და ეს ჩემს მღელვარებას იწვევდა. მაღელვებდა ისიც, რომ ჯერაც პატარა ვიყავი და არ შემეძლო მისვლა ამ საოცარ სარკესთან, თუ დედა ხელში აყვანილს არ მიმიყვანდა მასთან.

როგორც უკვე ვთქვი, ორი ბიძა მყავდა: იბრაჟიმი და სულეიმანი. ისინი წლების წინ გადასახლდნენ ეგვიპტეში, სადაც რამდენიმე საქმიანი შეთანხმების დადებას მიაღწიეს. იბრაჟიმი იყო უფროსი და უფრო მოხერხებულიც. ეგვიპტეში ის მალევე გამდიდრდა და მოიპოვა სახარბიელო მდგომარეობა. ამის შემდეგ მან ბასქინთაში გამოგზავნა თავისი ძმა, რათა ეხელმძღვანელა მათი „აგურის უბნის“ მშენებლობისთვის. როცა მშენებლობა დასრულდა, მან სახლი ავეჯით მოაწყო და გაალამაზა. ეს იყო ყველაზე მდიდრული სახლი მთელ სოფელში და წითელი კრამიტით გადახურული ერთ-ერთი პირველი უბანი. ის არცთუ ისე შორს იყო ჩვენი სახლიდან. მახსოვს განცვიფრების შეგრძნება, რომელიც დამეუფლა, როცა დედამ იქ წამიყვანა. ეს მაშინ იყო, როცა დასრულდა სახლის მოწყობა და ძია იბრაჟიმი დაბრუნდა ეგვიპტიდან ზაფხულის აქ გასატარებლად. მაოცებდა, რომ სახლის ზედა სართულზე ნათალი ქვის კიბით ავდიოდი, რომელსაც სპილენძის ბურთულებით დამშვენებული რკინის მოაჯირები იცავდა. ამ სახლში შევდიოდი მაღალი კარიდან, რომლის ერთ-ერთ ფრთაზეც ხელის ფორმის ჩაქური ეკიდა. ჩემი გაოცება კიდევ უფრი გაიზარდა, როცა ვიგრძენი, რომ ისეთ მოსწორებულ-გაპრიალებულ საფეხურებზე ავდიოდი, რომ ლამის ფეხი დამისხლტა. შემდეგ ჩემს თავს უკვე ქალებითა და კაცებით სავსე დიდ დარბაზში ვხედავ. ისინი მასპინძლებს ესალმებიან. დარბაზის კედლები სხვადასხვაფერ ზოლებშია მოხატული, ჭერი კი ნახატებითა მორთული - ყურძენიცა იქ, ვაშლიც, ყვავილებიც, მტრედებიცა და სხვა ჩიტებიც. შუშის სადგამებზე, ერთმანეთის პირისპირ ორი ლომია. გული მკერდიდან ლამის ამომიხტეს, თვალები ლამის ბუდეებიდან გადმომცვიდეს, როცა დედა სალონში შემიძლვება, სადაც ხავერდგადაკრული სარწეველა სავარდლები დგას, მოელვარე სარკეები ჰკიდია, სპარსული ხალიჩებია დაგებული და ფარჩამოვლებული, ოქროს ძაფით მოსირმული ფარდები ჰკიდია.

ვეუბნები ჩემს თავს: „აი, სახლი ეს არის! და ჩვენ რატომ არ გვაქვს ასეთი სახლი?!”

მე პირველად ვგრძნობ მატერიალურ განსხვავებას ადამიანებს შორის. მწყინს, რომ ჩვენი მატერიალური მდგომარეობა ბევრად უარესია, ვიდრე ბიძაჩემის, მაგრამ, იმავდროულად, ბედნიერი ვარ, რომ ისეთი „დიადი“ ბიძები მყავს, როგორებიც ბიძია იბრაჟიმი და ბიძია სულეიმანი არიან.

ბიძია იბრაჟიმი თავისთან მიხმობს, ხელში მიყვანს, მკოცნის და შემდეგ მეკითხება, რომელ სახლს ვეკუთვნი – ნუაიმეების თუ პალაფების, დედის ოჯახს მივაკუთვნებ საკუთარ თავს თუ მამისას. და მე მხიბლავს მისი დიდებული გარეგნობა – დავარცხნილი სქელი ულვაშები, სახის ლამაზი ნაკვთები, მამაკაცური აღნაგობა. თვალს მჭრის მისი ევროპული კოსტიუმი, რომელიც არაფრით არ ჰგავს იმ კაცების ტანისამოსს, რომლებსაც მე ვიცნობ. და განსაკუთრებით კი ოქროს ძენკვი, რომელიც ბრწყინვალი მისი უილეტის სალილებიდან. მე ძლიერ ვლელავ, მეშინია, რომ ისეთ პასუხს ვერ გავცემ, რომლის მოსმენაც მას სურს. და როცა ის იმეორებს თავის შეკითხვას, მე ვიკრებ ძალებს და ვპასუხობ დაბალი ხმით: „მე ნუაიმეების სახლიდან ვარ“. ის ისევ მკოცნის. ჩვენ ვიწყებთ დიალოგს, რომლის სიტყვებიც ადრე მქონდა ნასწავლი და შემეძლო კარგად პასუხი და მანაც იცოდა, რომ ეს შემეძლო.

- რა გქვია?
- დაბული.
- რას ყიდი?
- ფქვილის ტომარას.
- გასამრჯელოს სად დებ?
- კალათაში.
- და ხომ არ იპარავ?
- გიუი კი არ ვარ!

ბიძია იბრაჟიმი იღიმის, იღიმიან გარშემომყოფნიც.

სახლისაკენ მიმავალ გზაზე დედას ვეკითხები:

- რატომ არ გვაქვს ისეთივე სახლი, რო-

გორიც ბიძია იბრაჟიმს?

- იმიტომ, რომ ჩვენ ლარიბები ვართ.
- და ისინი? (ვგულისხმობ ჩემს ბიძებს, მათ ცოლებს და ბებია უმ იბრაჟიმს, რომელიც ჯერაც ცოცხალია)
- ისინი მდიდრები არიან.
- და ჩვენ რატომ ვართ ლარიბები?
- იმიტომ, რომ ფული არ გვაქვს.
- და ისინი რატომ არიან მდიდრები?
- იმიტომ, რომ ფული აქვთ.

მე ხმადაბლა ვეუბნები:

- და ბიძია იბრაჟიმი რატომ არ გვაძლევს ფულს, რომ ისეთივე სახლი ავიშენოთ, როგორიც მას აქვს?

დედა მაჩუმებს ყვირილით:

- გაჩუმდი, ბიჭო!

რაც შეეხება ფულს, რომელზეც დედა საუბრობდა, პირველად მაშინ შევეხე, როცა დედამ რაღაც სპილენძის მონეტა მომცა მოხეტიალე ვაჭრისგან ცოტაოდენი ბარდის საყიდლად. სპილენძის ფული მაშინ ხუთი თურქული ყურუში ღირდა. დაახლოებით ოთხი წლის ან უფრო პატარა რომ ვიყავი, კარადის კუთხეში შემთხვევით ოქროს ლირა ვნახე, რომელიც სპილენძის მონეტად ჩავთვალე და წავედი მაღაზიაში კანფეტების საყიდლად. მაღაზიის მეპატრონე ნამუსიანი კაცი აღმოჩნდა. მან მომცა ცოტაოდენი კანფეტი, გამომართვა ლირა და შემდეგ დედაჩემს დაუბრუნა, უთხრა, მოფრთხილებოდა მას და არ ჩაეგდო იმ ბიჭის ხელში, რომელიც ოქროს ლირას ვერ არჩევდა სპილენძის მონეტისაგან.

თუმცა მე დღესაც არ ვიცი, რომელი მათგანი უფრო ძვირფასია: ოქრო თუ სპილენძი!...

მე მომისმენია უფროსებისაგან ბევრი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობაც არ მესმოდა. მათ შორის იყო უწმანური, უწყინარი და ნეიტრალური სიტყვები. ყოველ ჯერზე, როცა კი ავითვისებდი ახალ სიტყვას, ველოდებოდი შემთხვევას, რომ გამომეყენებინა ის, წარმომეჩინა ჩემი ლექსიკის მრავალფეროვნება და უფროსებივით საუბრის უნარი.

ერთხელ დედასთან ორი მეზობელი

იყო. სამივე საშინაო საქმეებზე საუბრობდა. მე კი უცებ ვისწავლე ახალი სიტყვა. ეს სიტყვა იყო „სიცრუჟ“. ის ნიშნავდა, როგორც მერე მივხვდი, ტყუილების სიმრავლეს. დედა მათ თავის შვილებზე უყვებოდა, კერძოდ კი – ჩემზე. დედამ თქვა, რომ მე გონიერი, მშვიდი და უბოროტო ბავშვი ვიყავი. თავი ვერ შევიკავე სიტყვა „სიცრუჟა“-ს წარმოთქმისგან. დედამ ისე ამინია ყური, რომ ტკივილისაგან ავყვირდი. შენც შეამჩნევ, რომ ყოველ ჯერზე, როცა კი ამ სიტყვას გავიგონებ, ვეხები ჩემს ყურს. რაც შეეხება ჩემს ენას, არა მგონია, ოდესმე კი-დევ შეძლოს ამ სიტყვის წარმოთქმა.

მახსენდება, როგორ დაიწყო ჩემი დამოუკიდებელი ცხოვრების ეტაპი, როცა უკვე დედის ნებართვის გარეშე შემეძლო ამეღო, რაც მსურდა და სახლის გარშემო სხვისი დახმარებისა და ზედამხედველობის გარეშე მეხეტიალა. უცებ აღმოვაჩინე, რომ მქონდა საყურე მარჯვენა ყურზე და ყელსაბამი – კისერზე. ერთიცა და მეორეც იყო ვერცხლისა. გამიხვრიტეს ყური და გამიკეთეს საყურე, რათა დავეცავი ავი თვალისაგან – ბოროტი და შურიანი ადამიანის თვა-

ლისაგან. ყელსაბამი კი სოფლის მონასტრისათვის აღთქმის მიცემის მოწმობა იყო და მისი მოხსნა მხოლოდ აღთქმის შესრულების შემდეგ შეიძლებოდა.

ყელსაბამის გამო მრცხვენოდა. ერთხელაც ის მოვისხენი და შორს მოვისროლე. ისიც მანუხებდა, რომ არც ერთ ჩემს თანატოლს საყურე არ ეკეთა, მას ხომ მხოლოდ ქალები და გოგონები ატარებდნენ. მე გადავწყვიტე მისი მოხსნა და არავის შინ ყურადღებას არ ვაქცევდი. ყურს ვისრესდი მანამ, სანამ მისი წვალებისგან სისხლი არ წამომივიდა და საყურე არ მოვისხენი. როდესაც დედამ დანაკარგი შენიშნა, გაცოფდა და დაიწყო საყურისა და ყელსაბამის ძებნა. იპოვა ყელსაბამი, რომელიც მისთვის საყურეზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. საყურეს ვერ მიაგნო და მე ეს ძალზე მახარებდა. დედამ კვლავ შემაბა ყელსაბამი და მეკეთა მანამ, სანამ დედამ სოფლის მონასტერს არ შეუსრულა შეთქმული. როცა მან მისაყვედურა ჩადენილის გამო, ვუთხარი: „მე ბიჭი ვარ და არა გოგონა!“

დღეს კი ვნატრობ, რომ ეს ყელსაბამი და საყურე ისევ მეკეთოს...

არაბულიდან თარგმნა  
მარიამ ქარდავამ

## გამუაჩემი ბუ იუსიფი

როდესაც ბაბუაჩემი ბუ იუსიფი გავიცანი, ის ოთხმოცს მიტანებული კაცი იყო, მრგვალსახიანი, მაღალი, ფართო მხრებით, თავზე აზიზურ ფესს<sup>1</sup> ატარებდა, მის ქვეშ კი პატარა ქუდი ეხურა. ჩვენთან, ბასქინთაში<sup>2</sup> დართული სოფლური შალის განიერ ხალათს და ლურჯი ნარმის ფართო შარვალს იცვამდა. ეს იყო ჩვეულებრივი ტანსაცმელი იმდროინდელი სოფლის მოსახ-

ლეობის უმრავლესობისთვის ლიბანის მთიანეთში.

უსაზღვროდ მომწონდა მისი კეთილგანწყობა, სასიამოვნო ღიმილი და წითელ-ძარღვიანი ლოყები. მამაჩემი მიყვებოდა, რომ ბაბუა ფიზიკურად ძალიან ძლიერი ყოფილა, იმდენად ძლიერი, რომ ერთხელ წისქვილის ქვაც კი უტარებია ზურგით. ის იყო სულით სუფთა და ხელგაშლილი ადა-

<sup>1</sup> აზიზური ფესის სახელწოდება ოსმალეთის იმპერიის სულთან აბდ ალ-აზიზის (1861 – 1876) სახელიდან მომდინარეობდა.

<sup>2</sup> ბასქინთა – ლიბანური მთის სოფელი.

მიანი, უარს არავის არასდროს ეუბნებოდა იმაზე, რისი გაკეთებაც შეეძლო.

ბაბუაჩემი ბუ იუსიფი გარდაიცვალა, როცა მე შევიდი წლისაც არ ვიყავი, მაგრამ ჩემმა მეხსიერებამ დაიმახსოვრა ის ფრაგ-მენტული სურათები, რომლებიც მასთან იყო დაკავშირებული. ყველა ეს ფრაგმენტი, ერთის გარდა, რომლის შესახებაც შემდეგ მოგითხობთ, ძალიან ძვირფასია ჩემთვის.

ამ ფრაგმენტული სურათებიდან ერთ-ერთში ვხედავ ბაბუაჩემს, მჯდომის ჩვენი სახლის ბანზე. მის ირგვლივ შემოკრებილა ნუაიმეს გვარის რამდენიმე მამაკაცი, რომლებიც მოვიდნენ წვერის გასაპარსად ერთ-ერთ ნათესავზე ორმოცდლიანი გლო-ვის შემდეგ. წარმოიდგინეთ ახლა მათი წვერის სიგრძე!

ოჯახში მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონდა სამართებელი. ის იყო წვერის გამპარსავი მთელი ოჯახისთვის. ჩემს მეხსიერებაში შე-მონახულ სურათში ბაბუაჩემი, რომელსაც თავსაც უპარსავენ, ამ რიგში პირველია. ეს წვერის გამპარსავი ხან ხელით ამონებს სამართებელს და ხანაც ფეხსაცმლის ძირ-ზე ლესავს მას. ამის შემდეგ საქმეს შეუდ-გება. უსველებს ბაბუაჩემს თავს, უსაპნავს და იწყებს პარსვას. აქეთ-იქიდან წითელ ძა-ფებად მოდის სისხლი, მაგრამ ბაბუაჩემი არ კრთება, ზის და ელაპარაკება ირგვლივ მდგომ ხალხს. თითქოს ეს სისხლი, რომე-ლიც მისი თავიდან მოედინება, სავალდებულო ხარკიან წვერის გამპარსავისა და მისი სამართებლისთვის, რომელსაც ბაბუა სია-მოვნებით გასცემს. იგივე სურათი მეორდება, როდესაც ბაბუას და სხვა კაცებს წვერს პარსავენ. ზოგი ყვირის ტკივილისგან, ზოგი ღმერთს სთხოვს დახმარებას და ზოგიც – ეშმაკს. წვერის გამპარსავი კი ასრულებს თავის რთულ მოვალეობას, გულგრილად ხვდება საყვედურებსაც და მადლობასაც. ის ბერავს ლოყებს, ხალათის სახელოთი ინ-მენდს ოფლს, რომელიც ღვარად ჩამოსდის სახეზე და სიცილით იმეორებს: „ეს წვერე-

ბი ნაჯახისთვის არის და არა – სამართებ-ლისთვის“.

ახლა სხვა სურათი, რომელშიც ვხედავ ჩემს თავს, მძინარეს ბაბუას გვერდით. მე ანგინა მაქვს და ჩემი სხეული ისეთი ცხე-ლია, თითქოს შიგნით ღუმელი მიდგასო. ყელი, გეგონება, გადაკეტილი მაქვს და ვერ ვყლაპავ ნერწყვს. ბაბუა კი მთელი ღა-მე ტანზე მეხება, მეხუტება და მეფერება სახეზე, შუბლსა და თავზე. ყურში მიმეო-რებს: „შენ ხარ ბაბუაშენის სული. ნეტავ მე მტკიოდეს ყელი შენ მაგივრად!“

რაკი გლანდები გავიხსენე, არა უშავს, თუ ცოტა ხანს ამ თემაზე შევჩერდები და მკითხველს მოვუყვები, თუ როგორ მკურ-ნალობდნენ მათ ანთებას ჩვენთან.

ჩვენს უბანში ერთი მოხუცებული ქალი იყო, ნუაიმეს გვარისა. არ ვიცი, ამ ქალზე მეტად ვინმე სხვა არის თუ არა ღვთის შენ-დობის ღირსი. როდესაც ჩვენ პატარები ვი-ყავით, ის გვიყუჩებდა ანგინის ტკივილს ჩვე-ულებრივი, ძალიან მარტივი ოპერაციით. დაიყრიდა ცოტაოდენ დანაყილ ყავას საჩვე-ნებელ თითზე, ჩაუყოფდა ხელს ავადმყოფს ყელში და მთელი ძალით აწვებოდა გლანდს, სანამ არ გასკდებოდა. თუ ვინმე უარობდა და პირს არ უდებდა, მაშინ ქალი ხის გასა-ღებს იყენებდა, რომელსაც ოპერაციის ბო-ლომდე უტოვებდა ბავშვს პირში, რათა ავადმყოფს მისთვის თითზე არ ეკბინა. უფ-ლის წყალობამც იყოს შენზე, უმ დაუდ<sup>1</sup>!

ახლა ისევ ბაბუა ბუ იუსიფს ვუბრუნ-დები, ამჯერად შახრუბში<sup>2</sup>; შახრუბზე შემ-დგომ მოგიყვებით. ჩვენ ვართ კალოზე, სა-დაც ხორბალს ლენავენ. თავთავები, რომლებიც ამ მოედანზეა, ჩვენია. რაც შეეხება ორ ხარს, რომელიც ეჭიდება სალენს, ისი-ნი ჩვენი არ არის. მამაჩემის ამერიკაში წასვლის შემდეგ ჩვენ აღარ გვყოლია ხა-რები, იმიტომ, რომ არავინ გვყავდა მათი მომვლელი. ბაბუა უკვე მოხუცი იყო.

ბაბუა ზის ამ სალენზე, ხელში წინ მიმავალი ხარების რქებზე წამოცმული

<sup>1</sup> უმ დაუდი – ქალის სახელი.

<sup>2</sup> შახრუბი – ლიბანური მთის სოფელი.

თოკი უჭირავს, მე კი მუხლებზე ვუზივარ. ჩვენ წინ სალენის ნიჩაბია დამაგრებული ნაკელის ასახვეტად, თუკი რომელიმე ხარს აზრად მოუვა, რომ მოისაქმოს. ხომ არ შეიძლება, რომ ხორბალი და ნაკელი ერთმანეთს შეერიოს! რაც შეეხება შარდს, ამას ყურადღებას არ ვაქცევთ.

ჩვენ ზემოთ ნათელი ცაა და კაშკაშა მზე. ჩვენ წინ არის სანინი<sup>1</sup>, თვალისმოძრელად თეთრ, მზის შუქზე მოკაშკაშე სამოსში. ჩვენ ირგვლივ ხეების ტოტებშიც სხვადასხვაგვარი პატარა ჩიტები მდერიან, შექუჩებული კლდეები ალაგ-ალაგ მაღლდებიან. მათ მიღმა კი მდელო იშლება, შორეული და საშიში. სალენი მანქანა ლენავს თავთავებს თავისი რკინის კბილანებით. ბალახიც მას უგდებს ყურს. ეს ყველაფერი ჩემს სულზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორსაც ყველაზე კარგი ორკესტრიც კი ვერ მოახდენდა მუსიკის დიდი მოყვარულის სულზე. მე ვტკბები ნაზი მტკრით, რომელიც მოფრინავს დამტკრეული თავთავებიდან და ეცემა სალენს, ბაბუას და მე. არ ვაქცევ ყურადღებას იმას, რომ პირი და ცხვირი მევსება ამ მტკრით. ერთგვაროვანია სალენის ტრიალი და ბგერები, რომლებსაც ის გამოსცემს, მზის სიკაშკაშე ჩემ ირგვლივ მთებსა და კლდეებზე, ნაზი ნიავი, რომელიც ამოდის მდელოდან და ჩვენამდე აღწევს, ორი ხარის ყურება, რომლებიც გაუჩერებლად აქნევენ თავიანთ კუდებს. ეს ყველაფერი ჩემს სულს შეუდარებელი სიხარულით ავსებს.

უეცრად ისმის ბაბუას ხმა, ჩუმი, წყვეტილი და ნაზი. ტანში ურუანტელი მივლის. ეს ის ურიალი როდია, რომელსაც შიში, სიცივე, ზიზდი იწვევს! არა, ეს არის ბედნიერების ურიალი, რომელიც მოდის უცაბედად და მოულოდნელად. ბაბუა მღერის:

„ო, სახლის პალმავ მაღალო, შენი დარაჯი ლომია,

მაგრამ დალენა ტოტები დიდმა შურმა;

მე ვთესდი და სხვა მოვიდა, ნათესი მოიმკო,

რა გულსატკენია! დამიბრუნეთ ხორბა-

ლი ჩემს ტომრებში“.

მე ვერ გავიგე სიტყვა პალმა, იმიტომ, რომ ის ჯერ არ მენახა. მე ის წარმოვიდგინე ხედ, რომელიც დახუნდლულია გემრიელი ნაყოფით. მისი ტოტები კი იმტკრევა ბოლმისა და შურიანების რისხვისგან. სამაგიეროდ, მე მესმის, რას ნიშნავს „თესვა“ და „მკა“. ტკივილს მგვრის ბაბუას ჩივილი იმაზე, რომ მან დათესა, მაგრამ სხვა მოვიდა და მოიმკო მოსავალი. გულს მტკენს მისი დარდი ხორბალზე და ბაბუას ხვეწნა მათთვის, ვინც მას ის წართვა და გაძარცვა – „დამიბრუნეთ ხორბალი ჩემს ტომრებში!“ ვნატრობ, ვიყო დიდი და მქონდეს ძლიერი ხელები, რომ შური ვიძიო ზნედაცემულ ხალხზე ბაბუას გამო. ბაბუაჩემი უკვე სხვა სამყაროში გადასახლდა და მე კი ვაგიზარდე, მაგრამ მისი ჩივილი სულ თან დამდევს, საითაც უნდა ვიბრუნო პირი, ჩივილიც და გულისტკენაც... მგონია, რომ ეს ჩივილი მილიონობით ხალხის ჩივილია და ეს მწუხარება კი ყველგანაა, განსაკუთრებით, აღმოსავლეთში. რა ბევრია ისეთი, ვინც თესავს და მერე მოდიან სხვები და იმკიან მათ დათესილს. ასევე ბევრნი არიან ისეთნიც, ვინც შეჰდალადებენ მათ, ვინც ისინი გაძარცვა – „რა გულსატკენია! დამიბრუნეთ ხორბალი ჩემს ტომრებში!“

ამის შემდეგ ბაბუაჩემი გადადის სხვა ხალხურ სიმღერაზე. რაც იქიდან მახსოვს, სულ ეს ორი სტროფია:

„უფალიმც იქნება შენთან, ლურჯებში ჩაცმულ!

უფალიმც შეენევა მახეში გაბმულ ჩიტს!

რა დიდია ჩემი გულისტკენა! ხსნის იმედი უკვე აღარ მაქვს,

ღმერთი სასოს არ წარუკვეთს თავის ქმნილებას!

რა დიდია ჩემი გულისტკენა! ხსნის იმედი უკვე აღარ მაქვს,

ხალხის რომ არ მრცხვენოდეს, გადავიკარგებოდი!

დავრგე პალმა ჩემს საცხოვრისთან,

<sup>1</sup> სანინი – მთის სახელი ლიბანში, მდებარეობს ბეირუტის აღმოსავლეთით.

მოვიდა სხვა და მისი ნაყოფი შეირგო“.  
მე მათრობს და მაბრუებს ბაბუას ტკბილი ხმა, რომელიც ქარს მიაქს შორს, შორს... სანინის მთის მწვერვალებისკენ. ვცდილობ, ნარმოვიდგინო ის ლურჯებში ჩაცმული, ვისაც ბაბუა მიმართავს. ნეტავ ვინ შეიძლება, რომ იყოს?! რატომ ეუბნება – უფალიმც შეეწევა მახეში გაბმულ ჩიტსო? რა შუაშია აქ მახეში გაბმული ჩიტი?!.. მაგრამ შემდეგ ჩემი სიამოვნების სიმთვრალესა და გაბრუებას სევდა შეერევა და აქ ჩემი ბაბუაც დარდობს იმაზე, რაც მან დარგო, დათესა, სხვამ კი დაასწრო მოსვლა და მოსავალი წაიღო. ეს ჩივილი და წუხილი, რომელიც მესმოდა ბაბუის და მამის სიმღერებში, იგივეა, რაც დღემდე მესმის მომღერლების ბაგეებიდან ჩვენს არაბულ აღმოსავლეთში. განა ჩვენი ხალხის ხორბალი კვლავ სხვის ტომრებში არ ხვდება?!..

უკვე ვთქვი, რომ ბევრი სურათია დაკავშირებული ბაბუასთან ჩემს მეხსიერებაში და ყველა მათგანი ძვირფასია ჩემთვის, ერთის გარდა. ბოლო წლებში ბაბუას ქრონიკული ფალარათი სჭირდა და მესმოდა, როგორ უკრძალავდა ბებიაჩემი ხან რას და ხან რას, მათ შორის, ყურძენსაც. იმ საცოდავს კი ძალიან უყვარდა ყურძენი. ერთხელ ყურძნის გამყიდველს ჩაუვლია და ამ დროს სახლში არავინ იყო ბაბუაჩემის გარდა. მან ეს შემთხვევა გამოიყენა და რამდენიმე მტევანი იყიდა. როგორც კი გადაიხადა და გამყიდველი წავიდა, გაისმა ბებიის ნაბიჯების ხმა და ბაბუამ სასწრაფოდ დამალა ყურძენი. მის მოძრაობებს თვალს ვადევნებდი, მან კი არ იცოდა, იქ რომ ვიყავი. როდესაც ის ბებიასთან ერთად გამოვიდა სახლიდან, მე ავიღე ყურძენი და გადავიტანე სხვა ადგილას, სადაც მისი მოძებნა რთული იქნებოდა. ამ საქციელისკენ ბაბუას ჯანმრთელობაზე ზრუნვამ მიპიძგა და სურვილმა, გამეადვილებინა შრომა ბებიისთვის და დედისთვის. ბაბუას ხომ ისინი უვლიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ბაბუა დაბრუნდა მარტო და გაეშურა პირდაპირ იქით, სადაც ყურძენი ჰქონდა დამალული, მაგრამ, რომ ვერ იპოვა, დაიწყო ძებნა ყველა კუთხეში, თან იმეორებდა – „ღმერთო, შენი სახელის ჭირომე!.. ო, იობის მოთმინებავ!..“ მე თვალყურს ვადევნებდი იმას, რაც ხდებოდა, მაგრამ ისე ვიქცეოდი, ვითომ არაფერი ვიცოდი. ამ დროს ბაბუამ ჩემზე ცუდად იფიქრა. მეითხა, მე ხომ არ შემიჭამია ყურძენი. ვარწმუნებდი, რომ არც მინახავს და არც გამისინჯავს.

იმ შემოდგომით ბაბუაჩემი გარდაიცვალა... გულში ისეთივე ნატრული ყურძნის, ისეთივე დარცხვენილი სურვილით, დაემალა სადმე სამი მტევანი, როგორც შემოდგომის იმ ერთ დღეს, როცა ისინი იყიდა... ო, ბაბუა ბუ იუსიფ... ასე მგონია, შენ დიდი ხანია, აპატიე შენს შვილიშვილს, შენს მოსახელეს, რომელიც ცუდად მოგექცა. მან ეს ბოლმით და ბოროტებით როდი ჩაიდინა, ღმერთო, დაგვიფარე!.. ამის გაკეთება მხოლოდ შენი თანადგომისთვის გაბედა და იმ ორი ქალისთვის, რომლებიც შენსავით უყვარდა. დღეს ის გულს გიხსნის, აღიარებს, რაც იყო და ისურვებდა, ეს არ მომხდარიყო.

ბაბუაჩემი იუსიფი გარდაიცვალა ისეთი სიკვდილით, როგორსაც საკუთარ თავსაც კი ვუსურვებდი. მზის ჩასვლის წინ მან ციებ-ცხელება იგრძნო და ბებიაჩემს სთხოვა, დაეგო ლოგინი და თბილად გადაეფარებინა მისთვის. ცოტა ხნის შემდეგ ციებ-ცხელება შეუწყდა და დაიძინა, მაგრამ დაახლოებით ერთ საათში ძილი დაასრულა და მისი გული გაჩერდა, აღარ ძეგრდა, აღარ გაუღვიძია. მამაჩემი ემიგრაციიდან ბაბუას გარდაცვალებამდე ერთ წლით ადრე დაბრუნდა. ეს დაბრუნება ბაბუასთვის საუკეთესო სალბუნი იყო, უფრო სწორად, ორივესთვის. სიყვარული, რომელიც მათ აერთიანებდათ, იყო ძალიან ძლიერი. ბაბუაჩემია იცოცხლა ოთხმოც წელზე მეტი.

## ატ-ტაიბ სალიპი

(1929-2009)

ატ-ტაიბ სალიპი ცნობილი სუდანელი მწერალია, რომელსაც ბედმა აღმოსავ-ლეთ-დასავლეთს შორის ცხოვრება არგუნა. ხართუმის უნივერსიტეტის დამთავ-რების შემდეგ ის სწავლის გასაგრძელებლად ლონდონში გაემგზავრა, სადაც 12 წლის განმავლობაში ბი-ბი-სის არაბულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მი-სი სამუშაო გამოცდილება საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და აღმოსავლეთ-და-სავლეთს შორის მოქცეული – მუშაობდა ჯერ სუდანში, შემდეგ ყატარის საინ-ფორმაციო სამინისტროში გენერალურ დირექტორად, შემდეგ უკვე სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების წარმომადგენლად იუნესკოში, პარიზში.

ოჯახურადაც აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი იყო. ჰყავდა ინ-გლისელი ცოლი.

ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და მუდმივმა მოგზაურობამ აღმოსავ-ლეთ-დასავლეთს შორის მწერლის მხატვრულ შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა. მას სახელი სწორედ ამ კულტურათა კონფირონციაციის თემაზე დაწერილმა რო-მანმა „მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში მოუტანა“.

აქ წარმოდგენილი მოთხოვობა „ერთი მუჭა ფინიკი“ ატ-ტაიბ სალიპის ერთ-ერთი ადრეული ლიტერატურული ნაწარმოებია.

### ერთი მუჭა ფინიკი

იმ დროს წამდვილად ძალიან პაპარა უნდა ვყოფილიყავი. არ მახსოვს, ზუსტად რამდენი წლის, თუმცა მახსოვს, როდესაც ხალხი პაპაჩემთან ერთად მხედავდა, თავზე ხელს მისვამდა და ლოყებზე მჩქმეტდა, რა-საც თავად პაპაჩემს არავინ უკეთებდა. უც-ნაური ის იყო, რომ არასდროს გავსულვარ გარეთ მამაჩემთან ერთად, სამაგიეროდ, პაპაჩემს ყოველთვის თან დავყავდი, სადაც არ უნდა წასულიყო. გამონაკლისი იყო დი-ლაობით, როცა მეჩეთში მივდიოდი ყურა-ნის სასწავლად. მეჩეთი, მდინარე, ველები – ეს იყო ჩვენი ცხოვრების ლირსშესანიშნაო-ბები. მაშინ, როცა ჩემი თანატოლების უმე-ტესობა ბუზლუნებდა ყურანის დასწავლა-ზე და მეჩეთში სიარულზე, მათგან განსხვა-ვებით, მე მიყვარდა იქ წასვლა. მიზეზი, ალ-ბათ, ის იყო, რომ მე სწრაფად და მარტივად შემეძლო ყურანის დაზეპირება. როცა სტუმრები გვყავდა, შეიხი ყოველთვის მთხოვდა, ავმდგარიყავი და წამეკითხა არ-რაჰმანის სურა<sup>1</sup>. სტუმრებიც თავზე ხელს მისვამდნენ და მეფერებოდნენ ხოლმე ისე-

ვე, როგორც ის ადამიანები, პაპაჩემთან ერთად რომ მხედავდნენ.

დიახ, მე მიყვარდა მეჩეთი. მიყვარდა მდინარეც. დილას, როგორც კი ყურანის კითხვას დავასრულებდით, მოვისროდი ხოლმე ჩემს ხის დაფას, ჭინკასავით გავ-რბოდი დედასთან, უსწრაფესად ვსადი-ლობდი, ისევ გავრბოდი, ამჯერად მდინა-რისკენ და ჩავყურყუმელავდებოდი ხოლმე მასში. ცურვით დაღლილი, ვჯდებოდი ნა-პირზე და მდინარეს მივწერებოდი. ის აღ-მოსავლეთით უხვევდა და აკაციის ხეების დაბურული ტყის უკან იმალებოდა. მე ეს მიყვარდა. ამ დროს თავისუფლებას ვაძ-ლევდი ჩემს ფანტაზიას და წარმოვიდგენდი გოლიათი ადამიანების ტომს, რომელიც ამ ტყის იქით ცხოვრობდა... წარმოვიდგენდი მაღალ და გამხდარ ხალხს, თეთრი წვერითა და წვეტიანი ცხვირით, როგორიც, მაგალი-თად, პაპაჩემს ჰქონდა. მისი ცხვირი მარ-თლაც ძალიან წვეტიანი იყო და ყოველ-თვის, სანამ უამრავ შეკითხვაზე მიპასუ-ხებდა, საჩვენებელი თითით თავისი ცხვი-

<sup>1</sup> არ-რაჰმანის (შემწყნარებლის) სურა – ყურანის 55-ე სურა.

რის წვეტს შეეხებოდა ხოლმე. მას სქელი და რბილი, ბამბასავით თეთრი და ფაფუკი წვერი ჰქონდა. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი თვალისმომჭრელი სითეთრე და მსგავსი სილამაზე. იმ დროს ის მეტისმეტად მაღალი უნდა ყოფილიყო, რადგან ყველას, ვისაც არ უნდა მიემართა მისთვის, ზემოდან დაჰყურებდა. არასდროს მინახავს, პაპაჩემი სახლში შემოსვლისას ძალიან არ მოხრილიყო, რაც მდინარის მოხრამოხვევას მაგონებდა აკაციის ტყის უკან. პაპაჩემი დიდი, მაღალი და ტანადი კაცი იყო. მე ის მიყვარდა. წარმოვიდგენდი ჩემს თავს უკვე დიდ კაცად, როგორ დავდიოდი მასავით დიდი ნაბიჯებით. მგონია, რომ პაპაჩემსაც შვილიშვილებში გამორჩეულად მე ვუყვარდი. ბიძაჩემის შვილები იდიოტები იყვნენ, მე – ჭკვიანი ბავშვი. ასე ამბობდა ყველა.

ვიცოდი, პაპაჩემს როდის უნდოდა, რომ გამეცინა და როდის – ჩუმად ვყოფილიყავი. მახსოვდა მისი ლოცვის დროები, როდესაც უნდა მიმეტანა მისთვის სალოცავი ხალიჩა და გამეშალა მანამ, სანამ ამას თვითონ მთხოვდა. მას სიამოვნებდა ჩემი მოსმენა თავისუფალ დროს, როცა ყურანიდან სურებს წამლერებით ვუკითხავდი. ამ დროს მისი სახე მეუბნებოდა, რომ ალფროთოვანებული იყო ამით. ერთ დღესაც ჩვენი მეზობელი მასუდით დავინტერესდი და პაპაჩემს ვუთხარი:

– ვფიქრობ, ჩვენი მეზობელი მასუდი არ უნდა მოგწონდეს!

საჩვენებელი თითოთ თავისი ცხვირის წვერს შეეხო და ამის შემდეგ მიპასუხა:

– ის უქნარა კაცია. არ მიყვარს უქნარა ადამიანები.

მე კი ვკითხე:

– რას ნიშნავს უქნარა?

პაპაჩემმა თავი დახარა და ცოტა ხნის შემდეგ მიპასუხა:

– გახედე ამ ფართო ველს. ხომ ხედავ უდაბნოს კიდიდან ნილოსის უკიდურეს ნაპირამდე გადაჭიმულ ას ფედან<sup>1</sup> მინას?! ამდენ პალმის ხეს ხომ ხედავ!.. და ამ აკაციის ხეებს?.. – სანტს, ტალპს, საიალს?!..<sup>2</sup> ეს

ყველაფერი მასუდის მემკვიდრეობა იყო, მამამისისგან მიღებული.

ვისარგებლე სიჩუმით, პაპაჩემს მოვაშორე მზერა და ვრცელ ველზე გადავიტანე, რომელიც მან თავისი სიტყვებით შემომიფარგლა. მე არ მადარდებდა, ვინ ფლობდა ამ ფინიკის პალმებს, ამ ხეებს და არც ეს დაბზარული შავი მინა მადარდებდა. ის, რაც ზუსტად ვიცოდი, ის იყო, რომ ეს ყველაფერი ჩემი ოცნებების სცენა და სათამაშო მოედანი გახლდათ.

ამ დროს პაპაჩემი საუბარს დაუბრუნდა:

– ასეა, ჩემო ბიჭო, ამ ყველაფერს 40 წლის წინ მასუდი ფლობდა. მისი ორი მესამედი ახლა ჩემია!

ჩემთვის ეს მოულოდნელი სიახლე იყო, როდგან ამ მინების მფლობელი სამყაროს შექმნის დღიდან პაპაჩემი მეგონა.

– ერთ ფედანსაც კი არ ვფლობდი, როდესაც პირველად დავდგი ამ მინაზე ფეხი. მასუდი იყო მთელი ამ სიკეთის ბატონ-პატრონი. თუმცა ახლა მდგომარეობა სრულიად საპირისპიროდ შეიცვალა. ვფიქრობ, სანამ ალაპი საიქიოში მიმიბარებს, მე შევიძენ დარჩენილ მესამედსაც.

ვერ მივხვდი, რატომ აღმიძრა შიში პაპაჩემის სიტყვებმა და სიბრალული ვიგრძენი ჩვენი მეზობელი მასუდის მიმართ. როგორ მინდოდა, რომ პაპაჩემს ეს არ გაეკეთებინა! მახსოვს მასუდის სიმღერა, მისი სასიამოვნო, მელოდიური ხმა და ხმამაღლი სიცილი, რომელიც წყლის რაკრაკს მაგონებდა. პაპაჩემს კი არასდროს გაუცინია. ვკითხე მას:

– რატომ გაყიდა მასუდმა თავისი მინა?

– ქალები... – პაპაჩემმა ისე წარმოთქვა ეს სიტყვა, ვიგრძენი, რომ „ქალები“ რაღაც საშინელება იყო.

– მასუდი, ჩემო ბიჭო, ბევრჯერ დაქორწინებული კაცია, რომელიც ყოველი ახალი ცოლის მოყვანაზე ერთ ან ორ ფედან მინას მომყიდდა ხოლმე.

გონებაში სწრაფად გამოვთვალე, რომ მასუდი 90 ქალზე უნდა ყოფილიყო დაქორწინებული. შემდეგ გამახსენდა მისი საცო-

<sup>1</sup> ფედანი – მინის ფართობის საზომი ერთეული, დაახლოებით 0,42 ჰექტარი.

<sup>2</sup> სანტი, ტალპი, საიალი – აკაციის სახეობები.

დავი გამომეტყველება, სამი ცოლი, კოჭლი ვირი, გატეხილი უნაგირი და ჯილბაბი<sup>1</sup> გაცვეთილი სახელობით. მინდოდა, წამე-შალა მეხსიერებიდან ეს ფიქრები, ჩვენები მომავალი მასუდის გამოჩენაზე რომ მომე-ჯარა. მე და პაპაჩემმა ამ დროს ერთმანეთს გადავხედეთ.

მასუდი მოგვიახლოვდა და გვითხრა:

— დღეს ფინიკის მოსავლის აღების დღეა, არ გინდათ, დაესწროთ?

ვიგრძენი, რომ მასუდს, სინამდვილეში, არ სურდა პაპაჩემის დასწრება. მიუხედავად ამისა, პაპაჩემი სწრაფად წამოდგა. ამ დღროს დავინახე ძლიერად მოელვარე და წა-მიერად გაბრნენიებული მისი თვალები. ხე-ლი ჩამჭიდა და მასუდის ფინიკის მოსავლის აღებაზე წავედით. ვიღაცამ ხარის ტყავგა-დაკრული სკამი მოიტანა პაპაჩემისთვის. ის დაჯდა, მე კი დავრჩი ფეხზე მდგარი. იქ უამრავი ადამიანი იყო. მათგან ყველას ვიცნობდი, მაგრამ რატომლაც მე მაინც მა-სუდს ვუყურებდი. ის შეკრებილთაგან მო-შორებით იდგა, თითქოს ეს საქმე მას არ ეხებოდა. არადა, ფინიკი, რომელსაც კრეფ-დნენ, მის პალმებს ესხა. ზოგჯერ მასუდის ყურადღებას მიიპყრობდა ფინიკების ასხმა, რომელიც დიდი სიმაღლიდან ეცემოდა. მა-სუდმა ერთხელ პალმის კენწეროზე შემომ-ჯდარ დამხმარე ბიჭს, თავისი ბასრი ნამ-გლით ფინიკის ასხმას რომ ჭრიდა, ასძახა:

— ფრთხილად! პალმის გული არ მოჭრა!

მის ნათქვამს ყურადღება არავინ მიაქ-ცია, პალმის კენწეროზე მჯდომი ბიჭი კი სწრაფად და ენერგიულად აგრძელებდა თავის საქმეს. ფინიკი თითქოს პირდაპირ ზეციდან ცვიოდა...

მე დავიწყე ფიქრი მასუდის სიტყვებზე — „პალმის გული“. პალმა წარმოვიდგინე ისეთ რამედ, რაც საკუთარ გულისცემას გრძნობდა. გამახსენდა მასუდის სიტყვები, ნორჩი პალმის შიშველი ტოტით თამაშისას რომ დამინახა და მითხრა:

— პალმაც, ჩემო ბიჭო, როგორც ადამია-ნი, განიცდის სიხარულსა და მწუხარებას...

ამ დროს თავი შინაგანად დარცხვენი-ლად ვიგრძენი, რასაც ახსნა ვერ მოვუძებ-ნე.

როდესაც კიდევ ერთხელ გავხედე ჩემ

წინ გადაშლილ სივრცეს, ველს, დავინახე, ჩემი ამხანაგები ჭიანჭველებივით როგორ ფუთფუთებდნენ პალმის ხეების ძირში და აგროვებდნენ ფინიკს, რომელთა უმეტესო-ბას თვითონვე მიირთმევდნენ.

იქვე დახვავებულ ფინიკს თანდათან ემატებოდა. შემდეგ დავინახე, როგორ მი-დიოდა ხალხი. ისინი ჯერ წონიდნენ და შემ-დეგ ტომრებში ყრიდნენ მას. 30 ტომარა დავთვალე. ბრბო დაიშალა, თუმცა დარ-ჩნენ ვაჭარი ჰუსეინი და მუსა, რომლის ნაკ-ვეთი აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ჩვენსას. ასევე არსად წასულიყო ორი უც-ნობი კაცი, რომლებიც აქამდე არ მენახა. საიდანლაც ჩუმი სტვენის ხმა მომესმა. მი-ვიხედ-მოვიხედე და დავინახე პაპაჩემი, რომელსაც ჩასძინებოდა. შემდეგ მასუდს გადავხედე. ის იმავე მდგომარეობაში დამ-ხვდა, ოღონდ ახლა პირში ლერწმის ღერო ედო და ისე ღეჭავდა, როგორც ჭამით გამ-დლარი, რომელიც კიდევ ერთ ლუკმას იდებს და აღარ იცის, რა უყოს მას. ამასო-ბაში პაპაჩემს გაეღვიძა, წამოდგა და ფინი-კის ტომრებისკენ წავიდა. მას გაჰყვნენ ვა-ჭარი ჰუსეინი, ჩვენს მეზობლად წაკვეთის მფლობელი მუსა და ორი უცნობი.

მეც პაპაჩემისკენ წავედი, თან მასუდს გავხედე და დავინახე, ჩვენები ისე ნელა მო-დიოდა, თითქოს ფეხები უკან ეწეოდნენ.. ფინიკის ტომრების გარშემო წრე შეკრეს და დაინყეს ფინიკის მარცვლების გასინ-ჯვა. ერთი მუჭა ფინიკი მომცა პაპაჩემმა და მეც დავიწყე ჭამა. დავინახე მასუდი, რომელიც ფინიკით ივსებდა მუჭს, ცხვირ-თან ძალიან ახლოს მიჰქონდა და ისევ თა-ვის ადგილას აბრუნებდა. შემდეგ დავინახე, ფინიკით სავსე ტომრებს ერთმანეთში იყოფდნენ.

ვაჭარმა ჰუსეინმა ათი ტომარა აიღო, ორმა უცნობმა — ხუთ-ხუთი. მუსამაც, რომლის ნაკვეთიც ჩვენსას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა, ხუთი ტომარა წა-იღო. პაპაჩემმაც — ხუთი ტომარა. ვერაფე-რი გავიგე. გადავხედე მასუდს და დავინახე მისი თვალები, გზააბნეული პატარა თაგვე-ბივით როგორ გაურბოდა ხან მარჯვნივ და ხანაც — მარცხნივ.

<sup>1</sup> ჯილბაბი — კაცის გრძელი, განიერი ტრადიციული სამოსი არაბულ აღმოსავლეთში.

პაპაჩემმა მასუდს უთხრა:

— კიდევ ხუთი გინეა გმართებს ჩემი, მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვიღაპარაკოთ.

ჰუსეინმა მსახურებს დაუძახა და ტომ-რების გადასაზიდად ვირები მოაყვანინა, ორმა უცნობმა კი აქლემები მოიყვანა. დატვირთეს ისინი და ცოტა ხანში ერთ-ერთი ვირი აყროყინდა, აქლემი პირიდან ქაფებს ყრიდა და ბლაოდა.

მასუდის სიახლოვეს აღმოვაჩინე თავი. მისკენ ისე გავიწვდინე ხელი, თითქოს მინდოდა, მისი სამოსის კიდეს შევხებოდი. ამ დროს გავიგონე, დასაკლავი ცხვარივით

როგორ ამოუშვა ყელიდან ხმა. ვერ მივხვდი მიზეზს, მაგრამ მკერდში მწვავე ტკივილს ვგრძნობდა. რაღაც მანძილი გავირბინე მოშორებით. იმ მომენტში ვიგრძენი, რომ მძულდა პაპაჩემი. სირბილს მოვუმატე. ასე მეგონა, თითქოს მკერდით საიდუმლოს ვატარებდი და რაც შეიძლება მალე უნდა გავთავისუფლებულიყავი მისგან.

მივაღწიე მდინარის იმ ნაპირს, რომელიც აკაციის ტყის უკან უხვევდა. არ ვიცოდი რატომ, მაგრამ ყელში თითო ჩავიყავი და გული ავირიე, ერთი მუჭა ფინიკისგან გავთავისუფლდი.

**არაბულიდან თარგმნა  
ლია ლონდარიძემ**

## ღადა ას-სამანი (ღაიბ. 1941 წ.)

სირიელი უურნალისტი, მწერალი, პოეტი ღადა ას-სამანი დამასკოში დაიბადა. მომავალმა მწერალმა უნივერსიტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით დაამთავრა. ლიტერატურულ ასპარეზზე სამოციანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. მას ეკუთვნის ნოველებისა და ლექსების რამდენიმე კრებული, რომანები, უურნალისტური ჩანაწერები, სტატიები, ასევე, ერთი პიესაც. ას-სამანი ცდილობს, კრიტიკულად მიუდევს ტრადიციას. მისთვის მნიშვნელოვანია აზრისა და გრძნობის გამოხატვის თავისუფლება როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის. ას-სამანის წიგნები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე, მათ შორის – ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად, გერმანულად, რუმინულად, პოლონურად, რუსულად. ქართულად ღადა ას-სამანის ლექსები თარგმნილია გ. ლობჟანიძის მიერ.

### ზღვის ჩალი

წრე დამიხატა კედელზე,  
მითხრა: ჩადექი.  
ადგილს მოვწყდი და გავიქეცი  
ზღვის ქუჩებისკენ.

...

ბრაზმორეული წამომენია,  
სახეში რაღაც ჩამუივჟივა, მერე მეჩხუბა,  
მითხრა, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანია,  
რომ „პირდაპირი ეთერია“,  
რომ სტუდიაში უნდა დავბრუნდე,  
რომ ცარცის წრეში უნდა ჩავდგე  
განათების ქვეშ.

...

საცოდავმა  
და სველმა, ზამთრის მათხოვარივით  
ვცადე, ამესსნა –  
მეც ვარ-მეთქი მნიშვნელოვანი.  
არა, არასდროს დავანებებ,  
რომ გამომკეტოს  
ცარცით მოხაზულ წრეში  
კედელზე, მიწაზე...  
თუნდაც სცენაზე.  
არ დავანებებ, გამომკეტოს  
არც მისი,  
არც სიყვარულის,  
არც რეპუტაციის,  
არც სხვა რაიმეს სახელით.

...

აჰა, აიღე ჩემი გული, ვაშლივით ჩაკბიჩე,  
ოღონდ  
ნუ გამომამწყვდევ ჩაკეტილ წრეში!..

...  
 პირველად შევნიშნე შეშინებულმა –  
 შენი სახელის პირველი ასო  
 წრის ნაწილია.  
 ნულარ აგრძელებ მის ხატვას ჩემ გარშემო!

...  
 საათი მრგვალია,  
 თუმც დროის ქვიშა  
 ის იდუმალი უდაბნოა,  
 გეომეტრიულ ფიგურებს რომ დასცინის.  
 მძულს წრე,  
 ოთხკუთხედიც და სამკუთხედიც,  
 დემონსტრაციაზე გამოვალ  
 წრის და პარალელოგრამის წინააღმდეგ,  
 ყველაფრის წინააღმდეგ,  
 რაც ციხესავით ჩაკეტილია...  
 მხოლოდ მოძრავი წერტილი მიყვარს  
 და სევდას მგვრიან  
 პარალელური ხაზები,  
 რომლებიც ისე გარბიან,  
 რომ ერთმანეთში, ერთმანეთს შორის  
 არაფერს ცვლიან.

...  
 გაგექცევი!...  
 მარტო დავდგები მე ზღვის ნაპირზე,  
 თავისუფლების ცარცით დავხატავ  
 წრეს, ორივ კიდით ზღვისკენ გადახსნილს,  
 ვიხტუნებ მასში  
 და გავქანდები მერე ზღვისაკენ,  
 წრიდან – ზღვისაკენ...  
 ზღვისაკენ...  
 ზღვაში...

### შენი ყინულის სასახლის დედოფალი

ახლა სადა ხარ, ჩემზე ძლიერ გაბრაზებულო?  
 დამღუპე, რადგან მხოლოდ ფლობა გინდოდა ჩემი.

...  
 ჩვენ ვერ შევძელით  
 შეხმატკბილებულთ გვეფრინა ერთად,  
 ანდა წყალქვეშა ოქროს გემზე დავმსხდარიყავით.

...  
 სადა ხარ?  
 საკუთარი თავისგან  
 ჩემი თავისუფლების მტერი რატომ შექმენი?  
 რად მაიძულე, რომ გამეგდე  
 ამ ცხოვრებიდან?

...

ერთ დროს  
მხურვალე ძღვნად მიგიღე,  
ტრფობის უღრანში წყაროს სათავე იყავი ჩემთვის,  
იყავი ის, ვინც  
რაღაც წვრილმანი ტრადიციების  
უხილავ ლაფში არ ეფლობოდა.

...  
ერთ დროს  
გახსნილ არსებად ვიყავ შექმნილი,  
როგორც სიცოცხლის სინათლის ფილა,  
ყველა იმ ვნებას და სიგიჟეს რომ გჩუქნიდა,  
რითაც ბუნებამ დააჯილდოვა,  
უხვად, უსაზღვროდ,  
ოფიციალური ვაჭრობის,  
საჯარო აუქციონების გარეშე.

...  
რად დაამსხვრიე ფილა, სულელო?  
ექსპერტებს რისთვის გამოუძახე?

...  
იმავე მელოდიას ვუსმენ...  
ვიხსენებ  
დღეს, როცა თავი  
შენს მკერდზე მედო.  
და იყო ერთი მცირე წამი უსასრულობის,  
უსასრულობის იმ წამებში გამორეული,  
„ჩემს მახსოვრობას“ რომ ვერ ვარქმევ,  
ვით ბავშვს არ ახსოვს დაბადების პირველი წამი,  
გარდაუვალი სიკვდილი ერთ დღეს...

...  
შენ შეეცადე,  
ყინულის სასახლის დედოფალი  
შეგექმნა ჩემგან,  
თუმც მე ვარჩიე  
თავისუფლების უდაბნოები.

...  
ვიხსენებ,  
გიხსენებ თავშეეკავებული სურვილით...  
იმ ბედნიერი, სევდიანი წამიდან მოყოლებული,  
როცა ვიცრუე – ჩემთან შეხვედრის  
მოგეცი ნება,  
დღეები ისე მიგორავდნენ,  
ვით ბურთი – ქართა მოედანზე...  
და მე ვიცოდი, მიგატოვებდი.

...  
დრო ისევ მდორედ მიედინება,  
ვერ გიბრუნდები, გზა დავკარგე..  
თუმცა ახლაც გულით მიყვარსარ,  
გულწრფელად ვამბობ უარს შენზე.

...

ვაღიარებ!  
ყველა არსებაზე მეტად მიყვარდი,  
მაგრამ შენთან თავს უცხოდ ვგრძნობდი,  
უფრო უცხოდაც,  
ვიდრე ნებისმიერ სხვა არსებასთან.

...

არც სიყვარული მიგრძნია, არც მეგობრობა,  
არც უსაფრთხოება, არც ერთსულოვნება.  
მფეთქავი ვნება იყო შენთან, ქარაფშუტული,  
ფხიზელი ძილი და... მორჩილება  
დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი  
ტკბობის.

სადა ხარ ახლა?

ან რად მინდა, რომ ვიცოდე, ახლა სადა ხარ?  
რომ მცოდნოდა, დედამიწის  
მეორე მხარეს გავიქცეოდი?!

...

ბედნიერი ხარ?

მე – არა.

მხოლოდ შენზე შურისძიება მაბედნიერებს.

...

გენატრები?

მე – არა.

მას შემდეგ, რაც გაგექეცი,  
მწველი გამოწვევის წამები შევიცანი  
ვნების საზღვრებზე...

...

უცხო ხარ?

მე – კი.

და ვიმეორებ, რომ შენთანაც უცხო ვიყავი  
და დავრჩი ასე უცხო, უცხოდ,  
გაუცხოებული  
შენ გარეშეც,  
შენთან ერთადაც,  
სამუდამოდ!

### სიყვარულის დილა

ბავშვი ხარ, ქარებს ადევნებული...  
ჩვენ შორის კი მშიერი მეგობრობაა  
და ის მძაფრი, გაუაზრებელი გრძნობები,  
რომლებსაც სახელს ვერ ვუძებნი...  
მისი ერთი სახელთაგანი სიყვარულია.  
მას შემდეგ, რაც გაგიცანი,  
ბედნიერება კვლავ ჩამისახლდა,  
მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ ვარსკვლავზე ვცხოვრობთ  
და თავს ერთი მზე დაგვნათის.

მაშინებს, რომ გაგიცანი  
და „სიხარული“ რომ გიწოდე.  
ყოველ დილით, ჩემი ფერფლიდან აღმდგარი,  
ჩემივე ხმით გაღვიძებული, გეუბნები:  
სიყვარულის დილას გისურვებ, სიხარულო...  
და რაკი მიყვარხარ,  
ყველაფერი, რასაც კი ხელით ვეხები,  
სინათლედ იქცევა.  
და რაკი მიყვარხარ,  
მთელი მსოფლიოს კაცები მიყვარს,  
მისი ბავშვები, ხეები, ზღვები და ქმნილებები,  
მხეცები, თევზები, ავაზაკები და დაჭრილები,  
მასწავლებლის ცარცით დასვრილი თითები,  
საავადმყოფოების უფარდო ფანჯრები...  
რაკი მიყვარხარ,  
კვლავ ჩამისახლდნენ ვნებები  
და სიხარულმა აავსო  
ჩემი ჩამქრალი სულის კონტინენტები.  
რაკი მიყვახარ,  
ფერები ისევ დაუბრუნდა სამყაროს,  
მანამდე შავს და უფერულს  
ძველი, გაცრეცილი მუნჯი ფილმებივით...  
ყელიც, მინდორიც ამღერდა თითქოს,  
ჩემი გული კი კვლავ გაიჭრა ულრან ტყეებში –  
თავნება ქურციკივით აქოშინებული...  
შენს უსასრულო სიშორეების პიროვნებაში  
ყოველდღე ახალი კაცი სახლდება,  
ყოველდღე ახალი სიყვარული მაქვს შენთან,  
განუწყვეტლივ გლალატობ,  
შენი ღალატის გემოსაც ვსინჯავ.  
სულ ყველაფერი შენს სახელად  
და შენს ხმად იქცა.  
როდესაც ვცდილობ, რომ გაგექცე,  
მაშინაც კი  
სხივის ძვალი ყურთან მაქვს მიდებული,  
ყურს ვუგდებ ჩემი საათის წიკნიქს,  
ის კი შენს სახელს იმეორებს  
წამიდან წამზე...  
არ შემყვარებია,  
მტკიცე ნაბიჯით გავემართე მისკენ,  
ბოლომდე გახელილი თვალებით.  
მე სიყვარულში ვდგავარ,  
არა ვარ მასში ჩავარდნილი.  
შეგნებით მინდიხარ  
ან იმ გონებით, რაც შენი გაცნობის შემდეგ შემომრჩა.  
გადავწყვიტე, რომ მყვარებოდი..  
ეს იყო სურვილის აქტი და არა მარცხის.  
და აპა, მთელი ჩემი გონით (ანდა სიგიჟით)  
შენს შემოღობილ სულს ვაბიჯებ.

წინასწარ ვიცი,  
 რომელ ვარსკვლავში აენთება ცეცხლი,  
 ან რომელი ქარიშხალი ამოვარდება ცოდვის ყუთიდან...  
 შენკენ ვისწრაფვი,  
 შენს საზღვრებში ჩემს საზღვრებს ვკარგავ,  
 ერთად ვტივტივებთ ღრუბლებს ზემოთ.  
 გეძახი: მევ...  
 და შემოდიხარ ჩემს სხეულში,  
 როგორც აღლუმი.  
 როცა მიდიხარ,  
 შენი შეხების ნაკვალევის თვლას ისე ვიწყებ,  
 როგორც მპარავი ითვლის ხოლმე თავის ნაქურდალს,  
 და მათ სიხარულს თავად ვპირდები.  
 კურთხეულია ის სხეული, რომელიც შენ შემოგიერთე,  
 ვაკურთხებ ქალებს, ვინც კი მართლა გულით მიყვარდა,  
 კურთხეულია ყველა სიტყვა, რისიც ვირწმუნე  
 და ის მუცლები, შენი შვილები რომ გამოზარდა,  
 კურთხეულია ყველაფერი, რაზეც ოცნებობ  
 და ყველაფერი, რაც დაგავიწყდა.  
 შენთვის  
 მცენარეები იზრდება მთაში,  
 შენთვის  
 ტალღები იბადებიან  
 და პორიზონტზე ზღვა ისახება,  
 შენთვის  
 ბავშვები იცინიან შორეულ სოფლებში,  
 შენთვის  
 ქალები ირთვებიან, იკაზმებიან,  
 შენთვის  
 კოცნა გამოიგონეს!..  
 მე კი აღვდგები საკუთარი ფერფლიდან,  
 შენ რომ მიყვარდე!  
 ყოველ დილით აღვიმართები ჩემი ფერფლიდან,  
 რომ მიყვარდე, მიყვარდე, მიყვარდე,  
 და პოლიციელს ჩავყვირებ სახეში  
 (ხომ ყველა პოლიციელია, როცა საქმე ქალს ეხება):  
 სიყვარულის დილას გისურვებ!  
 დილა სიყვარულისა, სიხარულო!

არაბულიდან თარგმნა  
**ნინო დოლიძემ**

## საბრინ ას-საბალი

(დაიბ. 1967წ.)

ცნობილი ეგვიპტელი მწერალი ქალი საბრინ ას-საბალი დაიბადა ქ. ალექსანდრიაში, ცირკის ცნობილ მსახიობთა ოჯახში.

ორი წლის ასაკიდან მონაწილეობდა პატარა საცირკო წარმოდგენებში, სატელევიზიო სპექტაკლებსა და კინოფილმებში. დიდ დროს უთმობდა სიმღერას. წარმატება მოუტანა დიდი ეგვიპტელი მომღერლის, უმ ქულსუმის, როლის შესრულებამ ამავე სახელწოდების სერიალში. ყველასათვის მოულოდნელად მიატოვა სცენა და ჩადრში გაეხვია, რასაც მისი პირველი ქორწინება შეენირა – ქმარმა, ცნობილმა ბიზნესმენმა – აბდუ ლატიფმა, მიატოვა. 2006 წლიდან ისევ დაუბრუნდა სამსახიობო კარიერას, რომელსაც დღემდე წარმატებით აგრძელებს.

არის მწერალთა, მთარგმნელთა და კომპოზიტორთა კავშირების წევრი. გამოქვეყნებული აქვს ნოველების ხუთი კრებული და ორი რომანი. მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული ჯილდო და პრემია. მათ შორისაა: ეგვიპტის მწერალთა კავშირისა და არაბული ქვეყნების ლიგის პრემიები – „ნოველის ჟანრში წარმატებული მოღვაწეობისთვის“.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი SMS ლიტერატურის ნიმუშები ამოღებულია კრებულიდან „ლამის ათი საათი“, კაირო, 2012.

\*\*\*

არ შეედრება ომების სისასტიკე  
ორი ქალის ომს...  
ერთი მამაკაცისათვის.

\*\*\*

არ გაგიკვირდეს, თუ ერთ დღეს  
მოტირალს მნახავ, მეორე დღეს – მოცინარს...  
იმ ყვავილივითა ვარ...  
დღეს ქორწილს რომ ამშვენებს,  
ხვალ კი – საფლავს.

\*\*\*

როცა კი ჩემი სევდის მოკვლა დავაპირე,  
თოფი ცარიელი დამხვდა...

\*\*\*

მკითხეს: ასე იოლად დაივინყე?  
ვუპასუხე: ვინ უფრთხილდება იაფთასიან საჩუქრებს?!

\*\*\*

მუხანათური განშორება გვკლავს...  
და... არ არსებობს კანონი,  
პასუხი რომ აგებინოს...

\*\*\*

როცა შემიყვარდა, გავიგე, როგორ  
გადაიქცა სიმღერა...  
მამაკაცად.

\*\*\*

არ მიმიტოვებიხარ...  
მხოლოდ დანაკარგებს ვითვლიდი...

\*\*\*

სად ვიპოვო შენი სახე?  
ჩემი ავი თვალის დოლაბებში დაფქულ  
სახეებს შორის?!

\*\*\*

შენთან უაზრო ცეცხლს ვემსგავსები:  
ვიწვი და ვერ ვწვავ...

\*\*\*

აღარ ვაქცევ ჩემს გრძნობებს ბავშვად...  
მეორედ რომ მოგიკაცუნოს კარზე...

\*\*\*

იცოდი, როგორ მოგეთოვა ჩემი სიბრაზე,  
ყურად გელო ის და...  
ამიტომაც მიყვარხარ!

\*\*\*

მათხოვე შენი გულისცემა, რომ...  
ჩემი გულის მოდუნებული კედლები  
შევამაგრო...

\*\*\*

ჩემზე ვკითხე...  
თქვა: მზე ხარ და...  
მზის სათვალე გაიკეთა...

\*\*\*

წვიმა კლდეებსაც აწვიმს....

\*\*\*

ზღვა ხარ...  
ჩემს ხომალდებს რომ ენატრება.

\*\*\*

მკითხა: როგორ გამოპრანჭულხარ...  
 ნუთუ არ განიცდი ჩემთან დაშორებას?!  
 ვუპასუხე: საახალწლო ნაძვის ხესავით ვარ:  
 მორთულ-მოკაზმულია და კვდება.

\*\*\*

ღალატის საკიდზე კიდებს  
 ჩვენს სიყვარულს...

\*\*\*

უკვირს ჩემი ტირილი და მირიგდება.  
 ვერ ხვდება, რომ ისრის ამოღება  
 უფრო მტკიცნეულია,  
 ვიდრე მისით დაჭრა?!

\*\*\*

ვერაგი ხარ...  
 იცი, როგორ მოკლა შენი დუმილი...  
 ერთი შემოხედვით.  
 \*\*\*

ამაყად თქვა:  
 გაზაფხული ვარ.  
 მედიდურად ვთქვი:  
 მე კი... უდაბნო...

\*\*\*

წარმოიდგინე!...  
 შენი ტრფობის წვიმამ  
 ჩემი კაბის ვარდებიც ააყვავა....

\*\*\*

შენზე დარდით არ დამიღვრია ცრემლები...  
 ჩემს სისხლში გაჩენილ ხანძრებს  
 ვაქრობდი მათით...

\*\*\*

რამდენჯერაც შევეცადე, შენზე დამეწერა...  
 ასოები „დაიფლითა“.

\*\*\*

იცი, რა არის ტკივილი?  
 როცა ვიღვიძებ და...  
 შენ ვერ გხედავ.

\*\*\*

მითხვა: მიყვარხარ... განა ეს ბევრია?!  
 ვუთხარი: როგორ აპირებ ფრენას,  
 როცა ფრთები არ გაქვს?!

\*\*\*

ჩემი ავადმყოფური მეხსიერება  
 ისევ ატარებს შენი ტრფობის სევდას...

\*\*\*

შენი გული  
 ის გამოქვაბულია,  
 ჩემმა მაჯისცემამ რომ აღმოაჩინა და...  
 შენი სახელი უწოდა ...

\*\*\*

საწოლში ვგრძნობთ,  
 რა სხვაობაა ყურესა და...  
 ოკეანეს შორის.

\*\*\*

დავრჩები სიყვარულად,  
 მუდამ რომ თან მდევს, ცოცხლობს და...  
 ჩემთან ერთად დაიმარხება.

\*\*\*

მკითხეს: რა არის მშობიარობა?  
 ვუპასუხე: წამი, როცა ერთმანეთს ეკამათებიან  
 სიკვდილი და ორი სიცოცხლე...

\*\*\*

თავს ვიწონებდი, როცა...  
 შენი სასიყვარულო სიტყვებით მოოჭვილი აბა<sup>1</sup> მეცვა...

\*\*\*

ვაღიარებ, რომ მკვლელი ვარ...  
 მუხანათურად მოვკალი მანძილი,  
 ჩვენ რომ გვაშორებდა.

\*\*\*

თუ დაბრუნდები, გაფრთხილდი...  
 მოგონებების განრისხებული ჯარისკაცები  
 ჩემი გულის საზღვრებთან დგანან...

---

<sup>1</sup> აბა – მუსლიმური უსახელო ფართო შემოსაცმელი.

\*\*\*

შენი ცხოვრების საათი ვიყავი:  
შენს წლებს ვითვლიდი... ჩემსას არა.

\*\*\*

შენგან გავიგე...  
როგორ იწყება ტკივილი  
ჭრილობამდე.

\*\*\*

რატომაა, რომ შენთან ყოფნისას  
ვპოულობ... საკუთარ თავს?

\*\*\*

მძულს ყველა საზღვარი...  
ჩემი ოთახის კედლების ჩათვლით.

\*\*\*

დავრჩები ჰაერად და...  
მაჩვენე,  
როგორ შეძლებ სიცოცხლეს უჩიემოდ!

\*\*\*

დავრჩები...  
შენს ტკივილად!

\*\*\*

დავრჩები ფურცლად...  
შენს მელანს რომ ითხოვს.

\*\*\*

დავრჩები ღამედ,  
რომლის მხარზე შენი გული თვლემს...

\*\*\*

დავრჩები ენად,  
რომელზე „კითხვაც“ შენთვის ძნელია.

\*\*\*

დავრჩები „ბავშვად“,  
თუნდაც... ჩემი წლები შეერიოს...

\*\*\*

მკითხეს: რა არის ღალატი?  
ვუპასუხე: მწყურვალე დანა.

\*\*\*

მითხრეს: რა არის ფურცელი?  
ვთქვი: სითეთრე,  
სიშავის თავდასხმას რომ ვერ იგერიებს.

\*\*\*

მითხრეს: რა არის ბავშვობა?  
ვთქვი: უამი, რომელიც არ კვდება და  
გამუდმებით ეკამათება ჩვენს სიბერეს...

\*\*\*

მითხრეს: რა არის სახლი?  
ვთქვი: კედელი,  
ჩვენი ცხოვრების სიბინძურეს რომ ფარავს...

\*\*\*

მითხრეს: რა არის სიმუნჯე?  
ვთქვი: მეტყველების ტყვეობა...

\*\*\*

მკითხეს: რა არის ეჭვი?  
ვუპასუხე: დამსხვრეული მინა...  
ჩვენი გრძნობები შიშველი ფეხებით რომ დადიან.

\*\*\*

მკითხეს: რა არის ტკივილი?  
ვუპასუხე: იარების ყივილი...

\*\*\*

მკითხეს: რა არის ძილი?  
ვუპასუხე: სიკვდილი, რომელშიც ვცოცხლობთ.

\*\*\*

მკითხეს: რა არის ღამე?  
ვუპასუხე: დაბრმავებული დღე.

\*\*\*

მკითხეს: რა არის სიყვარული?  
ვუპასუხე: სხვა ჰაერი.

\*\*\*

მკითხეს: რა არის დამარცხება?  
ვუპასუხე: წარმატების კიბის ჩატეხილი საფეხური.

\*\*\*

მკითხეს: რა არის იმედი?  
 ვუპასუხე: იღუზია, რომელსაც ვიქმნით,  
 რომ ცხოვრებას გავუძლოთ.

\*\*\*

მკითხეს: რა არის სურათი?  
 ვუპასუხე: წამის ტყვეობა.

\*\*\*

მკითხეს: რა არის კალამი?  
 ვუპასუხე: ენა, რომელიც  
 მხოლოდ ფურცელს ეჩურჩულება.

\*\*\*

მკითხეს: რა არის სატანა?  
 ვუპასუხე: ქონდრისკაცი, რომელსაც ჩვენი ცოდვებით  
 ვკვებავთ და ...  
 სატანად იქცევა...

\*\*\*

მკითხეს: რა არის ფეხსაცმელი?  
 ვუპასუხე: კატაფალკი, რომელსაც...  
 ცოცხლები გადავყავართ.

\*\*\*

მკითხეს: ვინ არის ქალი?  
 ვუპასუხე: კლდე, ზღვის ღრუბელისგან.

\*\*\*

მკითხეს: ვინ არის კაცი?  
 ვუპასუხე: ქალის კედლები.

\*\*\*

მკითხეს: ვინ არის დედა?  
 ვუპასუხე: ძუძუ – განუმეორებული გემოთი.

\*\*\*

მკითხეს: ვინ არის მამა?  
 ვუპასუხე: ცხოვრების კომპასი.

\*\*\*

ვინც თავის ქვეყნიდან გავიდა,  
 „უცხოობაში ყოფნა“ დაარქვა ახალ ადგილს...  
 რას ეძახის მკვდარი  
 თავის „ახალ ადგილს“?

\*\*\*

ჩემი სულის განრისხებული თევზები  
შენი მოღალატე ზღვის სხეულს ნთქავენ....

\*\*\*

როდესაც გწერ, კალამს ვასწავლი,  
როგორ იქცეს ელეგანტურად:  
ყველაზე ძვირფასი სუნამო იპკუროს.

\*\*\*

როცა კი დაგინახავ,  
„ჩემი იარა“ იხსნება და...  
მღერის.

\*\*\*

სიცარიელე ხარ, რომელსაც...  
ჩემი არსებობა ავსებს.

\*\*\*

სასახლის ქვად მიმაჩნდი და...  
ტყვეობის ქვა ყოფილხარ.

\*\*\*

შენთან ყოფნისას გავიგე,  
როგორ ასწრებს ტკივილი  
იარას...

\*\*\*

ჩემი ქალურობის ნაპირებზე ვცურავ  
მის უკუქცევამდე,  
რადგან ჩემი შემოდგომა  
განრისხებულ ტალღებს მიგზავნის...

\*\*\*

ისევ ეკალი მაქვს შესმული  
შენთან დასაბრუნებელ ტერფში...  
„ის ქალი“...

\*\*\*

ტრფობის ჩანასახი ჩავიკალი გულში,  
რადგან არ იყო სრულყოფილი მისი ქმნილება...

\*\*\*

ვასწავლე, როგორ შეეკმაზა სიყვარული,  
რადგან მშიოდა....  
მან კი სხვას გაასინჯა გემო.

\*\*\*

ჩემი მწყურვალი წვიმა მიეჩვია,  
შენს მინას აკოცოს...  
წყურვილის მოსაკლავად...

\*\*\*

შენი ტრფობით გამოწვეული ტკივილიც კი...  
სასიამოვნოა.

\*\*\*

მითხრა ვაჟმა: ნუ გაჩუმდები, რადგან  
ჩემი ბედნიერების ხომალდები  
შენი ხმის ტალღებზე...  
ერთობიან.

\*\*\*

შენს წყურვილს იმით ვიკლავ, რომ...  
ჩემი ტრფობის სასმისეპში ვისხამ.

\*\*\*

ის უცნობი კუნძული ვარ,  
შენს კასიდებს<sup>1</sup> ჯერ რომ არ აღმოუჩენიათ.

\*\*\*

სარეცელს განშორებასთან ვინაწილებ და ...  
მახინჯ ბავშვს ვაჩენ, რომელსაც...  
არყოფნას ვარქმევ.

\*\*\*

შენი სიყვარული და ინერტულობა...  
ჩემი ორი მოსისხლე მტერია.

\*\*\*

ბედნიერად აცეკვდა განშორება  
სივრცეში....  
ჩვენ შორის რომ გაჩნდა.

\*\*\*

ჩემი შენთან საუბარი...  
ორლესულ მახვილზე ცეკვასავით ირხევა.

\*\*\*

შენი უყურადღებობა...  
ფერს აკარგვინებს  
ჩემი სახის ნაკვთებს...

<sup>1</sup> კასიდა – სახოტბო ხასიათის არაბულ-სპარსული სალექსო ფორმა.

\*\*\*

შენი უღიმლამო ხმა...  
არასოდეს მოვუხმობ,  
ცხოვრება გამიფერადოს.

\*\*\*

მხოლოდ წყლის ერთი წვეთი  
იყავი...  
ჩემი ცხოვრების ღრუბელზე.

\*\*\*

სისხლი გამითეთრდა, როცა  
შენი სიყვარულის  
გაზაფხული დაიკარგა.

\*\*\*

ვიყვირე: ნუთუ ყველა ეს ქალი?!...  
თქვა: არა... ისინი ჩემს ფურცელზე დათესილი  
ასოები არიან მხოლოდ...

\*\*\*

როდესაც შენი ტრფობის კონტინენტი  
ვერ ვიპოვე...  
ალარ ვინამე მსოფლიოს რუკა.

\*\*\*

რატომ არ ხვდებით ერთმანეთს  
შენ და ჩემი გულისხმიერება?!

\*\*\*

არაფერი დარჩენილა ჩვენი შეხვედრიდან გარდა...  
დამძიმებული სკამებისა და....  
უფერული მაგიდისა,  
განშორებით მოსირმული სუდარა რომ აფარია.

\*\*\*

მიჩვეული ვარ, რომ ასო-ასო ამოვიკითხო  
ზღვის განწყობა... შენს თვალებში.

\*\*\*

ის ზღვა ლივლივებს მის წამნამებს შორის,  
მე რომ დავიხრჩვე...

\*\*\*

ძველდება ჩემი შეკითხვები  
შენი დაგვიანებული პასუხის მოლოდინში...

\*\*\*

ზღვა ხარ...  
ჩემს გემებს რომ ენატრება...

\*\*\*

რა გულუბრყვილო ვიყავი, როცა  
მეგონა, რომ შენი გრძნობების სარკმელი  
მხოლოდ ჩემს ბალს გადმოჰყურებს.

\*\*\*

ჩემი გულის ბალი ერთადერთია,  
ჩვენი სიყვარულის ფოთოლცვენას რომ  
არ დაუშვებს...

\*\*\*

მას ვუმდერი, მაგრამ ....  
ჩემ გარდა, არავინ მისმენს.

\*\*\*

რამდენჯერაც მომენატრები...  
ზამთარი დგება ჩემს სხეულში.

\*\*\*

შენს მოციქულებთან ვატარებ ღამეებს:  
ვნებასთან,  
უძილობასა და  
სიმარტოვესთან....

\*\*\*

ვკითხე: რა ფასი მაქვს შენთვის?  
თქვა: რაც სანთელს შუადღისთვის.

\*\*\*

სძინავს ძილს და ამიტომაც...  
არ მეძინება.

\*\*\*

მოვისროლე  
შენი ეგოიზმის დამსხვრეული მინა და...  
ჩემმა გრძნობებმა ფეხშიშველა  
გადაიარა მასზე.

\*\*\*

რატომაა, რომ შენთან ყოფნისას...  
ვპოულობ საკუთარ თავს?!

\*\*\*

ვერაგი ხარ...  
იცი, როგორ მოკლა შენი დუმილი...

ერთი შემოხედვით.  
\*\*\*

შენი ორგულობა  
ჩემი ქვითინიდან კრეფს  
შენი სიყვარულის ნაყოფს.

\*\*\*

მივეჩვიე, რომ მიყურებ და...  
ვერ მხედავ!

\*\*\*

ჩვენი ქორნილის დღეს,  
ჩვენი ბინის წინ მითხარი:  
- მოდი, ხელში უნდა აგიყვანო.  
გითხარი? არა, მე გატარებ შენ.  
შენ პირველი ბავშვი ხარ, მე რომ გავაჩინე...

\*\*\*

ჩემი სახისთვის მრავალი ნიღაბი მაქვს...  
ყოველდღე, ჩემი სულიერი მდგომარეობის მიხედვით,  
ვირგებ ერთ-ერთს...  
უცნაურია, რომ, რაც ის გავიცანი,  
ყველა ნიღაბი სევდიანად მოლიმარია...

\*\*\*

სიყვარული ერთი შეხედვით იწყება და...  
ერთი სიტყვით მთავრდება...

\*\*\*

მე და შენ...  
იარა და ... წამალი.

\*\*\*

გჯერა, რომ შენგან მიყენებული ჩემი იარა...  
უარს იტყვის თავის წამალზე ?!

\*\*\*

არ ვიცი, როგორ გაიზრდება ჩვენი სიყვარული...  
სიჩუმის მორნყვით?!

\*\*\*

ყოველთვის, როდესაც ვხვდებით,  
ჩემი გაზაფხულის კერძებს გთავაზობ...  
დანარჩენმა სეზონებმა რომ მოამზადეს შენთვის.

\*\*\*

შენი ხმა აპრეშუმის თავშალია,  
ჩემი გრძნობების კისერზე რომ ვიხვევ...

\*\*\*

გაოცებული ვარ... როგორ მძებნის,  
როცა მის გვერდით ვარ?!

\*\*\*

მცივა და ვერ ვგრძნობ სითბოს...  
თუმცა შენს სუნთქვაში ვთვლემ...

\*\*\*

წვიმა ვიყავი....  
ის კი... გამხმარი ყლორტი.


\*\*\*

შენმა ტრფობამ...  
ხეიბარი გამხადა.

\*\*\*

თქვეს: თავის ბუდეს დაუბრუნდება...  
ფეხით მოვისროლე ჩემი ტოტებიდან...  
ეს ბუდე...

არაბულიდან თარგმნა  
**იზოლდა გრძელიძემ**



တော်မြတ် ဖောက်ပါရေး

## ერთან დოლანი

(დაიბ. 1959 წ.)

ერთან დოლანი დაიბადა მერსინში. იგი გიტარისტი, კომპოზიტორი, ხმის ინჟინერი, პოეტი, ნოველისტი და რომანისტია. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. მუსიკალური ჯგუფის „დუშგეზგინლერის“, დამაარსებელი და გიტარისტია. მოთხოვნისათვის „გაზაფხული“, რომელიც კრებულ „მეოთხმოცე გვერდის“ მეორე გამოცემაში შევიდა, ნიჰათ აქეარაჯას სახელობის მეორე პრემია დაიმსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთან დოლანს ქართული ფესვები არა აქვს, ის ძალიან დაინტერესებულია ქართული ლიტერატურითა და მუსიკით.

2012 წელს მისი ინიციატივით დაიწყო პროექტი „შავი ზღვის მოძმე სიმღერები“, სადაც თურქ მუსიკოსებთან ერთად – ქართულ, ხოლო ქართველ მუსიკოსებთან ერთად თურქულ სიმღერებს ასრულებდა. მას შემდეგ, რაც ინგლისურად გაეცნო გალაკტიონის პოეზიას, ქართველ თურქოლოგ მაყვალა ხარებავასთან ერთად ორი ქვეყნის პოეზიის თარგმნის პროექტი წამოიწყო და ქართულ ლიტერატურას თურქ პოეტებს აცნობს. ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილი სათვის საქართველოს პრეზიდენტმა მას საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

### შენს ქვეყანაში მზიანი დღეები გამოვაგზავნე

მარტოობის შვილობილია დუმილი. სიჩუმე ვერაგი სენივით ედება ირგვლივ ყველაფერს.

ბერები ნელ-ნელა კარგავენ უღერადობას..

ნოტები მიდიან, ქრებიან სიმღერებიდან. ჩემს გიტარას ღამე უყვარდება, ჩუმი და ბელი...

ავტომობილების ხმა წყდება ქუჩაში, მხოლოდ საათი წიკწიკებს ხმამაღლა.

მე სულ ლანდები მაშინებს... ლამაზი სახის იდუმალი ლანდი, ლანდები სახლის შესასვლელში და ათილა ილპანის ლანდად ქცეული გმირები..

ჩემი ცხოვრების შუადღემ დიდი ხანია, ჩაიარა..

შენ ახლა იქა ხარ, სადაც გინდოდა, იმ ცხოვრებით ცხოვრობ, რომელიც თავად აირჩიე..

დუმილი ვახსენე. დუმილი ჩუმი სიმღერაა..

ხელთ მარტოობის პასპორტი მიჭირავს, სევდიან ქვეყნებში თავისუფალია შესვლა. წადიო, მეუბნები. შენს ხმაში უნებლიერ

მხიარული ნოტი იპარება, მძიმე ტვირთი ჩამომაშორე მხრებიდან..

ამ ქალაქმა უნდა გამრიყოს...

ბორკილდადებული გრძნობებით დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია სიყვარულს.. უნდა დავბრუნდეთ ჩვენ-ჩვენს ქვეყნებში.

ჩვენი განმორების დღიდან წვიმას არ გადაულია...

სათვალეს წვიმის წვეთები გისველებდა, თითქოს საღამოს რეპეტიციას გადიოდნენ სატირლად გამზადებული შენი თვალები.

იყო დრო, როცა შემეძლო შენი შეხება, და იყო დრო ცარიელი... უშენო.

მეცნიერებმა ახალი ფორმულა უნდა დაწერონ: უშენოდ გატარებული დრო უდრის სიცარიელეს, გამრავლებულს სევდაზე.

მოგივიდა მზიანი დღეები, შენს ქვეყანაში რომ გამოვაგზავნე?

ყველაზე მეტად ის გიკვირს, რომ ეს სიყვარული დავიჯერე.

კარაოკეზე შემსრულებელ უნიჭო მოძღერალს ჰეგავხარ, მზამზარეულად მორთმეულ ცხოვრებაში სხვისი სიმღერის შესრულებას რომ ცდილობს ...

ამ დილით დედაჩემა დამირეკა – ნურავის ტვირთად ნუ დააწვები, შვილო, მძიმეა ადამიანიო, – მითხრა.

დროსთან და გზებთან წავაგე ომი.

მისვლა რომ მინდა, იქ ვერ მივდივარ, და თუ მივდივარ, უდროო დროს...

ყველაზე მეტად მაშინ ვხდები სპეტაკი, შენ რომ გიყურებ. ასე მგონია, ყველაზე წმინდანი ადამიანი ვარ ამ ქვეყანაზე, სამოთხე რომ აღმოაჩინა...

წავი ვარ, მდორე წყალში საკუთარი ტალღები რომ აქანავებს.

სალოცავი ვარ, ჩანგრეული, ღმერთის გარეშე დარჩენილი..

მარტობას მე ნუ მასწავლი...

ხანდახან მიჭირს იმის დაჯერება, რომ ასე დამსაჯე.

როგორც დაოსტატებული ქირურგი, მჩენავ და მკერავ. მაგრამ ყოველ ამოკერვაზე წაიარევის ესთეტიკურ კვალს ტოვებ,

რითაც შენ ასე ამაყობ და რაც ძალიან მოსწონს ყველას, ნაიარევი, რომელიც ასე ავადმყოფურად მტკივა სულიერი ჭრილობებით დაღარულს..

აიღე ჩემი გული, მიწაზე რომ გდია...

ამაზე მეტად რამ უნდა დამამწუხროს კოლექციონერი, რომელმაც ტანჯვა-წამების მოგროვების მეტი სხვა არაფერი ვიცი.

დღის განმავლობაში წაკლებად მესმოდა შენი ხმა, ასე დაიწყო განშორება.

შემდეგ წაიშალა დღეების სახელები და რიცხვები.

იკლო მღელვარების ტალღებმა;

იმედმა მიგატოვა...

ვერსად ვერ მიმიჩინე ადგილი..

არა და, შენ რომ მეხვეოდი, სიზმარი იყავ, ჩემს მკლავებში გატრუნული.

ახლა კი ბნელი ვარ, როგორც დამე.

**თურქულიდან თარგმნა  
მაყვალა ხარებავამ**

## ოქთაი რიფათი<sup>1</sup> (1914-1988)

„ბატონი სამიპ რიფათ ბეისა და ქალბატონი მუნიციპალიტეტის უმცროსი ვაჟიშვილი გახლავართ. დავიბადე ტრაპიზონში 1914 წლის 10 ივნისს (ჰიჯრით 1330წ. 28 მაისი). მამაჩემი იმ რაიონის გუბერნატორი იყო. 5-6 თვისა სტამბოლში ჩამოვუყვანივართ. ბავშვობა და ყმანვილობა ანკარაში გავატარე. 1937 წელს იურისპრუდენციაში დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, სახელწიფო ხარჯით, პარიზს გავემგზავრე. იქ 3 წელი დავრჩი. ომის გამო იურისპრუდენციის დოქტორი ვერ გავხდი.

პოეტობის გარდა ყველა სხვა საქმე მეორეხარისხოვნად მიმაჩნდა. მე თუ მკითხავთ, პოეზიას ერთი ფეხი – საზოგადოებაში, მეორე კი ადამიანის გულში უდგას. ყოველი პოეტი ვალდებულია, იცოდეს და იკითხოს პოეზია, მასთან დაკავშირებული წესები, პრინციპები, ლექსში ჩაქსოვილი აზრები, რომელიც საზოგადოების კუთვნილებაა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიც საზოგადოებასთან ერთად ვითარდება. სხვა პოეტებიდან საკუთარი თავისაკენ, საკუთარი თავიდან სხვა პოეტებისაკენ სვლით ცხვება და მწიფდება ლექსი. პოეტის მიერ საკუთარი თავის პოვნა ადვილი არ არის. ეს გრძელი გზაა...“<sup>2</sup>

### ცვიმის მოლოდინი

მოქმედი პირნი:  
არიფი – ქმარი  
ინჯი – ცოლი  
კაცის ხმა

თანამედროვე ბინის სამზარეულო. გაზეურა, მაცივარი, ჭურჭელი და მისთანები. მაგიდა, სკამები. სცენაზე წინ, მარჯვნივ ან მარცხნივ, სამზარეულოს გარეთ დგას ტელეფონი. სუფრა განწყობილია საუზმისათვის. მაგიდაზე დევს გაზეთები. ფარდის გახსნისას სცენა ცარიელია. ცოტა ხანში ძვირფას დილის სამოსში გამოწყობილი ინჯი შემოდის. ხალათის ქამარს გაიკავს, ორივე ხელი თავზე უკიდია. შეჩერდება, ჩაფიქრდება, გადის. პაუზა. ისმის სიფონის ჩარეცხვის ხმა. არიფი გზადაგზა ხალათს იცვამს.

<sup>1</sup> 1996-2010 წლებში ანკარის ბილქენთის უნივერსიტეტში სამუსიკო და სასცენო ხელოვნების ფაკულტეტზე თეატრალურ რეჟისურას ასწავლიდნენ ქართველი რეჟისორები. თეატრალური რეჟისურის მიმართულება თურქეთში გასული საუკუნის დასასრულს ქართველი რეჟისორების მონაწილეობით დაარსდა. მათ სწავლებაში ქართველი თურქოლოგები ეხმარებოდნენ. პროექტი დაახლოებით 15 წელი გაგრძელდა, აღიზარდა თეატრალური რეჟისურის თურქ სპეციალისტთა რამდენიმე თაობა. ოქთაი რიფათის წინამდებარე პიესა 2003 წელს ბილქენთის თეატრის სცენაზე დაიდგა, როგორც სადიპლომო სპექტაკლი (ხელმძღვანელი რეჟისორი ცოტნე ნაკაშიძე). ჩვენ მიერ ამ პიესის თარგმნა სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა.

<sup>2</sup> ამონარიდი ოქთაი რიფათის ავტობიოგრაფიიდან, რომელიც შესულია მისი პიესების კრებულში "წვიმის მოლოდინი", სტამბოლი, 1988.

არიფი – ჩაის წყალი არ დაგიდგამს?! ამ ქალს ვერ ვასწავლე, დილას ადგება თუ არა, პირველად ჩაი დაადგას. (ყვირის) ინჯი, ჩაი ისევ არ დაგიდგამს. ინჯი, შენ გეუბნები, დაყრუვდი თუ რა დაგემართა?! (შემოდის ინჯი, ჩაიდანს გაზქურაზე დგამს). რას აკეთებ დილას აქეთ?! ადგები თუ არა, რატომ არ დადგამ ამ წყეულ ჩაიდანს გაზქურაზე? განა ასე ძნელია!?

ინჯი – ნუ ყვირი, რა იქნება, ნუ ყვირი?! რაც გინდა, ის ქენი, იგინე, ილანძლე, ოლონდ ნუ ყვირი! როცა ყვირი, თავში თითქოს რაღაც მიგუგუნებს. სუფრა გავაწყვე, ჩაის დადგმა დამვიწყებია.

არიფი – (შემპარავად კბილებს შუა ცრის) კიდევ ერთხელ ადგომისთანავე ჩაი არ დაგიდგამს ქურაზე და, რაც მოგივა, შენს თავს დაბრალე!

ინჯი – თავი დამანებე! არ ვარ ხასიათზე, ამ დილას ვერა ვარ კარგად. თავგზა აბნეული მაქვს.

არიფი – შენ თუ თავგზა აბნეული გაქვს, არც მე ვარ წყნარად. თავში ქარიშხალი მიქრის.

ინჯი – ავადა ვარ, არ ვარ კარგად.

არიფი – არაფერიც არ გჭირს!

ინჯი – (მარცხენა მკლავს მოისინჯავს) აი, ეს მხარე, მარცხენა მხარე. მარცხენა მხარეს რაღაცას ვგრძნობ. მხარი, ზურგი, განსაკუთრებით მარცხენა მკლავი. (ხელებით ყურებს იფარავს). ყურებს ვგრძნობ.

არიფი – რამდენადაც ვიცი, ყურები სმენის-თვისაა, იმისთვის, რომ გაიგონო ან არ გაიგონო. მაგრამ შენ თუ ყურებს ცხვირით ან რაიმე სხვა ადგილით გრძნობ, მაშინ სათქმელი არაფერი მაქვს... აზვიადებ, იგონებ რაღაცას.

ინჯი – მე რომ მოვკვდე, ან თავი მოვიკლა, წარბიც არ შეგიტოკდება, არა?

არიფი – თუ უდროო დროს დამატეს თავს ამ გაუგებრობას, შემიტოკდება. მაგრამ, თუ წესით და რიგით წახვალ... არა, ვხუმრობ, მაინც შემიტოკდება. რა, აპირებ, თუ?

ინჯი – რა ვიცი!

არიფი (ხუმრობით) – ე.ი. ახლო მომავალში დაგკარგავთ. (გაიცინებს, დასერიო-ზულდება) ის ქუნჯუთიანი ნაზუქები გამოიტანე, რა!

ინჯი – ნაზუქები შეიჭამა.

არიფი – სულ შეყლაპეთ?

ინჯი – ამ სახლში ერთი შენ ხარ და მეორე მე. გავიწყდება, რომ დედაჩემი 6 თვის ნინ გარდაიცვალა!

არიფი – (უხეშად) ძალიან კარგი!.. მშვენიერი!.. აცხონოს უფალმა!.. ქაშარის ყველი მომიჭერი!

ინჯი – ქაშარის ყველი არ გვაქვს.

არიფი – (ყვირის) აბა, რა გვაქვს?

ინჯი – ბრინზა გვაქვს, ზეთისხილი გვაქვს.

არიფი – (ეძებს) მე აქ ყველისა და ზეთისხილის მსგავსს ვერაფერს ვხედავ.

ინჯი – იქ არის. მაცივარში.

არიფი – აბა, სუფრა გავაწყვეო? (გამოაქვს ზეთისხილიანი ჯამი.. პურს შიგ ანებს, ჭამს. პირში ზეთისხილს ჩაიგდებს) ერთი-ორი ლუკმა თუ არ ჩავუფინე, სიგარეტს ვერ ვეწევი.

ინჯი – (ბრინზას მაგიდაზე დებს) საერთო თეფშიდან ნუ ჭამ, არიფ! გული მერევა!

არიფი – (ალმაცერად) ისევ დაიწყე?

ინჯი – პურის ნამცეცები იყრება შიგ.

არიფი – (სიგარეტს უკიდებს) ე.ი ნაზუქი გათავდა.

ინჯი – გათავდა. შენ გაათავე.

არიფი – მე გავათავე?!

ინჯი – წახვედი, წამოხვედი, მოიტანე, შეჭამე. რამდენადაც ვიცი, ჭამის დროს უნდა გააღო პირი და დამთავრებისას დამუნო, შემდეგ ჭამამდე. მაგრამ შენ გაუთავებლად იყრი პირში ყველაფერს, გაუჩერებლად ჭამ.

არიფი – ე.ი. ნაზუქები მე გავათავე?!

ინჯი – შენ გაათავე.

არიფი – ქაშარის ყველიც მე გავათავე?

ინჯი – ქაშარის ყველი არ მიყიდია.

არიფი – რატომ არ გიყიდია?

ინჯი – იმიტომ, რომ არ მიყიდია.

არიფი – გეყიდა, რა.

ინჯი – მრცხვენია. ბაყალს ვერ ვურეკავ.

არიფი – რატომ, პატარა ქალბატონო?

ინჯი – იმიტომ!

არიფი – პური დაბრანე!

ინჯი – (ტოსტერში ორ ნაჭერ პურს დებს) ეს დიდი ამბავი არაა, შენც შეგიძლია ამის გაკეთება.

არიფი – ნერვებს წუ ავიშლით.

ინჯი – მე ავად ვარ.

არიფი – (მაგიდის თავში ზის. გაზეთს შლის) ჩაი ჯერ არ დაგიყენებია?

ინჯი – არ არის მზად.

არიფი – (გაზეთს კითხულობს) საკვები პროცენტის 75% ან გაფუჭებულია, ან ფალსიფიცირებული. ვაი დედასა! (კარზე ზარია). კარზე ვიღაცაა. (ინჯი გადის. არიფი კითხვას აგრძელებს). ბაზარში დახარჯული ასი ყურუშიდან მხოლოდ 25-ით ვიკვებებით, დანარჩენი 75 ყურუშით ვინამლებით. (ინჯი შემოდის, ჯდება) რა არის? ვინ იყო?

ინჯი – შვეიცარი.

არიფი – რა უნდა?

ინჯი – ნაგვის ვედრო.

არიფი – რატომ არ აძლევ?

ინჯი – არა ვარ კარგად.

არიფი – სანამ აქამდე მოხვედი, დაგავიწყდა, მონია!

ინჯი – არ ვიცი.

არიფი – ნაგვის ვედრო გაუტანე! (ინჯის გააქვს ნაგავი. არიფი კითხვას აგრძელებს) ანკარის ნისლიან ამინდში რა საქმეებს ატრიალებენ?.. 200 მილიონი ლირის ანგარიში სად არის?... კაი ფულია! (ინჯი შემოდის) ჩაი დააყენე?

ინჯი – ახლა ვაყენებ. (ჩაის ამზადებს)

არიფი – ადგომისთანავე ჩაის რომ არ მიხედავ, აი, ასე ხდება ხოლმე.

ინჯი – რამდენიმე წუთში შეგიძლია დალიო. აქამდე ოდესმე რაიმე არ გამიკეთებია?!

არიფი – შენ ის მკითხე, ოდესმე რაიმე წესიერად თუ გაგიკეთებია!

ინჯი – უმადურო! ე.ი. ადგომისთანავე ჩაის არ ვადგამ?!

არიფი – დიახ, ბატონო, არ ადგამ!

ინჯი – ჩემზე უკეთესი ნახე და იმან დაგიდგას.

არიფი (კითხულობს) – აი, ეს კი უცნაურია!... (გაზეთი გაიტაცებს. სიჩუმე ისადგურებს)

ინჯი – (თითქოს ლაპარაკობს, ნახევრად ბოდავს) ე.ი. წინათაც რაღაც ინტერესი ჰქონია. უცბად კი არ დაწყებულა!... ვერც კი აგინძერ, ისე ვარ შენზე ნაწყენი!... რომ მოვკვდე, არ შეგირიგდები... რომ მოვკვდე... რომ მოვკვდე...

კაცის ხმა – ყველა მოთხოვბას თავისი დასასრული აქვს... იფიქრე, რომ დასრულდა... მაგრამ ჩვენი სიყვარული...

ინჯი – სული მეტება... საშინლად ვიტანჯები... ფეხზე ვარ და თითქოს მძინავს. საწოლში კი – ფხიზლად ვარ... დიდი... დიდი... აბა, დიდი სიყვარული იყოო?!... აბა, უსასრულო იყოო?!..

კაცის ხმა – გინდა თქვა, რომ დასასრული მოახლოვდა?!... ეს არ არის დასასრული...

ინჯი – ეს არ არის დასასრული?!... დასასრული... დიდი დასასრული...

კაცის ხმა – წვიმის მოლოდინია.

ინჯი – წვიმის მოლოდინია... ეს წვიმის მოლოდინია... წვიმის მოლოდინია.

არიფი – ყოველდღე ავარიაა. ისევ შეჯახებულან. 15 მეტდარი, 24 დაჭრილი. ცხვრის ფარასავით გადაჰყავთ ადამიანები.

ინჯი (თავის სამყაროშია) – ერთი განვიძეს, ჩამოიცალოს და მომეშვება! ეს ხეები, ქუჩები, სახლები გაირეცხოს!

არიფი – ხუთი ათასი ტილიანი ტურისტი (გახუხულ პურებს იღებს. თან ჭამს, თან კითხულობს)... „თურქი მუშები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვეს.“ (იცინის) თურქივით ძლიერი... აბა, მიდით, ლომებო!... ჩაი დამისხი! (ინჯი არიფს ჩაის აწვდის. არიფი მოსვამს). ერთი ისეთი დღე მანახა, რომ ეს საძაგლობა დაულაპარაკებლად მოგემზადებინა... (გაზეთს შეარხევს. ხანგრძლივი პაუზა).

ინჯი – რატომ მიმატოვე, ჩემო საყვარელო?! (თავს ჩაქინდრავს, ტირილნა-

რევი ხმით). ჩაიცვა, ქუჩაში გავიდა. ადრე ადგომა უყვარს, სახლში ვერ იცდის... ნეტავ, მოკვდეს!... უცებ დანით რომ დაჭრანა...

არიფი (გაზეთის ზემოდან ამოხედავს) – რა არის, შენთვის ლაპარაკობ? ინჯი – მე? ვლაპარაკობ?

არიფი – ბუტბუტებ.

ინჯი – ვფიქრობ.

არიფი – იმას თუ ფიქრობ, ვინ შეჭამა ნაზუ-ქები, ტყუილად გარჯილხარ. ვიცით, ბატონო, რომ დედაშენს არ შეუჭა-მია. (გაზეთს უბრუნდება, ხან-გრძლივი პაუზა.)

კაცის ხმა – ტერასის ზემოთ კაფეში, დი-ლის ათ საათზე.

ინჯი – როგორ შევძლებ მისვლას?!... რა პი-რით?!?

არიფი (გაზეთს დაუშვებს) – რა გჭირს, ჩე-მო კარგო? ცხვირ-პირი გითრთის. ბუტბუტებ.

ინჯი – რას ვამბობ?

არიფი – გაუგებარია!

ინჯი – ერთ კაფეში ვხედავ საკუთარ თავს.

არიფი – რა კაფე!

ინჯი – იქ, ტერასაზე, ცხენისწაბლების ქვეშ.

არიფი – ეგ ცხენისწაბლა კი არა, მუხაა. (იცინის) არის ეგეთი კაფე?

ინჯი – არის ან არ არის... უფრო სწორად, იყო.

არიფი – რა იქნა?

ინჯი – უცბად გაქრა.

არიფი – ახლა აქ ხარ?

ინჯი – რა სამწუხაროა და აქ ვარ!

არიფი – მადლობა ღმერთს!... არა, კაცო.

აბა, ეს საქმეა?! (ამთქნარებს, იზმო-რება) ადგილიდან განძრევა მეზარე-ბა. ცხადზე ცხადია, ვერ გამოვიძი-ნე. რომ მაცლიდნენ, სალამომდე სულ ვიკოტრიალებ. (ამთქნარებს)

სალამოს სტუმრები გვეყოლება, არ დაგვიწყებია, არა? (ინჯი გადახე-დავს. პაუზა) ინჯი, შენ გეუბნები!

ხომ იცი, სალამოს სტუმრები გვყავს. აქედანვე უნდა დაიკაპინო

ხელები! ადვილი არ არის სტუმრე-ბის მიღება.

კაცის ხმა – ღრუბლებს შეხედე, რა ლამა-ზია!

არიფი – რა საჭმელს გააკეთებ?

ინჯი – მე?

არიფი – ქალო, შენ რა, მაშაყირებ?

ინჯი – რაღაცა უცნაურობა მჭირს... გამია-რა.

არიფი – მომილოცავს!... საღამოსთვის რა საჭმელების გაკეთებას აპირებ?

ინჯი – აითენის მზარეული უნდა მოსული-ყო და იმას მოემზადებინა საჭმელე-ბი. ასე არ მოვილაპარაკეთ განა?

არიფი – 15-20 ლირა ჩაუდე ხელში!

ინჯი – თუ მომცემ ფულს, რატომაც არ ჩა-ვუდებ.

არიფი – რა, შენმა ფულმა შენი ჭირი წაი-ღო, თუ რაშია საქმე?

ინჯი – სად მქონდა ფული, რომ ჩემი ჭირი წაეღო?!

არიფი – იმ დღეს არ იყო, 500 ლირა მოგეცი.

ინჯი – იმ დღესო, რომ ამბობ, 20 დღის წინ იყო.

არიფი – ბაყალს ფულს არ აძლევ, ყასაბს ვალს არ უხდი, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიას ანგარიშს არ უსწორებ...

ინჯი – ამომივიდა ყელში ნისით ყიდვა!

არიფი – დაანებე თავი ამ უაზრო ფიქრებს! ჩვენ არ ვეუთვნით იმ საცოდავ ხალხთა რიცხვს, მთელი ცხოვრება რომ წვალობენ და ფეხებს ისე ჭიმა-ვენ, სადამდეც საბანი გასწვდებათ.

ჩვენ არ გვადარდებს ეს წვრილ-წვრილი ანგარიშები. უკან დარჩა ერთი პურისა და ერთი კოსტიუმის პერიოდი. თვალი სიმდიდრისკენ გვიჭირავს. აღმავლობა გვსურს.

დღეს უზარმაზარი სახელმწიფოებიც კრედიტით ცხოვრობენ. აი, შე-ხედე თურქეთს! ყელამდე ვალშია ჩაფლული! სესხს აძლევენ და ვალი კი აქვს.

ინჯი – ბაყალმა შემოთვალა, ფული გადამი-ხადეთო.

არიფი – რამდენი?

ინჯი – 2872 ლირა. 2735 ლირა კი გვმარ-თებს.

არიფი – ბევრია, კაცო!

ინჯი – არასოდეს ბოლომდე არ ფარავ ვალს და იმიტომ.

არიფი – ამ ბოლო ხანებში ერთი კაი ფული  
ხელში არ ჩამივარდა, რა!

ინჯი – ყველა თვითან თვემდე ასწორებს  
ანგარიშს.

არიფი – მე ყველა არ ვარ.

ინჯი – ნეტავ ყველასნაირი იყო!

არიფი – ხილ-ბოსტნეულის მაღაზის რამ-  
დენი გვმართებს?

ინჯი – დავთარი ეგერაა, მიდი და ნახე!  
ალარ მახსოვს. (ყურებზე ხელს იფა-  
რებს) მაინც როგორ მიწუის ეს ყუ-  
რები!

არიფი – მხოლოდ ბაყლისა და ყასპისა 5607  
ლირა გვმართებს.

ინჯი – 2500 ლირა თვიური გადასახადი და  
სამი თვის სახლის ქირაც 7500 ლირა  
გამოდის.

არიფი – 13107 ლირა.

ინჯი – შენ რა, თავი გაბია თუ კალეულა-  
ტორი?

არიფი – ლმერთმანი, უფრო რაღაც მექა-  
ნიზმს კი ჰერი, მაგრამ რომელს,  
მეც არ ვიცი.

ინჯი – ბაყალმა რომ ალარ მოგვცეს ნისი-  
ად?

არიფი – ვაჭარი, რომელსაც 2872 ლირა  
აქვს ასაღები, ნისიას ვერ შეგვიწ-  
ყვეტს.

ინჯი – და სახლის პატრონი?

არიფი – 7500 ლირის გადასარჩენად, პირი-  
ქით, ანგარიშიც უნდა გაგვიწიოს.  
მაგას, გებზეში<sup>1</sup> რომ სამშენებლო  
მიწის ნაკვეთებია, იმათვან ერთ-  
ერთს მივყიდი და მორჩა.

ინჯი – მე არ ვიცოდი, თუ შენ გებზეში ნაკ-  
ვეთი გქონდა.

არიფი – და არც მაქვს.

ინჯი – აბა, რას მიჰყიდი სახლის პატრონს?

არიფი – სხვის ნაკვეთს.

ინჯი – ძალიან გამიკვირდება, შენ თუ თავ-  
ზე რამე უბედურებას არ დაიტეხ.

არიფი – შენი ქმარი კომისიონერი არიფი  
არასოდეს გაებმება უბედურებაში.

ინჯი – კომისიონერი არიფი, რომელსაც მე  
ვიცნობ, გამუდმებით გაბმულია  
უბედურებაში.

არიფი – თქვენ რომ უბედურება გგონიათ,  
სინამდვილეში ის ყველაზე დიდი  
ბედნიერებაა. ერთიც ვნახოთ და  
რამდენი ხეირი გამოჩნდება ამ საქ-  
მიდან... რა ხანია, ვიცი ის სამშენებ-  
ლო ნაკვეთები. მიგდებულ-გავერა-  
ნებულია. იქითკენ რომ მოვხვდები  
ხოლმე, უკან მომძახიან: “არიფ,  
არიფ, შემოგვხედე! არიფ, კაცო, ასე  
ნუ მიგვატოვებო!”

ინჯი – გებზეს რომელ მხარეშია ეს მოლა-  
პარაკე ნაკვეთები?

არიფი – შემოგევლე, გახსოვს, მანქანით  
გავისეირნეთ, აი, გებზეში რომ გზა  
ზღვისკენ უხვევს, მანქანაც კი გავა-  
ჩირეთ იქ, მიხვდი?

ინჯი – მივხვდი.

არიფი – აი, სადაც ჩვენი მანქანა შევაჩე-  
რეთ, იმის უკანა მხარე.

ინჯი – ესე იგი, შემთხვევით არ ყოფილა, იმ  
დღეს თავი სულ რომ უკან გქონდა  
მიბრუნებული.

არიფი – შენ ხომ არაფერი გამოგეპარება,  
მაგრამ ყურები ტყუილად გაბია,  
არაფერი გეყურება.

ინჯი – მთელი სხეული მომეშალა.

არიფი – ერთი ჩაი კიდევ დამისხი! (ინჯი  
უსხამს ჩაის) ე.ი. იმ დღეს 20 ქცევა  
მიწა უკნიდან ყელგამოლადრული  
რომ მოგდახოდა, არ გაგიგია?

ინჯი – რაო, რას ყვიროდა?

არიფი – რას ყვიროდა და: „კმარა, დამყავი  
პატარ-პატარა ნაწილებად და გამ-  
ყიდე! სულელი ხარ? ხარჯების გას-  
ტუმრების მერე სულ მუჭა-მუჭა  
ფული დაგრჩება!“

ინჯი – გეკითხა ერთი, რაო, პატრონი არ  
გყავს-თქო?

არიფი – 30 ქცევა ნაკვეთი რა პატრონს  
ცნობს?! იქაურობა ხალხმა იცის.  
კაცს კაცურად და მიწას, მიწას რომ  
შეპფერის, ისე უნდა დაელაპარაკო.

ინჯი – შენს საქმეებს კაცის ჭკუა ვერ შეს-  
წვდება.

არიფი – ჩემს საქმეებს ჩემი ჭკუაც კი ვერ  
წვდება. გაიხედავ და ხელსყრელი  
შემთხვევა თავისით, უცბად მოგიჭ-

<sup>1</sup> გებზე -ქალაქი კოჯაელის ვილაეთში, თურქეთში.

რის გზას. ამჯერადაც ასე მოხდა. ჯერ წავედი, რაიონის პარტიულ მდივანს დაველაპარაკე, საქონლის გამგებელს გავესაუბრე. საკადასტრო სამმართველოს მოხელეებს დაველაპარაკე. დაველაპარაკე-მეთქი, რომ ვამბობ, თავი გავაცანი, ლაპარაკი მეხერხება მე. ხალხი ჭრელია. არის კაცი, სულ ქრთამზე რომ უჭირავს თვალი, მშობლიურ ენაზე ელაპარაკები და ვერ აგებინებ. არის კაცი და მეგობრული სიტყვის ესმის, ერთი-ორი გაღიმება და მორჩა. ვის ორი სიტყვით, ვის აქეთურ-იქითურით, ვის კიდევ ქალებითა და რახით დამშვენებული საუბრით მოხიბლავ. მაგრამ ისეთი კაციც არის, სიტყვას რომ ვერ შეასმენ, აი, ასეთს კი კუდით ქვა უნდა ასროლინო! მაგრამ შენ შენ იყავი და პოლიტიკოსის გზიდან ნუ გადაუხვევ! პოლიტიკოსმა ბევრი ენა იცის. და მაინც ჩემი ენა ყველაზე კარგად პარტიის რაიკომის მდივანმა გაიგო.

ინჯი – მე არ მესმის, ამ ენისა ვერაფერი გამიგია.

არიფი – რომ გაიგო და ვითომ რა? სამშენებლო მიწის ნაკვეთები დაიყო მომცრო ნაკვეთებად. განცხადებები გამოქვეყნდა. ქალბატონს კი ჯერ არაფერი მოეხსენება. რომ ნახო, გაგიჟდები, რა ქალია, ნამდვილი სტამბოლელი ქალბატონი.

ინჯი – სამშენებლო მიწის ნაკვეთების პატრონი?

არიფი – ასე ვთქვათ.

ინჯი – სხვების ნაკვეთების საკუთარი ანგარიშით გაყიდვა რა კაცობაა?

არიფი – საქმეა ეს, შემოგევლე, საქმე. რას მომცემს ეს საქმე, 200 ათას ლირას თუ 400 ათასს? რომ გაიყიდება ნაკვეთები, მივართმევ ქალბატონს თავის წილს. ერთი-ორი ყურუშიც მე დამრჩება.

ინჯი – შენი ამბავი რომ ვიცი, გამოწურავ ქალს, აახევ ფულს.

არიფი – აბა, აბა, წესიერი სიტყვები იხმარე ჩემთან საუბრისას!

ინჯი – წესიერი სიტყვებით სინამდვილის

გამოსწორება რომ შეგვეძლოს...

არიფი – ყველაზე მძიმე და კრიტიკულ სიტუაციაში, ტკბილი სიტყვით თუ ფონს გასვლა შეგიძლია, ეეე, კაცი მაშინ ხარ! ყველა საქმე სიტყვით იწყება და სიტყვით მთავრდება. სინამდვილე, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნება, მიესადაგება ამ სიტყვებს. ჯერ ერთი, მე ფული არ მაქვს, რომ დავაბანდო, მერე, თუ კაპიტალის მოპოვება მინდა, ცუდია განა? ოთხი წელია, ჩემთან ხარ და არც ჩემი და არც ქვეყნიერების არა გაგებება რა. 13710 ლირა ვალის გეშინია. შენ კარგად შემომხედე, კი დევ არ გცნობივარ. დღეს კომისიონერ არიფს ბირჟის 150 ათასი ლირა ჰმართებს. ვალი ჰქონია და ისე არ ჩამიარო! კაცს, რომელსაც ბირჟის 150 ათასი ჰმართებს, ერთი მილიონი მაინც ექნებაო, დიდი და ჰატარა ასე ფიქრობს. შესაბამისადაც გეპყრობიან.

ინჯი – შენს ანგარიშებს ეშმაკიც კი ვერ გაიგებს.

არიფი – შენ ჩემს ანგარიშებში ნუ ერევი. შენ ჩემი ნათქვამი შეასრულე და საქმარისი იქნება.

ინჯი – თავი დამანებე! ნუ შემიჩნდი, რა იქნება!

არიფი – უხასიათოდ ხარ. რაღაც უცნაურობა გჭირს.

ინჯი – ახლა შემამჩნიერება?

არიფი – ვთქვათ, ახლა შეგამჩნიერება! უფრო ადრე რომ შემემჩნია, ვითომ რა იქნებოდა! უქეიფოდა ხარ, რა!

ინჯი – ავად ვარ.

არიფი – ნერვები გაქვს მოშლილი.

ინჯი – კი, მოშლილი მაქვს.

არიფი – წუხელ არ გეძინა.

ინჯი – შენ ჭაში ჩავარდნილივით გეძინა.

არიფი – კარგი ქმრები, დიახაც, რომ ასე არიან. ვითომ სძინავთ, მაგრამ ცალი თვალით, ცოლებს როგორ არ სძინავთ, იმასაც ხედავენ.

ინჯი – ვერ ვიტან ამგვარ ლაპარაკს. (ატირდება)

არიფი – ჰოლა! სატირალი რა არის ამაში?

ინჯი – არაფერი.

არიფი – მაშინ თავი შეიკავე და ნუ ტირი.  
ინჯი – მაცალე ტირილი!

არიფი – ნერვები სულ მთლად მოგშლია.  
ინჯი – ჩემი ნერვები, რა ხანია, მოშლილია.  
ნუხანდელი ღამე როგორ გავატარე,  
მხოლოდ მე მომექსენება. მარჯვნივ  
გადავტრიალდი, ვერ მოვისვენე,  
მარცხნივ გადავტრიალდი, ვერ მო-  
ვისვენე. თვალები დავხუჭე, გავახი-  
ლე, ხელი ბალიშის ქვეშ შევყავი,  
ვერ იქნა და ვერ დავიძინე. მხოლოდ  
უძილობა რომ იყოს, კიდევ რა  
უჭირს! პანანინა კუნძულზე, ფეხ-  
შიშველა...

არიფი – რა კუნძული?!

ინჯი – მთელი ღამე ზღვისა და ქვიშის შე-  
ერთების ზოლზე დავდიოდი. ქვიშა-  
ზე ჩემი ნაფეხურების კვალი რჩებო-  
და. დრო, როგორც სქელი კედელი,  
ჩემ წინაშე იდგა...

არიფი – შენ წუხელ სიზმარი გინახავს.

ინჯი – თვალი არ მომიხუჭავს და რანაი-  
რად?!

არიფი – სხვა რა შეიძლება იყოს!

ინჯი – მეჩვენება, რომ თითქოს ვიცვლები.

არიფი – როგორ?

ინჯი – სხვა ვიღაცა ვხდები.

არიფი – რამდენი ხანია?

ინჯი – არ ვიცი. არც ისე დიდი ხანია.

არიფი (ცოლს სახეში ეჭვით შეხედავს) –  
რაღაცა უცნაურობა გჭირს.

ინჯი – ავად ვარ.

არიფი – თავი მომაბეზრე.

ინჯი – მე უფრო მაქვს თავი გაბეზრებული.

არიფი – გუშინ სადმე იყავი?

ინჯი – არა. სუჰეილა მოვიდა ნაშუადლევს.  
ერთი სული მქონდა, სანამ წავიდო-  
და.

არიფი – საღამოს?

ინჯი – ოთახში ვერ დავეტიე. მთელი საღა-  
მო გავდი-გამოვდიოდი, ბოლთას  
ვცემდი სახლში.

არიფი – აბა, აბა!

ინჯი – რა იყო?

არიფი – ასე ადვილად არ ვჭამ!

ინჯი – შენ ყოველთვის ცდები.

არიფი – თუ ასეა, რა გემართება?

ინჯი – რა მჭირს... რა მემართება... მეც არ  
ვიცი. არა ვარ კარგად.

არიფი – დაბნეული ხარ. ვიღაცაზე ფიქ-  
რობ.

ინჯი – თავი დამანებე!

არიფი – გუშინ აპმედს არ შეხვედრიხარ?..  
ტელეფონზეც არ დაურეკავს?.. არც  
არაფერი შემოუთვლია?...

ინჯი – სულიც გასძრობია აპმედს!

არიფი – ინჯი!

ინჯი – თავი დამანებე!

არიფი – მართალი მითხარი!

ინჯი – ოო, ღმერთო, ანდა ეშმაკო! ეს აპმე-  
დი გყავს ამოჩემებული და, რაც არ  
უნდა მოხდეს, ყველაფერს მას აბრა-  
ლებ.

არიფი – რამდენი ხანია, რაც აპმედი არ გი-  
ნახავს?

ინჯი – თვეები იქნება.

არიფი – არა ჰგავს სიმართლეს.

ინჯი – შენ რა გგონია, რომ აპმედს ყველა  
ქალის ცდუნება ხელეწიფება?

არიფი – გათასსირებულის ერთია!

ინჯი – ხომ დაგიმტკიცე, რომ ცდებოდი.  
ხომ დაგარწმუნე, რომ აბსოლუტუ-  
რად უსაფუძვლო ზღაპრებს იგო-  
ნებდი. არც ერთი არ გამართლდა.  
თითქოს რაღაცა ვიციო და რაღაცის  
ნამოცდენინებას რომ ცდილობდი,  
ხომ ნახე, რომ სულ ტყუილი გამოდ-  
გა.

არიფი – მაშინ შენი ეს მდგომარეობა სხვამ-  
ხრივ როგორ შევაფასო?

ინჯი – აპმედის არსებობა ან არარსებობა  
სულ ცალ ფეხზე მკიდია!

არიფი – მაშინ შემოუძახე შენს თავს! აზ-  
რზე მოდი! გამოყოჩალდი!

ინჯი – მე ამ საღამოს ვახშამს რომ არ და-  
ვესწრო!.. ჴა, რას იტყვი? უხერხუ-  
ლობის ჩამოგდება არ მინდა, უსია-  
მოვნებას ვერიდები.

არიფი – შეუძლებელს ნუ იტყვი! რას იტ-  
ყვის სერვეთ ბათმაზი! რას იტყვის  
ჯემილი! რას იტყვის სემრა!

ინჯი (მარცვალ-მარცვალ) – სერვეთ ბათ-  
მაზი... ჯემილი... სემრა!... (აღმოხ-  
დება) მეზიზლება ეს ხალხი.

არიფი – ნუ ტირი, გენაცვალე, ნუ ტირი,  
ადამიანო! ინჯი, მიყურე, იცოდე,  
გამაბრაზებ!

ინჯი – უსიამოვნო და უაზრო მეჩვენება სა-

კუთარი თავი.  
 არიფი – კარგი ერთი!  
 ინჯი – ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყოვ-  
 ლად გამოუსადეგარი ვარ.  
 არიფი – წასულიყავი ექიმთან!  
 ინჯი – ვიყავი.  
 არიფი – რატომ არ მითხარი?!  
 ინჯი – რაში გენალვლება!  
 არიფი – მე არ მენალვლება?!  
 ინჯი – საკუთარი ხუთი თითოვით გიცნობ.  
 კარგად მომეხსენება, რა ჩიტიც ხარ.  
 და საერთოდ, კარგად ვიცი, ყველა-  
 ნი რა ჩიტებიც ხართ.  
 არიფი – თავი დაანებე ამგვარ ლაპარაკს!  
 ექიმმა რა გითხრა?  
 ინჯი – ჩემს მონაყოლზე მაინცდამაინც არ  
 შეჩერებულა. გამოფენების, თეატ-  
 რებისა და კინოფილმების შესახებ  
 ისაუბრა. ისაუბრა, ისაუბრა, მხო-  
 ლოდ ის ლაპარაკობდა, მე ვუსმენ-  
 დი.

არიფი – ახლა როგორ ხარ?  
 ინჯი – ყოველთვის ასე რომ ვიყო, ვერც  
 ვიცხოვრებდი, ვერ გავუძლებდი!  
 არიფი – ეს ნერვების ბრალია, ნერვების.  
 რამე წამალი არ გამოგინერა?  
 ინჯი – ჩემს მდგომარეობას წამალი ვერ  
 უშველის, საწამლოდ არ მაქვს საქ-  
 მე.  
 არიფი – სხვა ექიმთან მისულიყავი!  
 ინჯი – ექიმთან ფეხს ალარ მივადგამ.  
 არიფი – მაშინ ვერ გამოკეთდები!  
 ინჯი – მერე და ვინ გითხრა, რომ გამოკე-  
 თება მინდა!  
 არიფი – კარგი, კარგი, დაანებე თავი სისუ-  
 ლელებს! დედისგან დარჩენილი  
 რამე წამალი არა გაქვს, რამე შვე-  
 ბისმომგვრელი?

ინჯი (ზალათის ჯიბიდან წამლის ორ შუშას  
 იღებს) – მხოლოდ საძილე აბები  
 მაქვს!

არიფი – (პაუზის მერე) შენ რა, სულ თან  
 დაგაქვს საძილე აბები?! (პაუზა) სა-  
 ძილე აბები ღამისათვის შეინახე!  
 მოიცა, ერთი, ვნახავ, ლიბრიუმი უნ-  
 და გვქონდეს საოჯახო აფთიაქში...  
 ერთი წუთით. (გადის)

ინჯი (დაბნეული) – კარგი, გადაჭდობილები  
 რომ იყავით და ერთმანეთს ეხვეო-

დით, ეს რას ნიშნავს? კოცნიდით  
 ერთმანეთს... ჩემ თვალწინ კოცნი-  
 დით.

კაცის ხმა – ყოველი ხრამის პირას ნიანგი  
 გველის.

ინჯი – რას ამბობ? აზრი ვერ გამომაქვს...  
 გაუგებარია... გასაგებად მითხარი!

არიფი (გამოსძახებს) – ვერ ვპოულობ.

ინჯი – თანდათან რებუსს ემსგავსები. წი-  
 ნათ შენი ყველა ნათქვამი ნათელი  
 და გასაგები იყო. თანდათან გაუგე-  
 ბარი ხდები.

კაცის ხმა – საღამოსთვის გადაწყდება...

ინჯი – რა არის გადასაწყვეტი? ყველაფე-  
 რი, ყველაფერი ვიცი.

არიფი (გამოსძახებს) – ამ აფთიაქის კარა-  
 დაში დიდი არეულ-დარეულობაა.

ინჯი – აკი არ ვტყუოდით! აკი ერთმანეთს  
 არასდროს ვუღალატებდით.

არიფი (გამოსძახებს) – ამ კარადაში “ურიე-  
 ბის ბაზარი” გეგონება.

ინჯი – უკვე ასეთი უაზრო ანდა ორაზრო-  
 ვანი...

არიფი (შემოდის) – არ გვაქვს ლიბრიუმი...  
 უკეთ ხარ, არა?

ინჯი – არა ვარ კარგად.

არიფი – თქვი, რა გემართება! ნუ გადამ-  
 რიე!

ინჯი – დამანებე თავი!

არიფი – თავი დამანებე, თავი დამანებე!  
 რას დაიჩემე ეს თავი დამანებე...

ინჯი – ორ სხვადასხვა ადგილას ვცხოვ-  
 რობ. ერთი აქ, ერთიც იქ.

არიფი – „იქ“ რომელია? თუ „იმ ქვეყანას“  
 გულისხმობა?!

ინჯი – თუ ასეა, გადავირევი.

არიფი – სადაცაა, გაგიჟდები.

ინჯი – გიხაროდეს!

არიფი – შეშლილთან ცხოვრება მაინცდა-  
 მაინც კარგი არ უნდა იყოს.

ინჯი – მე მეტი ალარაფერი შემიძლია.

არიფი – ერთი ფინჯანი ჩაი კიდევ დამისხი!

ინჯი (ჩაის ანვდის) – ჰო, ჩაი დალიე!.. გით-  
 ხარი ხომ, რომ ფატოში ვერ მოდის?  
 უცბად ბიბიშოს სიცხე ასწევია, გა-  
 ჭიმულ-გაშელართული წევს თურმე.

არიფი – ვაჲ, ჩემი ბიბიშო.

ინჯი – ვეტერინართან უნდა წაიყვანოს. აი-  
 თენის ოჯახი კი დღეს 10 სთ-ზე ევ-

როპაში მიემგზავრება. რასაკვირვე-  
ლია, ვერ მოვლენ.  
არიფი – სემრა ხომ მოდის?  
ინჯი (სახეს შექმუხნის) – არ ვიცი.  
არიფი – სემრა მოვა. ფატოშის მიზეზები  
ყელში ამოვიდა.  
ინჯი – ამ საღამოს სადმე რომ წავსულიყა-  
ვი!  
არიფი – ნუ სულელობ!  
ინჯი – ამ საღამოს სახლში დარჩენა არ მინ-  
და.  
არიფი – ვერსადაც ვერ წახვალ!  
ინჯი – ამ საღამოს სტუმრებს ვერ ავიტან.  
არიფი – მშვენივრადაც აიტან. თან ასე  
საფრთხობელასავით კი არა, კოხტა-  
დაც უმასპინძლებ.  
ინჯი – იმ ქალს სახეში ვერ შევხედავ.  
არიფი – ვინ ქალს?  
ინჯი – სემრას.  
არიფი (გაჩერდება, შემდეგ გაიღიმებს) –  
გასაგებია!  
ინჯი – ცდები.  
არიფი – სემრას არაფერი ჩაუდენია ისეთი,  
რომ შენ გეეჭვიანა.  
ინჯი – რა უცნაურები არიან ეს კაცები!  
არიფი – სემრა კარგი გოგოა.  
ინჯი – მისი სახელის გაგონებაც კი მოთმი-  
ნებას მაკარგვინებს.  
არიფი – არ ვიცოდი, შენ თუ ასეთი ეჭვიანი  
იყავი.  
ინჯი (ტირის) – თავი დამანებე!  
არიფი – შეწყვიტე ტირილი! თუ საჭიროა,  
ამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკოთ.  
ინჯი – მე ამ საღამოს...  
არიფი – დიახ?!  
ინჯი – ალბათ, არ ვიქნები.  
არიფი (პაუზის მერე) – ასე არ შეიძლება.  
ინჯი (ალმოხდება) – ვერ ვიზამ!  
არიფი – და ნუ იზამ! თანაც, მისმინე, ასე  
გულამოსკვნილი რომ ზლუქუნებ,  
ათასნაირი აზრი მომდის თავში.  
იცოდე, სხვანაირად დაგელაპარაკე-  
ბი... რა იქნება, ნუ ამიტეს ახლა უსი-  
ამოვნებას! ორმოც წელიწადში ერ-  
თხელ შეისმინე ჩემი სიტყვა!  
ინჯი – ორმოც წელიწადში ერთხელ?! ყო-  
ველთვის შენი ნათქვამი სრულდება.  
არიფი – ჰო, აი ასე! ნელა-ნელა აზრზე მო-  
დიხარ.

ინჯი – შენ ეგრე გეგონოს!  
არიფი – ახლა, ვარაუდით, რამდენი სული  
ვიქნებით?  
ინჯი (მხარს შეარხევს) – მთლად მარტო  
ვარ.  
არიფი (ითვლის) – სევდა, სელმა, ზენგი-  
ნოღლუები, ტუსენები – ექვსი. ზუპ-  
თუ სომერის ოჯახი – ცხრა, ქალიშ-  
ვილიც ჰყავთ. ბელმა, აპმედ ქირფი-  
ქი, მისი ცოლი – 12. სემრა – 13. ჯე-  
მილი, სერვეთ ბათმაზი, ვედათი –  
16.  
ინჯი (დათრგუნული, გაურკვეველი იერით)  
– ვედათი!  
არიფი – არ მოდის?  
ინჯი (ნაღველითა და სიმწარით) – არ დამი-  
პატიჟია და!  
არიფი – მე გითხარი, დაპატიჟე-მეთქი.  
ინჯი (ქმარს ხანგრძლივად უყურებს სახე-  
ში) – როგორ დავპატიჟო?!  
არიფი – რაიმე უზრდელობა გაკადრა?  
ინჯი – არა!  
არიფი – ვედათისგან კაცს ზიანი არ მიად-  
გება. არც წყალია, არც ლვინო. საქ-  
მეში გამოსადეგი კაცი არაა, მაგრამ  
საყვარელი ტიპია.  
ინჯი – სხვა თვისებები აქვს.  
არიფი – ალბათ, მგრძნობიარეა... ეგეთების  
არაფერი გამეგება.  
ინჯი – აბსოლუტურად შენი საპირისპირო  
ტიპია. ამიტომაა, რომ არაფრად აგ-  
დებ.  
არიფი – მე არ მანუხებს... შეეშვი! რაც შეე-  
ხება სემრას, მისი დაპატიჟება სერ-  
ვეთ ბათმაზმა ისურვა. „კვირა საღა-  
მოს ჩვენთან ხომ არ გვევახშმა, ბა-  
ტონო ჩემო-მეთქი“, რომ ვუთხარი,  
იცი, რა მიპასუხა: „იმ შავგვრემან  
ქვრივსაც თუ მოიწვევ, მოვალო“. აი,  
ეგეთი ხორციანი, მუცლიანი,  
მსხვილფეხება, ყვითლად თმაშედე-  
ბილი კახპები მოსწონთ მაგნაირებს.  
გამიკვირდა, სემრა რომ მოსწონს.  
იცის კაცმა პირის გემო. აჲ, შე მე-  
ქალთანევ! შე, ქალამნიანო გლეხო!  
თურმე ბიზნესმენად დაბადებულა  
დედის მუცლიდან. თვითდაჯერებუ-  
ლი და თანაც ვეფხვივით წამგლევი.  
არც მოისვენებს, გამორჩენის მიზ-

ნით საკუთარ მამასაც თვალისდაუ-  
ხამსამებლად გამოსტრის ყელს.

ინჯი – განა ვერ ვხვდები? ტანში სულ  
მბურძგლავს.

არიფი – ფულის ციებ-ცხელება სჭირს, მაგ-  
რამ ჩამოართვი ერთი ეს ფული, სა-  
ხეშიც არ შეხედავ. მაინც რა ჯადო  
დევს ამ ფულში, ღვთის გლახასაც  
კაცად აქცევს!

ინჯი – მეჩვენება, რომ კაცი არც არის.

არიფი – ღვთის გლახა, ნამდვილი ხისთავი-  
ანი და მეტი არაფერი!... ვხედავ, გა-  
მოკეთდი.

ინჯი – ნელ-ნელა გამოკეთებისკენ ვქენი  
პირი.

არიფი – სერვეთ ბათმაზი ორფეხა დათვია,  
რა.

ინჯი – თუ ასეთი აზრის ხარ მასზე, რატო-  
მაა, რომ შეხვედრისას პირში უცი-  
ნი? რატომ ხართ თქვენ ასეთები?

არიფი – თქვენში ვის გულისხმობ?

ინჯი – პირველ რიგში – შენ, შენს მეგობ-  
რებს, ყველას.

არიფი – ვხედავ, საკუთარ თავს ჩვენგან ას-  
ხვავებ.

ინჯი – მე თქვენნაირი არ ვარ...

არიფი – ყველა, რაც არის, ის არის. მეც,  
რაცა ვარ, ესა ვარ. სხვაგვარად არ  
შეიძლება.

ინჯი – ადამიანი რაც არის, ის რომ იყოს,  
ამისათვის საჭიროა, ჯერ რამე იყოს.  
არის კაცი, რაც არის, ის ჩანს, მაგ-  
რამ არის კაცი, არც წყალია და არც  
ღვინო, მაგრამ ცდილობს, სხვანაი-  
რად მოგაჩვენოს თავი. ძუნია და  
ხელგაშლილად იქცევა, მტარვალია  
და ლმობიერებას თამაშობს. მაგრამ  
ამნაირს ძირს რომ გამოუჩერეკ, უც-  
ბადვე გამოჩნდება, ქვას რომ წვენს  
ადენს და ქვის გული რომ აქვს. შენ  
ამნაირი არ ხარ, შენ სხვანაირი ხარ.

არიფი – ძალიან დამაინტერესა, როგორი  
ვარ?

ინჯი – წინათ მეც მაინტერესებდა, მაგრამ  
უკვე აღარ ვაქცევ ყურადღებას.

არიფი – გინდა თქვა, რომ არ მიცნობ?

ინჯი – მინდა ვთქვა, რომ შენში საცნობი  
არაფერია. მთელი შენი ტყუილები,  
შენი ოინები რომ გამოაშკარავდეს...

არიფი – ჰო, რის თქმა გინდა, რა გამოვა?

ინჯი – არაფერი!.. არარსებული რამე ხარ  
შენ.

არიფი (იცინის) – ხუმრობ.

ინჯი – წინათ მეგონა, რომ შენ ადამიანის  
წვალება მოგწონდა. რომ დაინახავ-  
დი, ოდნავ შვებით ამოვისუნთქე, მა-  
შინვე არარსებულ რამეს გამომიგო-  
ნებდი. უცბადვე იპოვიდი რაღაცას.  
თუ ვერ იპოვიდი და ძალით ღილს  
მოგლეჯდი, რომ დასაკერებელი  
მქონოდა – საქმე გამჩენოდა. სუფ-  
რას მიუჯდებოდი და – რას ჰგავს  
ესო, იტყოდი, ხელს ჰკრავდი თეფშს.  
ისე იქცეოდი, თითქოს სუფრიდან  
მშიერი დგებოდი. მაშინ, როცა კარ-  
გად მომეხსენებოდა, რომ გარეთ  
გქონდა საჭმელი ნაჭამი და კარგი  
გამომძლარიც იყავი. წინათ ვიტყო-  
დი ხოლმე ჩემთვის, ამ კაცს ადამია-  
ნის დატანჯვა, წამება მოსწონს-  
მეთქი, წამდვილი სადისტია-მეთქი.  
მერე მივხვდი, რომ წვალება არ არის  
შენთვის მნიშვნელოვანი. შენ სადის-  
ტი არა ხარ.

არიფი – რაღაცას გეტყვი და დამიჯერებ?

ინჯი – არც დაგიჯერებ და არც არ დაგიჯე-  
რებ. მხოლოდ მოგისმენ.

არიფი – ლურჯ კოსტიუმზე ღილი მომწყდა.

ინჯი – როდის?

არიფი – წუხელ, რომ ვიხდიდი.

ინჯი – მერე მე რა!

არიფი – მერე მე რა რას ნიშნავს!

ინჯი – სხვას დააკერებინე.

არიფი – ამ საღამოს ეგ კოსტიუმი უნდა ჩა-  
ვიცვა. საჩქაროდ დამიკერე ღილი!

ინჯი – ვერ დაგიკერებ.

არიფი – მშვენივრად დამიკერებ.

ინჯი – შენ რა, დამცინი...

არიფი – საინტერესოა, იმ ღილებსაც არ  
დამიკერებ, რომლებიც ძალით არ  
მომიგლეჯია?

ინჯი – ეს მე ვიცი.

არიფი – ან ძაფია დამპალი, ანდა შენ ძვე-  
ლებურად ვეღარ აკერებ. (გადის)

ინჯი (ბრაზით ენას უყოფს) – ვირო!

კაცის ხმა – ნელ-ნელა მივიწყებ.

ინჯი (სევდიანად) – მე?!

არიფი (შემოდის ხელში კოსტიუმით) –

ღილს რომ დააკერებ, ძაფი ქვემო-დან რამდენჯერმე შემოახვიე! ღილი სარივით უნდა იდგეს, შენი დაკერებული ღილები მოფომფლოებულია.

ინჯი – რაც შემიძლია, ეგ არის.

არიფი (უწვდის კოსტიუმს) – აიღე!

ინჯი – მერე დავაკერებ. (კოსტიუმს სკამის საზურგეს შემოაცმევს) არა ხარ სა-დისტი.

არიფი – ძალიან გამიხარდა.

ინჯი – არა ხარ. არაფერი არა ხარ. (ნელ-ნელა მოუჩქარებს) არა, იმას არ ვამ-ბობ, რომ ჩვეულებრივი რიგითი ადამიანი ხარ. შენნაირი იშვიათად იპადება ამქვეყნად. შენ, სინამდვი-ლეში, სიცრუე-ტყუილებით, ფანდე-ბითა და ხრიკებით ხალხს თვალში ნაცარს აყრი.

არიფი – ეგ ყველაფერი იმ შენი გიჟი ექი-მისგან ისწავლე.

ინჯი – შენი დაჭრა ძნელია.

არიფი – ოო, აი, ეს კი სწორია.

ინჯი – იმიტომ, რომ ჭრილობა რაღაცაზე უნდა გაიხსნას.

არიფი (სიცილით) – მეტისმეტი გაუტიე! (ცოლს მხრებზე ხელს მოკიდებს) საკუთარ თავს ბევრს უსმენ. მარტო შენს თავს რომ უსმენდე, კიდევ რა უჭირს. ცდილობ, სხვასაც შენნაირად მოასმენიო. დაანებე თავი ამ-ბებს, იცხოვრე! იყავი გულგრილი! ქონა-არქონას ნუ მიაქცევ ყურად-ღებას, გენაცვალე! აი, მე შემომხე-დე, არაფერი გულთან ახლოს არ მი-მაქს! და ეს მაშინ, როცა საკმაოდ გაჭედილში ვარ. შემიძლია გითხრა, რომ კრიზისი მიდგას.

ინჯი – შენ გარშემო ვიწროვდება ქსელი. ხელსაყრელ მომენტს უცდიან შენ-გან მოტყუებული და გაცურებული ადამიანები. ერთ მშვენიერ დღეს ოთხივე მხრიდან შემოგეხვევიან მგლის ხროვასავით. შენ გდარაჯო-ბენ (ხელებით ყურებს იფარავს).

არიფი – რა გემართება ისევ?

ინჯი – თავში ზარები მირეკავს.

არიფი – შეეშვი ამ რაღაც ზარებს! თავი და-ანებე ამნაირ რამეებს! მე თუ ყურს დამიგდებ, აღარაფერი შეგანუხებს.

ინჯი – შენ თუ დაგიგდებ ყურს, რა გამოვა?

არიფი – სხვაგვარად გამოვა.

ინჯი – არ მჯერა შენი.

არიფი – დროა, მოვწესრიგდეთ.

ინჯი – რაღაც ინტერესი რომ არ გქონდეს, ასე არ იჭირებივებდი.

არიფი – ორივეს ინტერესი მალაპარაკებს. ფული არ მაქს. საქმეები არ იძ-ვრის. დედაშენის დანატოვარი უს-კუდარის სახლი ხომ არ გაგვეყიდა... მაგრამ არ მთანხმდები და...

ინჯი – ტყუილად ნუ გაირჯები, არ გაგაყი-დინებ იმ სახლს.

არიფი – ჩვენს მშვენიერ მომავალზე იფიქ-რე.

ინჯი – საღამოს სტუმრები მოგდის. სერ-ვეთ ბათმაზს არარსებულ ნაკვეთს მიჰყიდი, ფულს მოიგებ. მეტი რაღა გინდა?

არიფი – ერთი, ამ ხანებში 60-70 ათასი ლი-რა რომ ჩამივარდებოდეს ხელში...

ინჯი – უსქუდარის სახლს არ გაგაყიდინებ.

არიფი – შენ, რაც გინდა, ის ქენი, მე ჩემი გითხარი. ერთი მაგარი ვარიანტი გამომიჩნდა.

ინჯი – კარგი ერთი!

არიფი – კარგი! მაგრამ, შეუფერხებლად თუ შევძელი ბოლომდე მიყვანა, კარგ ფულს ამოვიგებ. ამ საღამოს, ვახშამზე, ვისკის წრუპვასთან ერ-თად, მშვენიერი ქალთა სქესის ხელ-შეწყობით, სერვეთ ბათმაზს ერთი 15-20 ქცევა მიწა თუ შევასაღე... რა არის სერვეთ ბათმაზისთვის 20 ქცე-ვა? იყიდოს, გადადოს გვერდზე, დღეს-ხვალ იქაურობა ინდუსტრიუ-ლი რაიონი გახდება. ყოველ ქვას, ყოველ გოჯს ოქროს ფასი დაედება. აი, ნახავ, აქეთ დამლოცავს.

ინჯი – სერვეთ ბათმაზი დამპალ და ჭუჭყი-ან საქმეში არ გაერევა. შენ კი, დამ-პალი და ჭუჭყიანი საქმეების გარდა, არაფერი გეხერხება.

არიფი – შეეშვი ბავშვობას. ფულში არ მო-დის ჭუჭყი და სისუფთავე.

ინჯი – აი, ნახავ, არ გამოგივა!

არიფი – რა იყო, რამე ავისმომასწავებელი მჭირს?

ინჯი – უკუღმართობა გჭირს.

არიფი – ვაკეთებ იმას, რაც ყოველ დროს ყველას უკეთებია. პარტიულ მდივანს, ქონების მართვის განყოფილების გამგეს, საკადასტრო სამმართველოს, ყველას ჩემზე უკეთესი მადა აქვს. მაგრამ პირველ ჯერზე 50-60 ათასი ლირა, გესმის? მოდი, გავყიდოთ ის მონგრეული სახლი!

ინჯი – ტყუილად ნუ ირჯები!

არიფი – ამოვალთ გაჭირვებიდან.

ინჯი – გზა ჩაკეტილი გვაქვს.

არიფი – ფულის სუნი მცემს.

ინჯი – ეგ სუნი გულს მირევს.

არიფი – სტამბოლის საუკეთესო ბინებში ცხოვრობ, დედოფალივით იცვამისურავ, ყველაფერი გაქვს და მაინც შენს სახეზე ღიმილს ვერ ნახავს კაცი.

ინჯი – იმ დღეს აქანდაზის ყიდვა მინდოდა და სამ-ნახევარი ლირა ვერ ვიპოვე ამხელა სახლში.

არიფი – რა აქანდაზი?

ინჯი – აქანდაზი... არ იცი აქანდაზი? ნაგვის ასაღები.

არიფი – მტვერსასრუტი რა დღისთვის გინდა?

ინჯი – მტვერსასრუტი გაფუჭებულია, არ მუშაობს.

არიფი – გააკეთებინე!

ინჯი – რომელი ფულით?

არიფი – დარეკე მაღაზიაში ან პირდაპირ ქარხანაში, უთხარი, მტვერსასრუტი გამიფუჭდა-თქმ. მოვიდნენ, წალონ, გააკეთებინონ და გამოგვიგზავნონ ფაქტურა... რა მოუხერხებელი ხარ.

ინჯი – ამდენი ტყუილი, ამდენი სიცრუე, ამდენი მოჩვენებითობა და ყველაფერ ამის მერე ამდენი გაჭირვება!

არიფი – ფული თვალთმაქცობით მოდის, ფული ჰაერიდან მოდის, ეს კარგად ჩაიბეჭდე ტვინში. ფულის შოვნის მთავარი პირობა არის თავის ისე მოჩვენება, თითქოს ფულისმშოვნელი, ფულისმკეთებელი ხარ. რაც შეეხება გაჭირვებას, გაჭირვება დროებითია. ერთ მშვენიერ დღეს ფული ღვარივით დაიწყებს დენას, აი, ნახავ. ჩვენი უნდა გავიტანოთ. პატარა

ავარიებით ქარიშხალს უნდა ვძლიოთ! ეს უსქუდარის სახლი რაში გვარგია?! რა ბედენაა, უშნო, შავი ფიცრების გროვა.

ინჯი – ტყუილად ნუ იწუხებ მაგ ჭკვიან თავს! უსქუდარის სახლს არ გაგაყიდინებ.

არიფი – გაყიდეო, არც გეუბნები, უბრალოდ, ვცდილობ, ხვალინდელი ბედნიერი მომავალი დაგანახო.

ინჯი – ბედნიერი მომავალი! (სლუკუნ-სლუკუნით ტირის) ისეთი უცხოა ჩემთვის ბედნიერება.

არიფი – შეწყვიტე ეგ ღნავილი! შეწყვიტე-მეტქი! კმარა! რა გატირებს, ისიც რომ ვერ გამიგია.

ინჯი – აი, შენ ასეთი ხარ.

არიფი – მოთმინებას მაკარგვინებ.

ინჯი – თუ არ მოგწონვარ, გზა ხსნილი გაქვსო, ამის თქმა გინდა.

არიფი – დიახ.

ინჯი – ცოტას ვეცადე შენთან გაყრას?!

არიფი – რატომ არ გამეყარე?

ინჯი – ცოტას ვეცადე ჩვენ შორის ამ დათარსული კავშირის გაწყვეტას?!

არიფი – გაგენვიტა მერე!

ინჯი – ყოველთვის ან ცრემლების ნიაღვარი დააყენე, ან გულმა დაგჩხვლიტა და ინფარქტი დაგემართა.

არიფი – კარგი ერთი!

ინჯი – სინამდვილეში, არც გული გტკენია და ეს ინფარქტობანაც სულ სიცრუე და თვალთმაქცობა იყო. გიშოვია მუქთა მოსამსახურე და აკვლევინებ თავს. შენი პერანგების რეცხვამ სული ამომართვა. სულ, დიდი-დიდი, სამი პერანგი გაქვს. მეოთხეს არ ყიდულობ, რომ საწვალებელი არ გამომელიოს.

არიფი – ვერ ვიშოვე ჩემი მოსაწონი პერანგი!

ინჯი – შიგნიდან პერანგი გამოხუნდა, გაშავდა. საცვლები ხშირ-ხშირად გამოიცვალე, რეცხვაში ვეღარ ვათეთ-რებ-მეტქი, რამდენს გეხვენები. საცვლებს არ იცვლი, მაგრამ პერანგს ერთ დღეს არ იჩერებ ტანზე. ხანდახან დღეში ორჯერაც იცვლი. კაცი გარედან ასე პრიალებდეს და

შიგნიდან ასე ყარდეს, ამის მეტი არ  
მინახავს.

არიფი – არავინ არის ისეთი, როგორიც გა-  
რეგნულად ჩანს.

ინჯი – ფეხსაცმელებს პერანგის კალთით  
აპრიალებ.

არიფი – ფეხსაცმელებმა თუ არ იპრიალა  
და არ იკრაჭუნა, გზას ვერ ვიგნებ.

ინჯი – 37,5° – მდეც რომ აგინიოს სიცხემ,  
ქოთანს, ტაშტს, ჩასაბან დოქს ლო-  
გინში ითხოვ.

არიფი – საკუთარი თავი ქუჩაში კი არ მი-  
პოვია! სული ტკბილია!

ინჯი – და მერე მე ვაქცევ შენს სიბინძურეს  
და ნახველ-ბალლამიან წყლებს.

არიფი – მოსამსახურე არ იშოვება. ყველას  
ცხვირი ერთი ადლით ზევით აქვს  
აბზუებული. მოსამსახურის გასაჭი-  
რია ქვეყანაში.

ინჯი – ჰო, რა თქმა უნდა, მეც რომ ვიყო,  
არ გავეყრებოდი ჩემნაირ ქალს, ჩემ-  
ნაირ მოსამსახურეს სადღა იშოვი.

არიფი – მიდი, ჰა, მიაწექი!

ინჯი – არ არსებობს რამე, რომ შენ საკუ-  
თარი კეთილდღეობისა და გამორჩე-  
ნის მიზნით არ გაგეკეთებინოს. შენ  
თვალწინ კაცს სულიც რომ ამოს-  
ძვრეს, ტყავში გაძვრები და მაინც  
შენსას გააკეთებინებ.

არიფი – კარგი ერთი!

ინჯი – მაშინვე ხვდები, ვინც რა „ჩიტია“.

არიფი – მერე, ცუდია განა?!

ინჯი – სუფთა გულის, კეთილ ხალხს ეკი-  
დები კისერზე.

არიფი – ეგეთი ჩვევა მაქვს, მიყვარს კარგი  
ხალხი.

ინჯი – ეგოისტი ქალი, მზეთუნახავიც რომ  
იყოს, შენთვის მახინჯია.

არიფი – პირველ რიგში – სულის სილამაზე.

ინჯი – შენი უფროსი დაც შენნაირია. რო-  
გორ იყო, ვითომ რომ გული წაუვი-  
და. ტუჩი კბილით მოუკვნეტია და  
სულ სისხლიანი დუუი აფრქვია.

არიფი – ჩემს უფროს დას შეეშვი!

ინჯი – ექიმმა ფეხში რომ ნემსი უჩხვლიტა,  
მაშინვე გამოსტაცა ფეხი. ექიმმა  
თქვა, ეს ქალი გულწასულს არ  
ჰგავს, რაღაცას ფარისევლობსო.

არიფი – ჩემი უფროსი დის საქმეებს ვისი

ჭკუა შესწოდება.

ინჯი – ყოველთვის შეცდება ის, ვინც ეც-  
დება, შენს შინაგან სამყაროსა და  
გარეგნობას შორის, შენს გრძნობებ-  
სა და მათზე რეაქციას შორის რაიმე  
კავშირი ან თანაფარდობა მოძებ-  
ნოს.

არიფი – მე მათემატიკური განტოლება არ  
გახლავართ.

ინჯი – შენ მხოლოდ სხვისთვის თავგზის  
ასაბნევად, სხვის შეცდომაში შესაყ-  
ვანად, ადამიანის საწვალებლად, სა-  
კუთარი თავის მოსავლელად, რაღა-  
ცის გამორჩენის მიზნით თამაშობ  
დიდ კომედიებს.

არიფი – ჰოჰ, რა ვყოფილვარ და არ მცოდ-  
ნია!

ინჯი – შენ სული არ გაქვს.

არიფი – კიდევ რაღაც ახალი გავიგე ჩემ შე-  
სახებ.

ინჯი – შენ მხოლოდ გარეგნობა გაქვს.

არიფი – ოჰ, ოჰ!

ინჯი – იცოდე, არ მითხრა, თუ არ მოგწონ-  
ვარ, გზა ხსნილი გაქვსო! ძალიანაც  
რომ მოვინდომო, ვერ გაგეყრები.

არიფი – თოკის ბოლოს ხელიდან გაშვება  
არ მინდა. გაზვიადება არ მსურს.

ინჯი – მხოლოდ მაშინ თუ გავიყრებით,  
როდესაც შენ მოგესურვება.

არიფი – ასე იყოს.

ინჯი – განა სულ ასე არ მეუბნები, დრო მო-  
ვა და ჩენჩოსავით მოგისვრი ქუჩა-  
შიო?!

არიფი – ჩენჩოს ადგილი ნაგვის ვედროა,  
ეცადე, ნუ იქნები გადასაგდები!

ინჯი – შენ ვინ შეგენყობა?

არიფი – მეამაყება.

ინჯი – შენს შემხედვარეს, მართალი და პა-  
ტიოსანი კაცი ეგონები. სინამდვი-  
ლეში რა ხარ შენ! რა ხარ შენ!

არიფი – ერთი და იგივეს ორჯერ ნუ იმეო-  
რებ.

ინჯი – ახლა კი მითმენ, ცხვირ-პირში არ  
მირტყამ, იმიტომ, რომ საღამოს  
სტუმრებს ელი. იძულებული ხარ,  
სტუმრებს მეუღლე წარუდგინო.

არიფი – სერვეთ ბათმაზია მთავარი. და-  
ნარჩენები ფეხზე მკიდია.

ინჯი – სახარჯო ფულსაც კი უწვალებლად

არ იძლევი.

არიფი – ფული ქუჩაში კი არ ყრია.

ინჯი – ყოველ დილას ასჯერ მათქმევინებს:  
„სახარჯო ფული! სახარჯო ფულის  
დატოვება არ დაგავიწყდეს! სახარ-  
ჯო ფული არ მოგიცია! რა იქნება,  
სახარჯო ფული დამიტოვე? აბა, სად  
არის სახარჯო ფული?..”

არიფი – ოპჰ, ვიხრჩობი, კმარა, რა!

ინჯი – ჰო, თუ იძლევი, ამოიღე და მომეცი!

არიფი – სადღა მაქვს ის დოვლათი?

ინჯი – დოვლათიანად კი გამოიყურები.

არიფი – დაამთავრე?

ინჯი – ფული რომც ჩაგივარდეს ხელში,  
მიგაქვს და შენს დას ანახვინებ, მე  
კი არა.

არიფი – სანდო ბანეს ვარჩევ.

ინჯი – ერთი პერიოდი დაჩიმებული გქონ-  
და, ჯიბიდან 100 ლირა, 50 ლირა  
მაკლდებაო.

არიფი – ფულს ბარაქა არ აქვს.

ინჯი – ტყუილს ვამბობ? იოტისოდენადაც  
თუ ვაზვიადებ, თქვი! (შიგადაშიგ  
ტირის)

არიფი – შეწყვიტე ტირილი! სხვა რამეებზე  
იფიქრე! აი, საღამოს სტუმრები მო-  
დიან. კოსტიუმზე ღილი დამიკერე,  
ხასიათი გამოგიკეთდება! იმიტომ კი  
არ გეუბნები, რომ კოურზე ფეხი და-  
გაჭირო. გაერთობი. სად არის შენი  
საკერავი ძაფების ყუთი?

ინჯი – მაცივრის თავზე.

არიფი – ო, შე ფეთხუმო!

ინჯი – საკერავი ძაფების ყუთი მაცივრის  
თავზე რომ დევს, ამიტომ მეუბნები  
ასე?

არიფი – მაცივრის თავი სარკესავით უნდა  
პრიალებდეს. მაცივრის თავზე რა-  
ღაც-რაღაცების დაწყობა ნერვებს  
მიშლის.

ინჯი – რა გინდა, სად მივუჩინოთ ადგილი?

არიფი – ქალი საკერავ ყუთს სად ინახავს?  
სხვა ქალები საკერავ ყუთს სად ინა-  
ხავნ? (ანგდის საკერავ ყუთს).

ინჯი (გამოართმევს) – სად ინახავენ?

არიფი – ყოველ შემთხვევაში, ფეხსაცმე-  
ლების კარადაში არა. მით უმეტეს,  
არც მაცივრის თავზე.

ინჯი (ნემსში ძაფს უყრის, ღილის კერებას

იწყებს) – ქალი ნემსებისა და ძაფე-  
ბის ყუთს მისთვის მისაგნებ ადგი-  
ლას დებს.

არიფი – ჯიუტო!

ინჯი – არა ვარ ჯიუტი. ჯიუტი რომ ვიყო,  
ღილს არ დაგიკერებდი.

არიფი – ნუ მამადლი!

ინჯი – არა ვარ კარგად!

არიფი (აენთება) – არა ვარ კარგად, არა  
ვარ კარგად! იცოდე, მოთმინებიდან  
გამოგყავარ!

ინჯი – ბოლო წვეთები თასს ავსებდა ხოლ-  
მე.

არიფი – რა ყოფილა ეგ ბოლო წვეთები?

ინჯი – ყველაფერი.

არიფი – ერთი, მოყევი! ჩვენც ვიცოდეთ!

ინჯი – გეცოდინება და რას იზამ! თავს მი-  
ხედე!... გუშინ ბაირამ გუნდუზმა შე-  
მოგიარა.

არიფი – მერე, მე რა, თუ შემომიარა?

ინჯი – რაღაცა ზეთის საქმე გქონია.

არიფი – გვაქვს.

ინჯი – საქმე გართულებულა.

არიფი – რას ამბობ!

ინჯი – ბაირამ გუნდუზი აფორიაქებული  
იყო.

არიფი – ეგ მშიშარაა, მაგას საკუთარი  
ჩრდილისაც ეშინია.

ინჯი – ქილისელმა ვაჭარმა შედგენილი აქ-  
ტი არ ცნოო.

არიფი – ბიჭი იყო და იცნობდა!

ინჯი – პროკურატურაში გადაუციათ.

არიფი – აი, ეს ცუდია!

ინჯი – შეჭირვებული ვიყავი, კარგად ვერ  
გავიგე.

არიფი – პროკურატურას დაუწყია საქმის  
ძიება?

ინჯი – ეგ ბაირამ გუნდუზმაც არ იცის.

არიფი – სულ ფუჭი ხმაურია.

ინჯი – ზეითუნის ზეთში პარაფინი გაურიე  
თუ რა ქენი?

არიფი – ეგეთ სისულელებს არ ჩავდივარ  
მე.

ინჯი – შენ?

არიფი – ჩემი პატარა მიგნება იყო, მოსაყო-  
ლად არც ღირს.

ინჯი – ნუ მოყვები, უკეთესია!

არიფი – ერთი ძველი ანგარიში გავასწორე.

ინჯი – კარგად გიცნობ.

არიფი – ერთი ორი ყურუშიც გავაკეთე, ეს კიდევ სხვაა... ქილისში ცხოვრობს ერთი შულერი, სახელად ჰაჯი ნეზირი ჰაჯი.

ინჯი – შენ სულ ეგეთები გხვდებიან!

არიფი – ერთხელ მაგრად მაჭამა მაგ თაღლითმა.

ინჯი – ოოჭ, ძალიან კარგი!

არიფი – მაშინ არ შევიმჩნიე, ხმა არ ამომიღია, მაგრამ არც დავივიწყე. გავიდა დრო და მე და ბაირამ გუნდუზმა ზეთის საქმე წამოვიწყეთ. გასაყიდად ზეთი ჩამოვატანინეთ ქილისიდან, ქილისელმა ჰაჯი ნეზირმა არ იცოდა, მე თუ ამ საქმეში ვიყავი. არც მე ვიცოდი არაფერი მის შესახებ.

ინჯი – დამალობანას თამაშობ?

არიფი – ჩამოვიდა ზეთი. რას ვხედავ, ჰაჯი ნეზირისაა. უზარმაზარი ეტიკეტი აკვრია თუნუქის ყუთს: „ჰაჯი ნეზირის ზეთები.“ მომენტი არ გავუშვი ხელიდან.

ინჯი – ერთხელ მაინც გაგეშვა, რა გიჭირდა!

არიფი – ოფიციალური აქტი შევადგენინე: „ზეთი გაფუჭებულია. საჭიროა მისი განადგურება.“

ინჯი (თავზე იტაცებს ხელს) – აჲ, თავი!

არიფი – ჩავიდე აქტი ჯიბეში და ზეთი უმაღლესი ხარისხის ფასად შევასალე ბაზარს.

ინჯი – და აქტი?

არიფი – ჩერჩეტო! ის აქტი ბაზარში საჩვენებლად კი არა, ჰაჯი ნეზირისთვის ავიღე. იმისთვის, რომ შემეთვალა, შენი ზეთი გაფუჭებულია, ფულს ვერ გამოგიგზავნი-მეთქი.

ინჯი – ახლა მაგას საქმე ჰაჯია?

არიფი – მართალი ხარ. საქმე არ ჰაჯია. ვაჭრობაში თუ ემოცია გაერია, აი, ასე იქნება. აღარ შერჩა გემო ვაჭრობას. აღარაფერს შერჩა გემო. ამ დროში სხვა რამეს უნდა მოკიდო ხელი. ოოჭ! ცოტა ვლოკეთ მელანი?! მაგრამ მელნის ლოკვაშიც არ არის საქმე! ერთი მოძღვარი მყავდა, ქარაბეთ ეფენდი, ძველი კაცი იყო, აცხონოს უფალმა. იტყოდა ხოლმე: “თუ

ვინმეს გაცურება გინდა, ვაჭარს ნუ გააცურებ! ვაჭარი შენიაირი, ჩემნაირი ადამიანია. გაცურება და მოტყუება კლიენტს უხდება. დასცხე მუშტარს!” ძველ სკოლასავით იყო ჩემთვის ქარაბეთ ეფენდი. მაგრამ ეგრე არ არის, როგორც გარედან ჩანს. ძველებმა, სწორედ რომ, საქმე იცოდნენ. ახლა ძალიან მეწყინება, ამ უბრალო საქმიდან, არაფრიდან უცებ ფარსაგი რომ გამოტყველეს.

ინჯი – თავი მისკდება. თავი შიგნიდან მტკიცვა.

არიფი – ნეტავ დამესწრო, მე გადამეცა პროკურატურისათვის. ერთი, ჩაი დამისხი.

ინჯი – ჩაი გამოვრთე.

არიფი (ბოლოთას სცემს) – არ უნდა შეიცოდო ამისთანა სწორედ იმიტომ, რომ გაფუჭებულ ზეთს ყიდის, ჯანმრთელობისთვის მავნებელი საქონლის გასაღება უნდა ბაზარზე, დიახაც, პროკურატურას უნდა გადასცე. მაშინვე ფინიად გადაიქცევა, მოვა და ხელ-ფეხს აგილოკავს!

ინჯი – სინამდვილეში, ზეთი არ ყოფილა გაფუჭებული!

არიფი – აქტის მიხედვით, გაფუჭებულია.

ინჯი – ბაზრის მიხედვით, უმაღლესი ხარისხისაა.

არიფი – ცუდია! პროკურატურა თუ საქმეს შეუდგა, გამოიძიებს, აქტი როგორ იქნა აღებული.

ინჯი – მეც რომ ვიყო, მეც გამოვიძიებ.

არიფი – ამ ქვეყანაში პროკურატურა თუ იმის ძიებას შეუდგა, საიდან და როგორ კეთდება ამისთანა აქტები, მაშინ დიდ ფათერაკს გადავეყრებით. ვაჲ, კაცო, მარტო ჩვენ ხომ არ ვართ?!

ინჯი – ოჲ, ღმერთო, რა იქნება, შენი თავი ერგოთ ლატარიაში.

არიფი – საქმე ცუდადაა!

ინჯი – ძალიან ცუდად!

არიფი – (ირონიით თამაშობს) „დალპა რაღაც დანის სამეფოში“.<sup>1</sup>

ინჯი – თურქეთში!... ჩაი გაგიცხელო?

არიფი – ერთ დღეს ერთი ლენჩი ვნახე. ჰარუნივით ზღაპრულად მდიდარი იყო

ის მამაძალლი! ეს კაცი ამ თავით ამ-დენ ფულს შოულობს და მე რატომ ვერ ვშოულობ-მეთქი, დავფიქრდი. ის დღე იყო და ის დღე, მას მერე ვიბრძვი, ვეჭიდები. იმ ბოთემ მილი-ონები დაირტყა, მე კი ამ თავით, ჰა და ჰა, ან შევიმოსე, ან არა. დღესაც ვფაფხურობ. ბოლოს და ბოლოს, ამ დასკვნამდე მივედი...

ინჯი – ჩაი გინდა?

არიფი – ამ დასკვნამდე მივედი: ჩვენ თავი-დანვე შავად მოვდივართ. ტრადიცია და გამოცდილება არ გვაქვს. ჯანსა-ლი ადათ-წესები, მყარი საფუძველი, რომელზეც შეიძლება საქმიანი ცხოვრების აგება, არ გვაქვს.

ინჯი – თქვი, რა, ჩაი გინდა?

არიფი – ყელში ამომიყვანე, ხომ გითხარი, არ მინდა-მეთქი! ჩვენთან საქმიანი ცხოვრება ჰაერშია გამოკიდებული. ყველაფერი მოსწრებაზეა! კბილი კბილის წილ! გემის გადამრჩენელი კაპიტანია. და ჩვენც ვკიდებთ ტვირთს მას, ვისაც მისი ზიდვა შეუძლია. შენ რა გგონია, მე არ მინდა, საიმედო და მყარი წყობა იყოს?

ინჯი – შენ?

არიფი – დიდი მორალისტები დიდი თაღლი-თებისგან გამოდიან. მე დიდი თაღ-ლითი არა ვარ. ჩემზე დიდებიც არიან. ამიტომაც მორალისტი ვარ ჩემებურად. მართლაც რომ ლეშის სუნი დგას. ცხვირში რალაც უნდა გჭირდეს, კაცმა ეს სუნი რომ ვერ იგრძნო. (ინჯის მოუბრუნდება უიმე-დოდ) ამიტომაც უნდა გაეცალო!

ინჯი – შენი ერთი ნათქვამი მეორეს არ ემთხვევა. თითქოს შენ არ იყო ის კაცი, წელან თავისსავე დატრიალებულ ინტრიგებზე რომ ჰყვებოდა!

არიფი – მე არავითარ ინტრიგებს არ ვატ-რიალებ. მე ამ წყობაში, ამ რეზუმის შესაფერის საქმეს ვაკეთებ.

ინჯი – განსაცვიფრებელია!

არიფი – რა არის განსაცვიფრებელი?

ინჯი – ასე მაჩვენებ, რომ თითქოს ეგ მო-ნატრებული ჯანსაღი ზნეობრივი

წესრიგი მხოლოდ სხვებისთვის გნე-ბავს. რაც შეგეხება შენ...

არიფი – ყოველგვარ უზნეობას ჩავდივარ, ასეა განა?

ინჯი – დიახ.

არიფი – მე ვცდილობ, რომ ეს წყობილება საჭირო დონეზე ავიყვანო. გულიც ძალიან შემტკივა. მყარ და საიმედო წყობილებაში კომისიონერი არიფი სხვა კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო. მხოლოდ ეს არის: როცა მორალს ვახსენებ, შენისთანა მოაზროვნებს ჰგონიათ, რომ წერაქვის ქნევითა და შუბლის ოფლით ნაშოვნ ფულს ვგულისხმობ. არა! მე წერაქვს ვერ ვიქნევ. მე ვაკუუმის გამოყენებით ვშოულობ ფულს. მე ე.ნ. გამომგონებელი ვარ, ჭკუას ვიყენებ. მე საარსებო ფულს ფულს არ ვუწოდებ. ფული მიყვარს მე. აი, სერვეთ ბათმაზს ფული არ უყვარს. საკვირველია, არა? არ უყვარს. ფულზე ამბობს, ნამცხვარ-ფახლავა ხომ არ არისო, შეიჭამოსო. მას რომ ჰკითხო, ფულით მხოლოდ საქმე კეთდება. იმ დღეს ამბობდა, მე ფულის მხარ-ჯველ კაცს საქმის მკეთებელ კაცად არ ვთვლიო. ფული ღვარივით მოე-დინება, წვიმასავით იცლება. სულ ეგ არის. საქმოსნისათვის ლუქმაა და მოსასხამი. სერვეთ ბათმაზის აზ-რით, ფული ქარია, საქმეში ღერძს რომ ატრიალებს. სხვაში არაფერში წაგადგება. მას რომ ჰკითხო, ფულს მხოლოდ გაჭირვებულები ხარჯავენ. არასოდეს ყოფილა, რომ სერ-ვეთ ბათმაზს ჩემთვის საქმოსნის თვალით შემოეხედოს. რატომ? (აღელვებით) იმიტომ რომ, როცა ფული შხარაშხურით ღვარივით მო-ედინება, ჭკუას ვკარგავ. მინდა, რომ გავშიშვლდე და იმ წვიმის, იმ ღვა-რის ქვეშ ვიკოტრიალო. მინდა, რომ ფულმა ამიღოს და წამიღოს!

ინჯი – (ისევ თავის სამყაროშია ჩაძირული) ეგ წითელთმიანი კაცი... აი, ის... შენ-გან სამი მაგიდის იქით... უცნაური

<sup>1</sup> ფრაზა შექსპირის „ჰამლეტიდან“.

სახე აქვს... შეიძლება, კიდეც  
გვცნობს.  
კაცის ხმა – ვიღაც უცნობია... უცნებელი  
კაცია.  
არიფი – სერვეთ ბათმაზი ერთი გაუთლელი  
სოფლელია. საჭმელს ხელით ჭამს.  
საპირფარეშოდან გამოვარდნილი-  
ვით უშნო ლიმილით პირგაბადრული  
დაიარება. მაგრამ შეუბრალებელი  
კაცია. ვინც რა უნდა თქვას და შე-  
უბრალებელია! ვაი მას, ვინც მისი  
გზით არ ივლის. კაცის წაქცევაც  
იცის და წამოყენებაც.  
კაცის ხმა – კანკალებ.  
არიფი – რამდენ ერთობლივ საწარმოს,  
რამდენ ვაჭარს დედა უტირა? ორ-  
ჯერ გაკოტრდა, ორჯერვე ნულიდან  
დაიწყო დაგროვება, მთელ ბაზარს  
გადაუარა.  
ინჯი – რა ჩახუთული ამინდია.  
კაცის ხმა – ლოდოსი.<sup>1</sup>  
ინჯი – წვიმას აპირებს. (თავი ხელებში ჩარ-  
გო. რაღაც კრიზისის ზღურბლზეა.  
იწყება მუსიკა, რომელიც ასახავს  
სევდასა და დარდს, იდეაფიქსის აკ-  
ვიატებულობას. მუსიკა იწყება მსუ-  
ბუქად და თანდათან ჩქარდება).  
არიფი (ძლიერ აღელვებული) – სპილენძი,  
ქრომი, ნიკელი, შემდეგ – რკინა, მე-  
რე მარგანეცი, ყველაფერი ხელში  
ჩაიგდო ამ კაცმა, ამ სერვეთ ბათ-  
მაზმა.  
ინჯი – შავი ღრუბლები გროვდება ჩვენს  
თავზე.  
კაცის ხმა – კარგად თუ არ ხარ, დავბრუნ-  
დეთ.  
არიფი – რაღაც ნევროზი დამართნია იმ პე-  
რიოდში. აბა, კაცი რომ მთელ ბა-  
ზარს ხელში ჩაიგდებ, არ გადადგები  
ჭკუიდან? განა ღამ-ღამობით თვა-  
ლის მოხუჭვას შეძლებ? ექიმებს  
უთქვამთ, ბურსაში წადი, დაისვე-  
ნეო. წასულა ბურსაში. (მუსიკა  
ჩქარდება) ყოველდღე სტამბოლში,  
ანკარაში, იზმირში დეპეშას დეპეშა-  
ზე გზავნიდა. არა, კაცი თავის საქ-  
მეს თუ სათავეში თვითონ არ ჩაუდ-

გა, გაშტერდება, გადაირევა. საქმის  
კეთება ქვეყნის მართვაზე რთულია.  
ინჯი – (კვერცხის) რა ჩახუთულობაა, ერთი  
განვიმებულიყო! ეს სახლები, ხეები,  
ქუჩები გარეცხილიყო წვიმაში!..  
განვიმებულიყო! (მთელი ხმით ყვი-  
რის) განვიმებულიყო!  
არიფი – რა ამბავია, რა ხდება? ხომ არ გა-  
გიჟდი?  
ინჯი – ვეღარ ვუძლებ! ვეღარ ვუძლებ!  
(ტირის) მინდა, რომ რაღაც იღონო.  
არიფი – ჯერ ეს ზღუქუნი შეწყვიტე, ადა-  
მიანივით დავილაპარაკოთ!  
ინჯი – რა იქნება, შემიცოდე (მუსიკა წყდე-  
ბა).  
არიფი – ვერ გავიგე.  
ინჯი – ზარები რეკავს.  
არიფი – რა ზარები?  
ინჯი – ტალღასავით მოდის... ზარები, გა-  
მუდმებით ზარები!.. და მაშინ თით-  
ქოს თავზე რაღაც მეხურება. მხო-  
ლოდ ეს ხმები რომ წყდება, მაშინ  
მესმის რეალური სამყაროსი. მაგ-  
რამ ვერ ვივიწყებ! (არიფის ხელებს  
ეხვევა) რა იქნება, გადამარჩინე.  
არიფი – სასწრაფოდ ექიმთან წადი!  
ინჯი – ექიმი რას მიზამს?  
არიფი – გიჟდები!  
ინჯი – არ ვგიჟდები. რომ გავგიჟდე, კიდეც  
გადავრჩები.  
არიფი – საშინელი ყვითელი ფერი გადევს.  
ინჯი – რაღაც მჭირს.  
არიფი – თმის ძირებში ოფლი გასხამს.  
ინჯი – შეიძლება, ვკვდები.  
არიფი – თავს მოვიჭრი, თუ ამ საქმეში რა-  
ღაც გაიძვერობა არ იყოს.  
ინჯი – გადავწყვიტე, უნდა გითხრა.  
არიფი – ჩქარა მითხარი, ნულარ აყოვნებ!  
ინჯი – ის... მე...  
არიფი – აპმედი?  
ინჯი – არა.  
არიფი – აპმედი, ეს აპმედი! აპმედის ხელი  
ურევია ამ საქმეში. თავს მოვიჭრი,  
თუ აპმედი არ არის. (წავა მისკენ)  
ინექი ხომ აპმედთან? მიღალატე  
ხომ აპმედთან? დამდგარხარ აქ და  
გიჟის ნომრებს მიტარებ. (ძალიან

<sup>1</sup> ლოდოსი – სამხრეთის ქარი.

განრისხებულია) ამას არ შეგარჩენთ! ის ერთი მატყუარა, სულმდაბალი, ორპირი ვინმეა! გულისხმიერებას გაითამაშებს. თავს ისე გაჩვენებს, თითქოს ყველასგან განსხვავებულია. სინამდვილეში რა ნაგავიცაა, კარგად მომეხსენება! მაგას ბავშვობიდან ვიცნობ. მაშინაც ეგეთი იყო. მაშინაც კარგი ძალისშვილი იყო. მაგრამ ვაჩვენებ სეირის დღეს! არ ვაცოცხლებ! ცხვირში ამოვადენ!

ინჯი – გეუბნები, რომ აპმედი არაა!

არიფი – ვერ გამაცურებ, შე კახპავ! ჩაგაძალებ!

ინჯი – (დაძლევს) აპმედი, აპმედი, მარტო აპმედი გაქვს ტვინში!

არიფი – (ცოტა აფრებს დაუშვებს) სიტყვის უკან წალებას ნუ ეცდები! უარესი მოგივა!

ინჯი – ტყუილი ვთქვა?

არიფი – სიტყვას უკან ვერ წაიღებ, უკვე ძალიან გვიანაა!

ინჯი – მე არაფერი მითქვამს.

არიფი – (უცბად სულ სხვა მანერით) გიყვარს?

ინჯი – მიყვარდა, მაგრამ ახლა ავად ვარ, ძალიან ვარ გაბრაზებული.

არიფი – ტანსაცმელი მომიტანე.

ინჯი – რად გინდა?

არიფი – რეჯებთან მივდივარ.

ინჯი – ვინ არის რეჯები?

არიფი – ვინც არის, არის, რა! ჩათვალე, ჩემი კაცია. კაცი, რომელიც ჩემს სიტყვას არ გადავა... გამომიტანე ტანსაცმელი.

ინჯი – და თუ აპმედი არ არის?

არიფი – კარგად ვიცი, რა ჩიტიც ხარ.

ინჯი – აუტანელო კაცო! (მუსიკა. მსუბუქად, გაუბედავად შემოდის რამდენიმე თემა) არა, ამ ტალღას არ დავნებდები, თქვენ ხელში არ ჩაგივარდებით! მხოლოდ იცოდე, ამ საქმეს აპმედთან...

არიფი – ოდნავი კავშირიც არ აქვს, გინდა თქვა. ახლა იმ რქიანის დაცვას თუ დაიწყებ, მთლიანად გამომიყვან მოთმინებიდან.

ინჯი – არ არის აპმედი-მეთქი, კაცო, არ

გესმის? აპმედი არ არის! ეს აპმედი შენ ძალიან უნამუსო გგონია. ფიქრობ, აპმედი ნებისმიერ ქალს აცდუნებს.

არიფი – ჭკუიდან ნუ გადამიყვან.

ინჯი – მართალია, აპმედი სიმპათიური მამკაცია, მაგრამ ყველა სიმპათიურთან...

არიფი – ქალო, ნორმალურად დამელაპარაკები, თუ არა?

ინჯი – გულახდილად გეტყვი ყველაფერს.

არიფი – გულახდილად თუ არ მეტყვი, მოგკლავ, არ გაცოცხლებ!

ინჯი – მკვლელებს იქირავებ?

არიფი – რა ჰქვია შენს მეგობარს?

ინჯი – არ გეგონოს, გიმალავ, უბრალოდ, აქედან (თავის პირს მიათითებს) არ ამოდის მისი სახელი.

არიფი – ვფიცავ, მოგკლავ!

ინჯი – წახვალ, რეჯებს გაურიგდები, საკმაოდ გაგრძელდება ეს საქმე.

არიფი – რა ჰქვია შენს კუროს?

ინჯი – აპმედი თუ ვედათი, რა მნიშვნელობა აქვს?

არიფი – (განცვიფრებული და გახევებული. ფრთხილად) ვედათი? შეუძლებელია! თორემ ეჭვს ავიღებდი.

ინჯი – აი, ხომ ხედავ! აპმედი არ არის, ვედათია.

არიფი – ვედათი შეუძლებელია.

ინჯი – ვიცოდი, რომ ვედათზე ვერ გაბრაზდებოდი. არის კატეგორია ხალხისა, ვერ გაბრაზდები. დაამტვრევს, დაამსხვრევს, აურ-დაურევს, მაგრამ მათზე ვერ გაბრაზდები. მაგრამ არის ხალხი, სულ მცირეოდენი რაღაც თუ ჩაიდინა, ქვეყანა დაინგრევა. ვიცი, ვედათზე ვერ გაბრაზდები. იმიტომ, რომ ვედათს არ ეჯიბრები. ვედათი სხვა გვარისაა, სხვა სამყაროს ეკუთვნის. სხვა ცომითაა მოზელილი. ვედათზე რომ გაბრაზდე, ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი დაგჭირდება. მაგრამ რა ვქნათ, აპმედი არაა, ვედათია!

არიფი – ის საცოდავი, ვერსად ფეხი რომ ვერ მოკიდა, ის კოხტაპრუნა? ავარაა თუ მანანნალა, რომ ვერ გაიგებ, ის ვედათი, კაცო?

ინჯი – სწორედ ის.

არიფი – საკვირველია, სწორედ რომ საკვირველი!

ინჯი – რა არის საკვირველი?

არიფი – რომ არ გავბრაზდები, რომ ვერ გავბრაზდები.

ინჯი – სიმართლე ეჭვზე უფრო საშინელი არ გამოდგა?

არიფი – არის საშინელი სიმართლე და არის სიმართლე, რომელიც საშინელი არ არის.

ინჯი – აპედი რომ ყოფილიყო, საშინელი იქნებოდა. ვედათი არ გამოდგა საშინელი.

არიფი – ესე იგი, ჩემი არ გეშინია!

ინჯი – უკვე აღარ შემრჩა არც შეში, არც დელვა, არც ეჭვი, არც ინტერესი. ყველაფერი სულ ერთია.

არიფი – რაღაც უნდა ვიღონო!

ინჯი – განრისხდი, იღრიალე, იყვირე, მკვლელების დასაქირავებლად გავარდი!

არიფი – ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა.

ინჯი – (ირონიით) მართალს ამბობ?

არიფი – (ნელა) უნდა გცემოს კაცმა, თმებით გითრიოს, ჩაგაძალლოს.

ინიჯი – შენ თვითონვე არ გჯერა იმის, რა-

საც ამბობ. შენ ვერ იზამ ამას.

არიფი – ისე ლაპარაკობ, თითქოს გწყინს, ჯოხი რომ ვერ იგემე!

ინჯი – შენ არანაირი გრძნობა და არანაირი განცდა არ გაგაჩნია.

არიფი – თუ ფიქრობ, ადვილად გადამირჩები, ძალიან ცდები.

ინჯი – ეგეც ვიცი.

არიფი – საშინლად ვიძიებ შურს.

ინიჯ – საშინლად არა, საზიზლრად.

არიფი – იმის მაგივრად, რომ გაწითლდე, სიტყვების თამაში გამიმართე აქ. თითქოს უდანაშაულო იყო, თითქოს ქმრისთვის კი არ გელალატოს და ვილაცას კი არ ჩაბარებოდე, არამედ მეჩეთში მტრედებისთვის საკენკი დაგეყყაროს! იმის ნაცვლად, რომ მინაში ჩაძვრე, ყბას არ აჩერებ. იმას მიკრიტიკებ, რანაირად ვიძიებ შურს. თურმე საშინლად კი არა, საზიზლრად უნდა ვიძიო შური, ჰმ! განა ის, რაც შენ ჩაიდინე, საზიზლრობა არ არის? (ზურგს აქცევს)

ინჯი – (სახეს ხელებით იფარავს) არ ვიცი, არ ვიცი!

კაცის ხმა – რატომ იფარავ სახეს ხელებით? უხამსი და უსიამო რა არის ჩვენს სიყვარულში?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თურქულიდან თარგმნა  
ნანა კაჭარავამ



სომხური ლიტერატურა

## ნარ-დოსი (1867-1933)

ცნობილი სომეხი ნოველისტი ნარ-დოსი (მიქაელ ჰოვანესიანი) თბილისში დაიბადა. იგი თავიდან ავლაბრის წმინდა კარაპეტის სახელობის ეკლესიის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი – ორკლასიან რუსულ სასწავლებელში. უსახ-სრობის გამო ვერ გააგრძელა სწავლა ხონის პედაგოგიურ სემინარიაში, სადაც გამოცდები ჩააბარა. ამავე მიზეზით ვერ შევიდა თბილისის სარკინიგზო სკო-ლაში. მუშაობდა მთარგმნელად, კორექტორად, მდივნად სხვადასხვა რედაქ-ციაში. ნარ-დოსს ეკუთვნის მოთხრობების ციკლი „ჩვენი უბანი“, რომელშიც შედის მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები „სულზე მიუსწრო“. ნარ-დოსი გარდაიცვალა თბილისში.

## სულზე მიუსწრო

ზამთრის პირი იყო. სიბნელეს ჯერ კი-დევ ბოლომდე არ შემოებიჯებინა ქვეყ-ნად. ცა ამღვრეული იყო გაზაფხულის წყალივით. გამხეცებული ქარი შხულით შემოვარდებოდა ქუჩის ერთი მხრიდან, იტაცებდა პირველივე შემხვედრის ქუდს, ლოკავდა ძირიდან ნაგავსა და მტვერს, აკა-კუნებდა კარებზე და ფანჯრებზე. მეწ-ვრილმანე ვაჭრის მაღაზიის თავზე დაკი-დებულ აბრას ზევით სწევდა, კედლებს ურტყამდა და ქუჩის მეორე მხარეს იკარგებოდა. მეფარნე კიბემოკიდებული, პატარა ლამპებით ხელში, ლამპიონების ასანთებად მიიჩქაროდა. ქუჩის კუთხეში უკვე ანთე-ბულ, ამინდისგან ნაცემ ლამპიონებს თავე-ბი დაეხარათ და ადამიანის სწეული, და-ნირპლული თვალებივით იყურებოდნენ აქეთ-იქით – ჭუჭყიანი ფანჯრების მიღმა. უკაცრიელ ქუჩაში პატარა ძაღლი მობუზუ-ლიყო დაკეტილი კარის წინ, მთელი ტანით ცახცახებდა და ყმულდა.

მღებავი დავითი სახლში მიდიოდა. თი-თის წვერები ლურჯი ახალუხის ჯიბეებში ჩაეყო, ქარი უფრიალებდა გაცვეთილი ჩო-ხის კალთებს და წითელ ახალუხს, რომე-ლიც ერთი ბოლოთი ტყავის ქამარზე მიე-მაგრებინა. მთელი ტანსაცმელი – ქამრიდან

დაწყებული – ფეხსაცმელებით დამთავრე-ბული, ყველა ფერის ლაქით დაფარულიყო, რომელთა შორის განსაკუთრებით თვალში საცემი იყო თეთრი. უიმედო და უმიზნო ადამიანის ნაბიჯებით მიდიოდა და ცხვირ-ში გინებისმაგვარ რაღაცას დუდლუნებდა. ცივი ქარი უბერავდა სახეში, მტვრით უფა-რავდა წვერს, ულვაშს და ხშირ ნარბებს, აი-ძულებდა თვალების დახუჭვას, ყურებამდე ჩამოფხატული ქუდის წართმევით ემუქრე-ბოდა და შიგადაშიგ ისე ძლიერად უტევდა, რომ კაცი უნებურად ჩერდებოდა და მთე-ლი სხეულით წინ და უკან იხრებოდა, მაგ-რამ არაფერს გრძნობდა, გრძნობდა მხო-ლოდ ერთს – საყვარელივით სანატრელ და სიკვდილივით გაუსაძლის წყურვილს, ალ-კოპოლური სასმელის უსაზღვრო წყურ-ვილს, რისგანაც ენა დაშრობოდა პირში, კუჭი ეწვოდა, ნაწლავები მუცელში ეხლარ-თებოდა. თითქოს მთელი სხეული მოკლე-ბოდა ჩვეულებრივ სითბოს.

მთელი სამი კვირაა, რაც უქმად იყო, საქმე არ იშოვებოდა. ზამთრისპირი იდგა. სახლის ამშენებელს სახლი უკვე აეშენები-ნა და დაემთავრებინა, შემკეთებელს შეეკე-თებინა და დაემთავრებინა, აღარავინ აშე-ნებდა ახალ სახლს, აღარავინ აღეპვინებდა

იატაკს, აივანს, სახურავს, კედელზე ახალ მუშამბას არ აკვრევინებდა. მღებავთა სამუშაო დღეები გასულიყო.

ზაფხულის და შემოდგომის სამუშაო ფული ერთ დღეს მოდიოდა, მეორე დღეს მიდიოდა. ახლა არც ერთი გროში ჯიბეში არ ედო. ხოლო დღეს პირველი შემთხვევა იყო, რომ პირში წვეთი არ ჩასვლოდა – არც არაყი, არც ღვინო. მთელი ერთი დღე... გა-საგიშებელი რამ იყო და მას გულწრფელად უკვირდა, რომ აქამდე ჯერ არ შეშლილა, ან არ მომკვდარა. არადა დღემდე, ამ მძიმე დღემდე, მთელი თვის მანძილზე არ ყოფილა ისეთი ერთი დღე, თუნდაც ერთი დღე, რომ მუშაობის დროს უცებ არ გაქცეულიყო უახლოეს სამიკიტნოში პირის ოდნავ გა-სასველებლად, ან სამუშაოს მერე საათო-ბით არ მჯდარიყო სამიკიტნოში მეგობრებ-თან ერთად და კარგად დამბალი არ დაბ-რუნებულიყო შუალამისას ბაიათის ლილი-ნით. ხოლო ახლა?.. ნისიად მაინც მიეცათ ერთი ნახევარი დოქი ღვინო, ან ერთი "ტრიკატკა" არაყი. არა, არ აძლევდნენ უსინდისოები, უფრო სწორად, ადრე მიუ-ციათ, მაგრამ აღარ აძლევდნენ. ხედავ-დნენ, რომ უკვე დაგროვილი ვალის გადახ-და არ შეეძლო. არადა, ამ უმაღურებთან დატოვა თითქმის მთელი გამომუშავებუ-ლი ფული. ერთ-ერთ მეგობარს მაინც და-პატიჟებინა. არა, არ ეპატიჟებოდნენ, ყვე-ლა მასავით უსაქმური იყო. ყველა ჯიბე-გამოფხეკილი იყო. ამ უპატრონო სახლშიც არ იყო ისეთი არაფერი – ვერცხლის კოვზი, ოქროს ბეჭედი, საყურე ან ხალიჩა. თუნდაც ცოლისგან მალულად რომ წაეღო, გაეყიდა. სახლი – დალაგებული, ცოლ-შვილი – შიშ-ველი, თვითონ – ცარიელ-ტარიელი.

დღეს ღვინის გამყიდველმა, ვისთანაც ზაფხულის თითქმის მთელი გამომუშავე-ბული ფული დატოვა, წინ დავთარი გადაუ-შალა და უთხრა:

– აი, ჩემო დავით, ათი მანეთი და ხუთი შაური ნისია განერია. მოიტა, ძმაო, და და-ჯექი, კიდევ რამდენიც გინდა, დალიე, შე-გერგოს.

დავითის ხვეწნა-მუდარას ყურადღება

არ მიაქცია. მოკვდა, გათავდა, მაგრამ ერ-თი ჭიქა არაყი არ მისცა, რომ გამშრალი პი-რი გაესველებინა და ცოტა გამთბარიყო ამ უვარების ამინდში.

ახლა სახლში ბრუნდებოდა, იმედგადა-ნურული და ყველაზე და ყველაფერზე სას-ტიკად გაავებული. და როცა ფიქრობდა, რომ ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც – ვინ იცის, კიდევ რამდენი დღე – იგივე წარუმატებ-ლობა ელოდა, როგორც დღეს, ცოტაღა აკ-ლდა სრულიად გაგიჟებამდე. თითებით გა-ნუწყვეტლივ იქექებოდა ახალუხის ჯიბეებ-ში, იმის იმედით, რომ იქნებ ათ ან თხუთ-მეტკაპიკანი ჩარჩენილიყო დაკემსილ ჯი-ბეში, როგორც ბევრჯერ ყოფილა ფულიან დროს, მაგრამ თითის წვერები მხოლოდ გაცრეცილ ჯიბეებში ჩარჩენილ ჭუჭყს ეხებოდა.

ქართან ჭიდილში თავის ვიწრო და დაღ-რეცილ ქუჩაზე გადაუხვია, რომელსაც მთელ სიგრძეზე დაბრეცილფანჯრებიანი, კარებგამომპალი დაფხავებული მიწურები მიუყვებოდა, თითქოს წაქცევის შიშით ერ-თმანეთს რომ მიყრდნობოდნენ. დავითი ერთ კართან შეჩერდა, რომლის ღრიჭოები-დან და ბზარებიდან ჭრაქის შუქი მოჩანდა. დაკაკუნების ნაცვლად ფეხი ასწია და მაგ-რად მიარტყა კარს. კარი გაჭრიალდა, კინა-ღამ ამოვარდა, მაგრამ არ გაიღო, შიგნიდან იყო დაკეტილი. ამან კიდევ უფრო გააცოფა დავითი და წინანდელზე უფრო ძლიერად დაარტყა.

– მოკვდით? განწყდით? – დაიყვირა საში-ნელი გინებით. შიგნიდან გაისმა საკეტის ჩხაკუნი. ფეხშიშველმა, დახეულტანსაც-მლიანმა, გაჩერჩილთმიანმა პატარა გოგომ კარი გააღო, სიცივისგან გათოშილმა, გაი-წია, რათა მამა შემოსულიყო. დავითი ჩა-სისხლიანებული თვალებით შემოვიდა. გო-გონამ შიმშილით გატანჯული მზერით მა-მამისის ცარიელ ხელებს ახედა და, კარს რომ კეტავდა, ერთი მძიმე დარტყმა იგ-რძნო თავზე. ხმა არ ამოუღია, ხელები თავ-ზე შემოიდო და ადგილზე ჩაჯდა ტაბაკა ქათამივით. სავარაუდოდ, დარტყმის გამე-ორებას ელოდა და თავისი პატარა სხეუ-

ლის მთელი ფიზიკური ძალით გაძვალტყავებულ ხელებში მომწყვდეული თავის დაცვას ცდილობდა. თუმცა მამა მხოლოდ ერთი დარტყმით დაკმაყოფილდა და მაშინვე ცოლს მიუბრუნდა, რომელიც, ტახტზე ჩამოჭდარი, ლამპის შუქზე კერავდა.

— ხომ... მოკვდით, ჩაძალლდით, ქალო? ამდენი ხანია, კარს ვანგრევ, არ გესმით? დაყრუვდით, თქვე დასაყრუებლებო? ისე ჩაგიკეტავთ, თითქოს გეშინიათ, არ გეცენ, არ გაგძარცვონ. ვაი, თქვენი გაჩენის დღე მოისპოს, თქვენი გაჩენის დღე! თქვენ ხომ ჩემთვის ცოლი და შვილები არ ხართ, ტკივილი და ცეცხლი ხართ ჩემთვის, ტკივილი და ცეცხლი დაგეცეთ თავზე! ჯიბეში გროში აღარ დამრჩა, რაც შენ ეგ შენი მოსამზვრევი ფეხი აქ შემოადგი...

დავითის ყოველი ფრაზა შეზავებული იყო ყველაზე საუკეთესო და ზოგჯერ ზედმინევნით გამორჩეული გინებებით.

ცოლმა საერთოდ არ ამოილო ხმა, თავიც კი არ აუწევია საკერავიდან. ქმრის ყვირილი და გინება იმდენად ჩვეულებრივი რამ გამხდარიყო მისთვის, რომ სრულიად დაეკარგათ მნიშვნელობა და ზემოქმედება. უკვე დიდი ხანია, რაც აღარ პასუხობდა. ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდა, რომ პასუხი არა მხოლოდ უშედეგო, არამედ საშიშიც კია. რადგან სიტყვას სიტყვა მოჰყებოდა და დავითი ბოლოს სიტყვიდან „საქმეზე“ გადადიოდა. ცოლის ერთადერთი პასუხი დუმილი და გულგრილობა იყო. გინდალლს ეყეფა, გინდ დავითს – სულ ერთი იყო მისთვის. ისეც ხდებოდა, რომ დავითი საათობით ყვიროდა, იგინებოდა ყველაზე საზიზლარი ზედსართავებით, მაგრამ მაითავრიალუნული თავის საქმეს აგრძელებდა, ქვასავით ჩუმი და გულგრილი. მძიმე, ძალიან მძიმე იყო საწყალი ქალის დღეები ლოთი ქმრის ხელში. რაც მაის მეუღლის სახლში ფეხი შემოედგა, არც ერთი კარგი დღე არ ენახა, სულ ცემა და გინება, სულ გინება და ცემა. ცემას და გინებას კიდევ არა უშავს რა, ამას, ასე თუ ისე, კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ სახლსა და ბავშვებზე მაინც ეზრუნა, ეგეც არ იყო. რასაც შო-

ულობდა, მუცელში იყრიდა. მაშ, რიღასთვის იყო, უკეთესი არ იქნებოდა, საერთოდ რომ არ ყოფილიყო? საწყალი ქალი თავის საქმეს მაინც გააკეთებდა მშვიდად. ღამეებს შიშითა და კანკალით აღარ დაელოდებოდა იმაზე ფიქრით, რომ სადაცაა, უნდა მოვიდეს მტარვალი, გალეშილ-გალენილი ქმარი და ბავშვებს გული გაუხეთქოს, მთელი უბანი შეყაროს. ოჯახს თვითონ არჩენდა, ბავშვებს თვითონ აცმევდა, აჭმევდა თავისი ხელით გამომუშავებული ფულით. მაშ, რისთვისლა იყო ეგ მუდამ მთვრალი ქმარი? რა გულით ყვიროდა, იგინებოდა, რატომ და რა უფლებით? მაი მუშაობდა დღე და ღამე. მუშაობდა – კერავდა, სარეცხს რეცხავდა, პურს აცხობდა, თოკს გრეხდა და ტომრებს კერავდა, კემსავდა, სპარსელი ვაჭრებისთვის ნუშს, კაკალს, თხილს ამტვრევდა. საჭიროებამ აიძულა ყველა ტიპის სამუშაოს ათვისება, მისი ხელები არასდროს ისვენებდნენ. მუდმივ სამუშაოს, წვალებას და საზრუნავს, ქმრის-გან მიყენებულ ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას გაეთავებინა საწყალი ქალი. მისი ცხოვრება თითქოს ცხოველისას დამსგავსებოდა. არ იცოდა, რა დღე თენდება, რა დღე ღამდება. ერთი რამ იცოდა მხოლოდ: ბავშვები მშივრები არიან – უნდა იმუშაოს, ბავშვები შიშვლები არიან – უნდა იმუშაოს, სახლის პატრონი ქირას ითხოვს – უნდა იმუშაოს. აი, ამ ღამესაც, მიუხედავად იმისა, რომ შაბათი ღამე იყო, კვირის დამდეგი, როცა ყველა საქმე ჩერდება, ის ისევ მუშაობს, მთელი დღე კერავს, ადრეული დილიდან ზის, რათა დაამთავროს, წაულოს, პატრონს მისცეს, რამდენიმე კაპიკი ფული აიღოს ხვალის პურის საყიდლად. ბავშვები ისედაც მთელი ღამე შიმშილისგან სლუკუნებდნენ. პატარა ამდენი სლუკუნისგან დაიღალა და ჩაეძინა... ხელები გაშეშებოდა, ნემსს ძლივსლა იჭერდა... წელშიც მოხრილა, გამომშრალა... როცა სწორდება, პერნია, რომ ხერხემალში გადატყდება.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ყვიროდა დავითი. იგინებოდა, მკვდარი და ცოცხალი

აღარ დატოვა. მერე ტახტზე დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და გამოუნილი წყლის-გან აჭრელებული ჭერის მორებს მიაშტერდა.

პატარა გოგო, რომელიც მამის შიშით კართან ჩაჟუზული დარჩენილიყო, სადაც კარის ღრიფობიდან ცივი ქარი უბერავდა და გამხდარ სხეულს უყინავდა, ნელა წამოდგა, კატის ნაბიჯებით წავიდა, აძვრა ტახტზე და დედას მიუჯდა. შიშველი მუხლები ჩითის კაბის მოკლე კალთით დაიფარა. მალე ქუთუთოები დაუმძიმდა და თვლემა დაიწყო. დედამ კბილებით გაწყვიტა ძაფი და დაინახა, მთვლემარე გოგონა თავს როგორ აკანტურებდა.

— გოგო, თუ გეძინება, ნადი, დაიძინე.

გოგონამ ამღვრეული თვალები გაახილა, ერთი წუთით უაზროდ მიაჩერდა დედას, მერე ბასრი ფრჩხილებით თავის ფხანა დაიწყო და ხმადაბლა წაილულლუდა:

— პური მინდა.

— მეც მინდა, — გამოეხმაურა ტახტის ბოლოდან პატარა, რომელსაც მამის ყვირილზე გაეღვიძა და აქამდე საბის ქვეშიდან ჩუმად, დაუინებით შესცეკროდა ჭრაქს.

— ხვალ, ხვალ, შვილო. ახლა დაიძინეთ, — უთხრა დედამ.

მაგრამ პატარამ და მისგან გამხნევებულმა უფროსმა დამ უფრო და უფრო უმატეს სლუჟუნს.

— გაჩუმდით, ძაღლისშვილებო, თორემ ახლა ავდგები! — უცებ დაიყვირა დავითმა, ნაჩეარევად გადმოტრიალდა და მუშტი მაგრად დაარტყა ტახტს. პატარა მყისვე გაჩუმდა და საბანი თავზე გადაიფარა. გოგონაც გაჩუმდა. დაჩოქილი მივიდა საწოლამდე. დაწოლამდე მთელი სხეული მოიფხანა. მერე საბის ერთი ბოლო ასწია და შეძვრა. თავი ძმის თავს მიადო, კანკალით მოიბუზა და თითქმის მაშინვე ჩაეძინა.

ქარი კარს აჭრიალებდა, ბუხარში ბზუოდა, კარსა და ფანჯარაზე აკაკუნებდა, ხოლო შიგნით, სიჩუმეში ისმოდა მძინარე ბავშვების სუნთქვა და შიგადაშიგ — დავითის ბურტყუნი. მაი კი თავჩაღუნული კერავდა და კერავდა და თეთრი სელი მის

დაღლილ თვალებში შიგადაშიგ ფენებად იყოფოდა: წითელი, მწვანე, ყვითელი ზოლებით. დავითი მწოლიარეც ვერ ისვენებდა. ციებ-ცხელებიანი ადამიანივით აქეთიქით ტრიალებდა, ბურტყუნებდა და ფრუტუნებდა, ალკოჰოლის წყურვილი უფრო და უფრო აგიუზებდა. ეჩვენებოდა, რომ ამ ღამეს ვერ გაათენებდა. ან მოკვდებოდა, ან გაგიუდებოდა. და საერთოდაც, მთელი დღე თავს ცუდად გრძნობდა. თავი ქვასავით დამძიმებოდა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა, ხელები უკანკალებდა, მუხლებში მტვრევას გრძნობდა, ხოლო კუჭში, ეგონა, ჭიანჭველები დარბოლნენ. მიუხედავად იმისა, რომ არაფერი ეჭამა, შიმშილს მაინც არ გრძნობდა და ჭამაზე არც კი ფიქრობდა. მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ რამდენიმე ჭიქა არაყი საკმარისი იქნებოდა ყველა ამ ავადმყოფური მოვლენის განსაღევნად.

— ო, მე თქვენი! — მუშტი მძიმედ დაარტყა ტახტს.

უშვერი გინებით მიმართა, ღმერთმა უწყის, ვის. წამოჯდა, ფეხები ტახტზე ჩამოკიდა, დაიხარა და თავი ხელებში ჩარგო. ძილი მაინც მორეოდა, რომ თუნდაც ცოტა ხნით დავიწყებოდა ეს აუტანელი წყურვილი! მას ალკოჰოლის წყურვილი ისე არ კლავდა, როგორც მისი წარმოდგენა, რომელიც ასე მიმზიდველი და მაცდური იყო. წარმოიდგენდა, როგორ სვამდა არაყისა და ლვინოს დუდუკისა და არლნის ხმების ფონზე სამიკიტნოში, რომლის დაძმარებული პაერი მისთვის უფრო მაღიანი იყო, ვიდრე სურნელოვანი ვარდი. ის ადგა და ოთახში ბოლოთის ცემას მოჰყვა. ფიქრობდა, რა გაეკეთებინა ამ საშინელი მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ფიქრობდა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს წინაშე მდგარი ადამიანის მტანჯველი ფიქრებით.

ყოველ ჯერზე, როცა ოთახის კუთხეს უახლოვდებოდა, თვალში წყლის დოქი ხვდებოდა. თავიდან ყურადღებას არ აქცევდა, მერე შეჩერდა დოქის წინ, მასში აღძრული უცნაური, დაუძლეველი ზიზღით, რომელსაც, როგორც ლოთი, წყლის მის

მართ განიცდიდა. თუმცა ალკოჰოლური სასმელის წყურვილი კლავდა. ნერნყვი დაშრობოდა, კუჭი ეწვოდა. პირი რაღაცით უნდა გაესველებინა, და დავითი, ნებით თუ უნებლიერ, წყლის დოქთან დაიხარა, მაგრამ ამ დროს რაღაც აზრი მოუვიდა თავში და სასტიკი სახე ერთი წუთით თითქოს გაუბრნებინდა. სწრაფად მიუახლოვდა კედლის კარადას, გააღო, გამოიღო არყის ცარიელი ბოთლი, დოქიდან ერთი ჭიქისოდენა წყალი ჩაასხა და გამოვლება დაიწყო. გამოავლო, გამოავლო არყის ბოთლს, მერე მოიყუდა და წრუპვა დაიწყო. წრუპავდა თვალდახუჭული და ტუჩებს ბოთლის პირს მაგრად უჭერდა. ამ დროს მის სახეს ისეთი საძაგელი გამომეტყველება მიეღო, თითქოს საფალარათოს სვამდა. ცოლმა პირველად ასწია თავი. შეხედა, უკრიდან ქოქოლა მიაყარა და ისევ გააგრძელა კერვა. დავითმა, მართალია, ეს ვერ დაინახა, მაგრამ მიხვდა, რომ ცოლმა მასზე რაღაც ჩაიბურტყუნა.

— ჰა, რას ბურტყუნებ? — ჩუმად მიუბრუნდა ცოლს. ბოთლი ტუჩებს მოაშორა, აგზებული თვალებით დიდხანს, ჩუმად და გაუნძრევლად, ალმაცერად უყურებდა ცოლს. მერე მუქარით დაამატა:

— კანი ხომ არ გექავება? თუ გექავება, მოგთხან.

ცოლმა ხმა არ გასცა. დავითმა ბოთლი ადგილზე დადო. კარადის კარი მიაჯახუნა და წავიდა, ისევ ტახტზე დაწვა. არ დავინუებია ცოლისთვის გინების ახალი თაიგულის მირთმევა. მართალია, წყალს ცოტა არყის გემო მიეღო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის არ იყო, რაც ცხვირიდან კვამლს გადენს, ის არ იყო თვალებიდან ცრემლების დამდენი არაყი, დალევისთანავე ბალზამივით რომ ვრცელდება ადამიანის ვენებში. და ეს უფრო აბრაზებდა დავითს და ალკოჰოლის წყურვილს კიდევ უფრო აღუძრავდა. საშინლად სურდა, რომ ცოლს ხმა ამოეღო, რამე ეთქვა, რათა მყისვე ამდგარიყო და ერთი კარგად მიესრისა, გულის ლვარძლი მასზე ამოენთხია. მაგრამ ის მაინც თევზივით ჩუმად იყო, თავის საქმეს აკეთებდა.

კარზე დააკაკუნეს. დავითმა თავი ასწია. კარს შეხედა და ისევ დაწვა. ეს, ალბათ, აკოფია, პირველი შვილი, რვა წლის, რომელიც ახლა ბრუნდებოდა მაღაზიიდან. მეოთხე თვე იყო, რაც მონაფედ მიებარებინათ ერთ მესპილენძესთან ერთი წლით — უხელფასოდ, ხელობის შესწავლამდე. რადგან კარი მაშინვე არ გააღეს, ისევ დააკაკუნეს. დავითი წამოხტა, დაჯდა და გაცოფებული მიუბრუნდა ცოლს:

— ქალო, დაყრუვდი? არ გესმის? ესეც ხომ მე არა ვარ! ადე, გააღე, რა! გაქვავდი შენ მაგ ჭრაქის ქვეშ, ჰა! ისე მიეწებო მაგ ტახტს, რომ ალარ მოძვრე. ერთი, ვინმერ გყითხოს, რა ხეირია მაგ უპატრონო, გასაწყვეტი კერვისგან. ნავთსაც დილამდე წვავ!

მაიმ საკერავი გადადო, წელი ძლივს გაისწორა, ადგა, ტახტიდან ჩამოვიდა და ქმრის გინების თანხლებით წავიდა კარის გასაღებად.

შემოვიდა აკოფი დაჭმუჭნილი ტანსაცმლით. მურისგან გაშავებული სახით, ხელებით და მუხლებამდე შიშველი ფეხებით. სიცივისგან მთელი სხეულით კანკალებდა და კბილებს შეუმჩნევლად აკანკანებდა, მაგრამ თვალები გაშავებულ სახეზე უსაზღვრო ბავშვური ბედნიერებით უბრნებინავდა.

— მაილოჯან! — შემოსვლისთანავე წამოიძახა მან, — დღეს მყიდველი მოვიდა, სპილენძი იყიდა, სახლში წავაღებინე და ერთი აბაზი მაჩუქა, აი!

დავითი ფულის ხსენებაზე ჩიტივით წამოფრინდა ადგილიდან და ერთი ნახტომით გაჩნდა კართან.

— აბა? აბა?.. — და მშიერი მგელივით ეცა ბავშვს.

დედა შვილსა და მას შორის ჩადგა.

— არ მისცე, არ მისცე, აკოფჯან! პური არ გვაქვს.. პურს ვიყ... — ქალმა სიტყვა ვერ დაამთავრა. დავითმა ორივე ხელი ჩაავლო გამხდარ მხრებში და ისეთი ძალით მოისროლა, რომ ის ზურგით გაიშხლართა იატაკზე.

— მე მომე! — უყვირა და ისე მაგრად მოუჭირა ბიჭს მუშტი, რომ მან ტკივილისგან

დაიკივლა და ხელიდან ფული გაუვარდა. დავითმა ფული აიტაცა და გიშივით გავარ- და გარეთ.

როცა მაი გონს მოეგო და თვალები ფრთხილად გაახილა, თითქოს სიზმარში დაინახა, რომ აკოფი კედელს აკრული ტი- როდა – ბავშვური ხმამაღალი სლუკუნით.

ცივი ქარი უბერავდა ლია კარიდან და ტახ- ტზე მდგარ ლამპის შუქს აპარპალებდა. გაჭირვებით წამოჯდა. ხელები კეფაზე წაივლო. თვალები დახუჭა. ბასრი ტკივი- ლისგან მწარედ ამოიოხრა.

– კარი დაკეტე, აკოფჯან. კარი დაკეტე. ცივა... – ძლივს ამოილუდლუდა.

სომხურიდან თარგმნა  
ასია დარბინიანმა



სპარსელი ლიტერატურა

## ჰუშანგ მორადი-ქერმანი (დაიბ. 1944 წ.)

საბავშვო და საყმანვილო ჟანრის გამოჩენილი ირანელი პროზაიკოსი ჰუშანგ მორადი-ქერმანი ქერმანის პროვინციის სოფელ სირჩში დაიბადა. მისი წიგნები: „მაჯიდის ამბები“, „თონე“ და სხვა მოთხოვნები“, „ბრონეულის ღიმილი“, „ქვევრი“, „ტკბილი მურაბა“, „თქვენ ხომ უცხო არ ხართ“ და სხვ. დიდი პოპულარობით სარგებლობები ირანში. მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. ჰუშანგ მორადი-ქერმანი არის სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის ნამდვილი წევრი. მწერალს მიღებული აქვს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდო. ჰუშანგ მორადი-ქერმანის მოთხოვნების მიხედვით ირანში გადაღებულია არაერთი პოპულარული ფილმი და ტელესერიალი.

„არმაღანი“ პირველად სთავაზობს მკითხველს ჰუშანგ მორადი-ქერმანის მოთხოვნების ქართულ თარგმანებს კრებულებიდან „მაჯიდის ამბები“ და „თონე“ და სხვა მოთხოვნები“.

### ისპაპანის საფარნამე<sup>1</sup>

ეს ამბავი კი ასე დაიწყო – ერთ ლამეს მე და ბებია „აქბარალა შოფრის“ სახლში მისი ცოლის მოსანახულებლად წავედით. ფათემე, აქბარალას მეუღლე, შეუძლოდ იყო. ჩვენ ცოტაოდენი შაქარყინულით დავიმშვენეთ ხელი და მას მოსაკითხად ვეს-ტუმრეთ.

ოთახში წრიულად ვისხედით. წინ ყურძენი და ჩაი გვედგა, თვითონეული ჩვენგანი რაღაცას ჰყვებოდა. აქბარალა ბანდარ-აბასში<sup>2</sup> თავისი მოგზაურობის ამბავს მოგვითხოვდა, იხსენებდა ცუდ გზებსა და უღელტეხილებს, იმას, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი, რანაირი ზღვა, რა უზარმაზრი თევზები და გაუსაძლისი სიცხე იყო იქ. ენად გაიკრიფა და პირს აღარ აჩერებდა. მეც მთელი გულისყურით ვცდილობდი მის სიტყვებში ჩაწვდომას.

აქბარალას თხრობას თვალებით მივდევდი. თითქოს იმ ოთახში არც ვიყავი. საკუთარი თავი მის ადგილას დამეყენებინა,

აქბარალას სიტყვების კვალდაკვალ წარმოსახვით დავდიოდი ბანდარ-აბასში, აქეთიქეთ დავეხეტებოდი და, რასაც ის ამბობდა, ყველაფერს თვალნათლივ ვხედავდი. როცა ჩაის დასალევად ან ყურძნის მარცვლის პირში ჩასადებად საუბარს წყვეტდა, ვუბრუნდებოდი საკუთარ თავს და ვნატრობდი აქბარალას ადგილას ყოფნას, რათა მომევლო მთა, ველი, უდაბნო, ქალაქი და სოფელი, ყველაფერი კარგად დამტევალიერებინა და შემდეგ, თუ ამის საშუალება მომეცემოდა, ჩამოვმჯდარიყავი, ყურძენი და ჩაი მეგემა, ირგვლივ ხალხი შემომეკრიბა და მადიანად და მაღალფარდოვნად შევდგომოდი ამბის მოყოლას. საერთოდაც მსიამოვნებდა მოგზაურობის შთაბეჭდილების მოსმენა. ოცდაათი წლის წინ ცხონებულმა ბებიაჩემმა ნათესაობასთან ერთად ვირით იმოგზაურა მაშპადში<sup>3</sup> იქაური სიწმინდეების მოსალოცად.

ასჯერ ჰქონდა მოყოლილი თავისი მოგ-

<sup>1</sup> საფარნამე – მოგზაურობის წიგნი.

<sup>2</sup> ბანდარ-აბასი – ირანის მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი სპარსეთის ყურეში.

<sup>3</sup> მაშპადი – შიიტების წმინდა ქალაქი ხორასანში, სადაც მდებარეობს იმამ რეზას აკლდამა.

ზაურობის ამბავი. დაწვრილებით აღწერდა ნანას – იმამ რეზას აკლდამის სიდიადეს, მინარეთებსა და მოედანს, ასმალ-თალაის საყახანას<sup>1</sup>, მაშტადის მდიდრულ ბაზარს, სასტუმროს, იქაურ ცხოვრებას და ყოველ ჯერზე ახალ რამეს იხსენებდა თავისი პილიგრიმობიდან. ჰყვებოდა და მეც, თავიდან ფეხებამდე სმენად ქცეული, მივაბიჯებდი საოცნებო სამყაროში. არც ის იღლებოდა და არც მე დროდადრო მესიზმრებოდა, თითქოს მეც მიწევდა მოგზაურობა. დილით, გაღვიძებისთანავე ვიწყებდი ამ სიზმრის მოყოლას და მის გაზვიადება-შელამზებას.

აქბარალა მხურვალედ და გულშიჩამნვდომად ლაპარაკობდა, ნელ-ნელა სიტყვას სიტყვა მოჰყვა და მეც ჩავერთე საუბარში:

– აქბარალა, რა ბედნიერი კაცი ხართ, მანქანა რომ გყავთ და ყველგან დაიარებით! ნეტავ მე ვიყო თქვენს ადგილას!

ეს რომ ვთქვი, აქბარალას ცოლმაც დაუმატა: „აქბარ, ერთხელაც გაიყოლიე მაჯიდი. ეგებ გაიგოს, რომ მგზავრობა არც ისე იოლია“.

აქბარალამ შემომხედა და ბოლოს თქვა: „ეგრე იყოს, სწორედ ხვალ ვაპირებ მანქანის შესაკეთებლად ისპაპანში წასვლას და უკან ვბრუნდები. თუ ბებია ნებას დართავს, დავიმგზავრებ. თანაც ზაფხულის არდადე-გებია და უსაქმოდაა.“

აქბარალას პირიდან ამ სიტყვების გამოფრენისთანავე, ჰაერშივე ვწვდი მათ და ბებიას შევუწიდი: „გამიშვი ისპაპანის სანახავად! სამახსოვროდ საჩუქარსაც ჩამოგიტან და იმასაც მოგიყვები, სად ვიყავი და რა ვნახე. ეგ კი არა, რასაც ვნახავ, დავწერ. გამომივა „ისპაპანის საფარნამე“. მერე ამ საფარნამეს წაგიკითხავ... თანახმა ხარ?“

ბებია ერთხანს შეყოყმანდა, საკითხი

გულში აწონ-დაწონა და ბოლოს თქვა: „კარგი, წადი“.

შემდეგ აქბარალას დამუნათება დაიწყო: „ღვთის გულისათვის, მიხედე, რაიმე უბედურება არ მოიწიოს, სადმე არ წავიდეს, არ დაიკარგოს“. ასეთები სხვაც ბევრი მოაყოლა.

მოკლედ, გადაწყდა, რომ მეორე დღეს ისპაპანისაკენ დავიძვრებოდით. აქბარალა თავის სატვირთო მანქანას იქაურ კარგად გამართულ პროფილაქტიკებში მოაწესრიგებდა და ბედაურად აქცევდა, მე კი გულდაგულ დავივლიდი ისპაპანის ყველა კუთხე-კუნძულს, თავიდან ბოლომდე დავათვალიერებდი მის ყველა ისტორიულ ძეგლს, პროსპექტსა და ქუჩას და დარდს განვიქარვებდი.

ძალიან კარგად მახსოვს, ისპაპანში გამგზავრების წინა ლამეს აღგზნებულობისა და სიხარულისაგან ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია. ვფურცლავდი გეოგრაფიის სახელმძღვანელოს, ყურადღებით ვკითხულობდი და ვიზეპირებდი იმ ადგილებს, სადაც კი რაიმე ეწერა ისპაპანზე, მის ისტორიულ ძეგლებზე, მდინარეებზე, მთებზე, მოსახლეობაზე, კლიმატზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ქარხნებზე, ხალხურ რეწვაზე, გავხუნის წყალსატევზე,<sup>2</sup> ხალიჩების ქსოვასა და ვერცხლის ჭურჭლის მოსევადებაზე. თითქოს გამოცდა მქონოდა ჩასაბარებელი. წიგნიდან ამოვხიე ირანის რუკა და გავაკარი კედელზე. რუკაზე მოვძებნე ისპაპანი, თვალისა და თითის მიდევნებით დავიძარი ქერმანიდან, მივადექი და გავცდი რაფსანჯანს, იაზდსა და არდაქანს.<sup>3</sup> ბოლოს ჩავედი ისპაპანში. რუკაზე მოძრაობისას, გზის მოსახვევებს და აღმართებს რომ გავდიოდი, ნელ-ნელა ვაწვებოდი გაზის პედალს, ენითა და ტუჩებით საბარგო მანქანის ხმას გამოვცემდი, ვიდ-

<sup>1</sup> ასმალ-თალაის საყახანა – ოქროს გუმბათიანი ნაგებობა იმამ რეზას კომპლექსში, სადაც მომლოცველები წყურვილს იკლავენ. აშენებულია ყაჯარი ფათალიშმაცის სარდალ ისმაილის მიერ.

<sup>2</sup> გავხუნის წყალსატევი – ბუნებრივი წყალსატევი ისპაპანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 167 კმ დაშორებით, სადაც ჩაედინება მდინარე ზაიანდერული.

<sup>3</sup> ქერმანი, რაფსანჯანი, იაზდი, არდაქანი – ირანის ქალაქები, რომლებზეც გადის მარშრუტი აღმოსავლეთიდან დასავლეთით ისპაპანისაკენ.

რე ბებიას მოთმინების ფიალა არ აევსო და არ დამიყვირა:

— კმარა, წადი, დაიძინე! დილით ქვეყანა საქმე გელის.

მაგრამ მე თითქოს ვერაფერი გავიგე. კვლავინდებურად ისპაპანზე ოცნებით გატაცებული, ვყვებოდი ალიყაფუს<sup>1</sup>, მენარჯონბანისა<sup>2</sup> და ჩეპელ-სოთუნის<sup>3</sup> შესახებ, წიგნში ვუთითებდი მათ ფოტოებზე, იქამდე, ვიდრე ქანცი არ გამიწყდა. გავიხედე და დავინახე, ბებიაჩემს ღრმად ჩასძინებოდა და სიზმარში შვიდ ფადიშაჲს ხედავდა<sup>4</sup>. წელ-წელა მეც ჩამომეძინა გეოგრაფიის სახელმძღვანელოზე.

ბებიამ დილაუთენია გამაღვიძა. საგზალი გამიმზადა. არც მე ვყოფილვარ უსაქ-მოდ, საუზმე მოვციცქნე, მოვაჯექი ველო-სიპედს და, ვინც კი ნათესავი, მეგობარი და მეზობელი მყავდა, ყველას ვაცნობე, რომ ვაპირებდი ისპაპანში გამგზავრებას. ვინც სახლში არ დამხვდა, ბარათი დაუუტოვე: „თქვენს მონა-მორჩილ მაჯიდს მოულოდ-ნელად მოუნია ისპაპანში გამგზავრება, ღმერთს ებარებოდეთ თქვენ და თქვენი პა-ტივცემული ოჯახობა. თუ ჩემგან რაიმე ავი გინახავთ, შემინდეთ“ და წერილს კა-რის ღრიჭოდან ვაცურებდი სახლში.

შუადღის ლოცვამდე ერთი წამითაც არ მომისვენია. დავქროდი და მთელ ქალაქს ვატყობინებდი, რომ მივდიოდი ისპაპანში.

ბაზართან ახლოს, წიგნის მაღაზიაში, ერთი გახუნებული ასფურცლიანი ბლოკ-ნოტი ვიყიდე და ლერწმის ყალმით ძალიან ლამაზი ხელით მსხვილად ყდაზე დავანერე „ისპაპანის საფარნამე“. ქვევით უფრო წვრილად მივაწერე: „ავტორი – მაჯიდი“ და ძირის გუმბათი და მინარეთი მივახატე. პირ-

ველი გვერდის თავში დავწერე: „ვუძღვნი ძვირფას ბებიას და აქბარალა შოთერს, რო-მელთა დიდ გარჯასაც ვუმადლი ისპაპანში ჩემს მოგზაურობას“.

შუადღის მერე, როცა აგრილდა, ბებიამ სარკისა და ყურანის ქვეშ გამატარა<sup>5</sup> და აც-რემლებული დიდხანს მარიგებდა. სატვირ-თო მანქანა მზად იყო. ჩემი საფარნამე და გეოგრაფიის სახელმძღვანელო ამოვილ-ლიავე და მაღლა ავედი. მივუჯექი აქბარა-ლასა და მის შეგირდს. მანქანამ დაიფრუ-ტუნა, რის ვაი-ვაგლახით დაიძრა და გზას გაუდგა.

ქალაქის კარიბჭიდან გავედით თუ არა, ჯიბიდან კალამი დავაძრე, საფარნამე გა-დავშალე და დავწერე: „დაახლოებით სამი საათია, რაც დავიძარით ქერმანიდან ისპა-პანისაკენ. ამჟამად თქვენი მონა-მორჩილი ვზივარ აქბარალას მანქანის კაბინაში. საი-თაც არ გაიხედავ, სულ უდაბნოა, ერთი ღე-რი ბალახი და ერთი ხეც არ მოიძებნება. სა-დამდისაც თვალი მიწვდება, სულ ქვიშაა. შორს ვხედავ ნაცრისფერ და ყავისფერ მთებსა და გორაკებს. გეგონება, მაღალმა ღმერთმა მუშტში მოიქცია რბილი მიწა, მე-რე თითებს შორის გამოსცრა და წელ-წელა ჩამოყარა ძირს, საიდანაც გაჩნდნენ მთები და გორაკები. აქბარალა კარგი ადამიანია. კარგად მართავს მანქანას. ახლა მღერის. სასიამოვნო ხმა არ აქვს, მაგრამ გულს ხვდება და მაინც სჯობს მანქანის ხმაურსა და ქარის შხუილს. სულ ამ ლექსს ღილინებს და, ასე მგონია, სხვა ლექსი არც იცის:

„ეკთილდელეობა ამქვეყნად მხოლოდ თავხედთა ხევდრია,

საკუთარ გულის გამოჭმა მორცხვად შობილთა ბედია“.

<sup>1</sup> ალიყაფუ – შაჲ აბასის სასახლე ისპაპანის მთავარ მოედანზე – „ნაყშე ჯაპანზე“.

<sup>2</sup> მენარ-ჯონბანი – მოქანავე მინარეთი, ისპაპანის არქიტექტურული და ისტორიული ღირსშე-სანიშნაობა. ეს ორმინარეთიანი ნაგებობა იმითაა გამორჩეული, რომ ერთი მინარეთის გატოკე-ბით მეორე მინარეთიც იწყებს რევას.

<sup>3</sup> ჩეპელ-სოთუნი – ე.წ. „ორმოცხვეტიანი“ სასახლე – შაჲ აბასის სასახლე ისპაპანში. მას რეა-ლურად 20 სვეტი აქვს, რომლებიც ირეკლება სასახლის წინ არსებულ აუზში და ამის შედეგად მნახველის თვალში სვეტების რაოდენობა ორმაგდება.

<sup>4</sup> ძირში შვიდი ფადიშაჲს ნახვა – სპარსული ხატოვანი გამოთქმა ღრმა ძირის აღსანიშნავად.

<sup>5</sup> სარკისა და ყურანის ქვეშ გატარება – რიტუალი მგზავრობის წინ ავი თვალისგან დასაცავად.

მისი შეგირდი, სახელად ფაზლოლა, ახალგაზრდაა. ის ახლა თვლემს. ვგონებ, ცუდი ზნის ადამიანი უნდა იყოს.

მანქანის კაბინაში ძალიან ცხელა. მზე აჭერს მანქანის საქარე მინას და ადამიანს სახეს უწვავს. ჯერ სადაა, მაგრამ უკვე აქედან შევიგრძნობ ისპაპანის სურნელს“.

ჩქარ-ჩქარა ვწერდი. უნიგნური აქბარალა მალიმალ ჩემი ხელებისაკენ იხრებოდა იმის სანახავად, თუ რას ვწერ, მაგრამ წაკითხვას ვერ ახერხებდა. სატვირთო მანქანა წიოდა, ხვნეშოდა, ოლროჩოლროებში ზევით-ქვევით ხტუნაობდა და ირყეოდა. ხელი მიკანკალებდა. სწორ ხაზზე ვერ ვწერდი და სიტყვები ერთმანეთში იხლართებოდა. ბოლოს აქბარალას მოთმინებამ უმტყუნა და მკითხა: „ერთი მაჩვენე, ბიძიკო, რას წერ? შენს ბებიკოს ხომ არ უწერ წერილს, რომ არ იდარდოს? შენ უფრო ჩქარა დაუბრუნდები, ვიდრე ეს ბარათი მიაღწევს მასთან“.

ვუპასუხე: „რასაც ვხედავ, ყველაფერს აღვწერ. რომ დავბრუნდებით, მინდა წიგნად ვაქციო. წიგნს კიდევ თქვენ და ბებიას გიძლვინით“.

ჩაიცინა და მითხრა: „უყურე შენ! ნეტავი შენ, წიგნის დაწერას რომ აპირებ! მერე, რა გამოვა? წადი, ბიძიკო, ლუკმაპური იშოვე, თორემ ორიოდ დღეში შენი შემოსავალი შენს ხარჯებს ვეღარ გასწვდება!“

ხასიათი გამიფუჭა, მაგრამ გარეგნულად არ შევიმჩნიე. ვწერდი და ვწერდი, ვიდრე არ დაბინდდა და გამიჭირდა ხაზების გარჩევა.

ღამით ერთ ყავახანაში დავბინავდით. მეპატრონის მიერ მოცემული ლამპის ქვეშ გავშალე ჩემი საფარნამე და დავწერ:

„ღამით შევედით ყავახანაში, რომელიც რაფსანჯანის ზემოთ მდებარეობს. მანქანიდან ჩამოსვლისას ფაზლოლამ შეამონმა საბურავები და ნახა, რომ ცოტა დაშვებულია. გადმოიღო ტუმბო და შეუდგა ჰაერის დამატებას. მეც დამიძახა დასახმარებლად. ძალა არ მეყო. ტუმბო მძიმე იყო და ვერ ვა-

ხერხებდი მისი სახელურის ჩამონევას. გაჭირვებით რამდენჯერმე დავაწერი, მკლავები ამტკივდა. შოთრის შეგირდობა ძალიან ძნელი საქმეა. კარგია, როცა კაცი შოთრია. აქბარალა ყავახანაში ტახტზე ზის და ყალიონს ეწევა, ამ დროს კი მისი შეგირდი გარეთ აწვება ტუმბოს და ბერავს მანქანის საბურავებს. მედუქნემ წინ დამიდგა ერთი ჭიქა ჩაი. მის დაყენებულ ჩაის ცუდი სუნი ასდის და არც გემო უვარგა. მისი მოტანილი კვინიტი შაქარიც მტვრიანია. შაქრის ნატეხები სიპი ქვებივითაა. რომ მოკლა, ბებიაჩემი ამნაირ ჩაისა და შაქარს პირს არ დააკარებს. ნეტავ, ახლა რას აკეთებს ბებო? არ ვიცი, როდის ჩავალთ ისპაპანში. აქბარალას კი ვკითხე, როდის მივაღწევთ ისპაპანს-მეთქი და მიპასუხა – როცა ღმერთი ინებებსო“.

მედუქნემ ნახევრად მოკლებული ჩაის ჭიქა ამაცალა, ხელებზე დამხედა და მკითხა: „პავშვო, რას წერ“?

პასუხი აქბარალამ გასცა: „წიგნის წერითაა დაკავებული“. ერთგვარი დაცინვით თქვა. მედუქნემ თავი გააქნია, მხრები აიჩერა და უთხრა: „წიგნი მქონდა ამირ-არსლანზე<sup>1</sup>. თუ ვინმე განათლებული ადამიანი შემოდიოდა, ვაძლევდი, რომ ცოტაოდენი წაეკითხა ჩემთვის. არ ვიცი, ვინ ამნაპნა“.

მერე მომიბრუნდა და მითხრა: „ჩემი ცხოვრების წიგნი დაწერე, ისე დაწერე, რომ ამირ-არსლანის წიგნზე უფრო ტკბილი იყოს“.

მედუქნისა და აქბარალას ყველა სიტყვა ჩავწერე ჩემს საფარნამეში.

ორი დღე და ორი ღამე გზაში ვიყავით. ისპაპანს გარიურაჟის სიგრილეში მივაღწიეთ. ისპაპანში შესვლისთანავე გული ამიჩქროლდა. მინდოდა, ეგრევე გზას დავდგომოდი, ისპაპანის ყველა ადგილი მომენახულებინა, ყველგან მეხეტიალა და დამესრულებინა ჩემი საფარნამე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვარიანად ბნელოდა და, მთლად უარესი, ის პროფილაქტიკა, სადაც

<sup>1</sup> ამირ არსლანის ამპავი – ნასერ ედ-დინ შაჰ ყავარის პერიოდის პოპულარული ხალხური მოხსრობა.

ჩვენი სატვირთო მანქანა უნდა გარემონტებულიყო, ქალაქები იყო. გავიარეთ ცარიელი ქუჩები. პროფილაქტიკა და კეტილი დაგვხვდა და გათენებამდე იქვე, კართან გავჩერდით. აქბარალამ და ფაზლოლამ მყისვე არხეინად დაიძინეს. მაგრამ მე რა დამაძინებდა? მზის ამოსვლამდე მანქანის გარშემო ვცემდი ბოლთას. ვუყურებდი ცას და ვარსკვლავებს, განთიადის თეთრ ბურუსს, რომელიც ჰაერში და მიწაზე მიიზღაზნებოდა. ციოდა, მეც სიცივემ ამიტანა. თუმცა ისპაპანის ცისა და ვარსკვლავების აღწერით მაინც გავავსე საფარნამეს ხუთი-ექვსი გვერდი.

მზის ამოსვლისთანავე მანქანის კაბინაში მძინარე აქბარალას მივადექი. შიშით, ხელის კანკალით და მორიდებით გავაღვიძე, რომ ამდგარიყო და წავსულიყავით ისპაპანის დასათვალიერებლად. აქბარალამ თვალების ფშვნეტით უხასიათოდ მითხრა: „შენ რა, უძილობა გჭირს?“.

ვუპასუხე: „აქბარალა, ეს ხომ ისპაპანია... აქ როგორ შეიძლება, რომ ადამიანს ეძინოს? აქურობა ხომ სავსეა ათასნაირი ღირსშესანიშნაობით, შეიხ ლოთფოლას მე-ჩეთი,<sup>1</sup> ჩაპარბალი,<sup>2</sup> ჩეპელსოთუნი და ...“

სიტყვა გამაწყვეტინა: „როგორ შევცდი, რომ წამოვიყვანე. თუ აქედან ფეხს მოიცვლი და წახვალ, დაიკარგები. მერე ბებიაშენს რა პასუხი გავცე?“.

ახლა საბარგულში მძინარე ფაზლოლას დავადექი თავზე, რომლის ხვრინვა ცას სწვდებოდა. გალვიძება ვერ გავბედე. საფარნამეში კი აქბარალას და მისი შეგირდის ცუდი ხასიათის შესახებაც დავწერე. ამასობაში პროფილაქტიკის ჭიშკარიც გაიღო.

აქბარალამ მანქანა პროფილაქტიკაში შეიყვანა და იქაურებს მიესალმა. მერე წავისაუზმეთ. აქბარალამ სამუშაო ტანსაცმელი ჩაიცვა, რამდენიმე მუშასა და ფაზლოლასთან ერთად ეძგერა სატვირთოს და დაინტეს ძრავის მოხსნა. მე კიდევ საფარნამეთი ხელში, გულგატეხილი დავყიალობდი

შორი-ახლოს და დაკარგვის შიშით ვერ ვბედავდი პროფილაქტიკიდან გასვლას. ისე-დაც აქბარალა მარტოს არ გამიშვებდა ქალაქში.

აქბარალამ რომ დამინახა, უსაქმოდ ვიყავი და უაზროდ ვარტყამდი წრეებს სატვირთოს, დამიძახა: „ბიძიკო, მოდი, მოგვემველე, ანდა სადმე კუთხეში დაჯექი და წიგნი დაწერე“.

მე რისი გამკეთებელი ვიყავი? – ისევ შევუდექი საფარნამეს წერას. ერთი ხელოსანი ჭანჭიკის უშვებდა. მას შევეკითხე: „ჩაპარბალი როგორი ადგილია?“

მიპასუხა: „ჩაპარბალი ის ადგილია, რომელსაც ჩაპარბალი ჰქვია“, – და ხარხარით გააგრძელა ჭანჭიკის მოშვება.

უკვე მოთმინებას ვკარგავდი. ჩემი საფარნამე გადავშალე, პროფილაქტიკის კუთხეში დაგდებულ, ჯართად ქცეულ და გამოუსადეგარ სატვირთო მანქანასთან დავჯექი და დავწერე:

„ისპაპანის ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად ამ ქალაქს მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოაშურებს ხალხი და ტკბება მათი ლამაზი შორენკეცების ცქრით. ისპაპანის კლიმატი ცუდი არაა. დილისაკენ ცივა, მაგრამ მზის ამოსვლისთანავე თბება. ისპაპანში ბევრი პროფილაქტიკაა. მე თავად ერთი მათგანი ვნახე. ქერმანში კარგი პროფილაქტიკები არაა. სატვირთოების მეპატრონეებს თავიანთი მანქანები აქ მოჰყავთ ხარისხიანად შესაკეთებლად. პროფილაქტიკაში ყველგან წააწყდები ჭუჭყიან, დამწვარი ზეთით გაუღენ-თილ ჩვრებს. ხელოსნები ენაკვიმატი ხალხია, გაუთავებლად ეხუმრებიან ერთმანეთს და იცინიან. აქური ჩაი ყავახანის ჩაის ჯობს. კვნიტი შაქარიც კარგია. არაა გამორიცხული, რომ აქ შაქრის ქარხანაც იყოს“.

ამას ვწერდი, როცა წინ გამიარა ერთმა ხელოსანმა ქანჩით ხელში. ვკითხე: „ბატონი, ჩეპელსოთუნი როგორი ადგილია?“

მიპასუხა: „ჩეპელსოთუნს ოც სვეტზე

<sup>1</sup> შეიხ ლოთფოლას მეჩეთი – ულამაზესი მეჩეთი ისპაპანის „ნაყშე ჯაპანის“ მოედანზე.

<sup>2</sup> ჩაპარბალი – ისპაპანის მთავარი პროსპექტი.

მეტი არ გააჩნია. ორმოცსვეტიანს რატომ უნდებენ, ეგ ლმერთმა უწყის“. ეს მითხვა და წავიდა.

შუადღე დადგა. აქბარალას საქმეს კი ბოლო არ უჩანდა. უკვე მწყობრიდან გამოვდიოდი. ჩემს საფარნამეში ყველაფერი ჩავნერე, რაც კი ვნახე პროფილაქტიკის კუთხე-კუნძულებში. ორი საათი იქნებოდა, როცა პროფილაქტიკის მეზობელ სასაუზმეში კაცი გააგზავნეს დიზის<sup>1</sup> მოსატანად. სადილი მივირთვით თუ არა, ეგრევე ჩავწერე ჩემს საფარნამეში: „ისპაპანური დიზი გემრიელია. მასში ბევრი ხორცია. რადგანაც ამ ქალაქში მარცვლეული ბევრია, მუხუდოს, ოსპს და კარტოფილს ბევრს უშვრებიან. ისპაპანის წყალი არ ვარგა. ცუდი გემო აქვს და ცოტა მლაშეცა. იმ წყალს ჰეგავს, ქერმანში ჭიდან რომ ვიღებთ. მაგრამ ქერმანის ჰეგავინაბადის უბნის წყალივით გემრიელი და მტკნარი არაა. დიზის მერე ერთი ჭიქა წყალი დავლიე და მივხვდი, როგორი წყალიცაა. ერთი მოხარული კარტოფილი ავიღე და ჯიბეში ჩავიდე. სალამოს გავფცევნი და შევჭამ. ძალიან მსხვილი კარტოფილია. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ისპაპანში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ძალიან განვითარებულია“.

ნაშუადღევს უცებ აზრად მომივიდა სატვირთო მანქანის კაბინის თავზე ასვლა და იქიდან ქალაქის დათვალიერება. კარგი ჩანაფიქრი იყო. ავიღე ჩემი საფარნამე და გეოგრაფიის სახელმძღვანელო და ფრთხილად, კატასავით ავძვერი აქბარალას მანქანზე. დავჭაქი კაბინის თავზე დადგმულ საბარგულში, გადავხედე ქალაქს და დავინ-ყე წერა:

„მე ახლა სატვირთოს თავზე ვზივარ. ზაფხულის მხურვალე მზე კეფაზე მაჭერს და საშინლად მწვავს. ისპაპანში უზარმაზარი ხეებია, რომლებიც ფარავენ ლამაზად მოხატულ მინარეთებსა და გუმბათებს. ამ-ჟამად შესაძლებელია ხეებს მიღმა რამდენიმე მინარეთისა და ერთი გუმბათის და-

ნახვა. ცისფერი გუმბათია. ერთი დიდი, შავი ყვავი ზის ხის წვეროზე და ქანაობს. ყვავი ფარავს გუმბათს. ყვავი თუ გაფრინდება, გუმბათს უკეთ დავინახავ. ამ გუმბათის თავს კი ვხედავ, მაგრამ არ ვიცი, რომელი მეჩეთის გუმბათია. ალიყაფუს სასახლეს ვერ ვხედავ. აქედან სიოსეფოლის ხიდის<sup>2</sup> დანახვაც შეუძლებელია. აი, ყვავი გაფრინდა და ახლა გუმბათს უკეთესად ვხედავ“.

ქვევიდან მომესმა აქბარალას და რამდენიმე მუშის სიცილის ხმა. ხარხარებდნენ. აქბარალამ ხმამალლა მითხვა:

„მაჯიდ-ხან, მგონი, ტვინი გელრძო. იცი, რას გეტყვი, ბიძიკო, ამ სიცხეში არავინ ადის ამ სიმაღლეზე წიგნის საწერად. ძირს ჩამოდი, ბიძიკო, მზე დაგკრავს თავში და საქმეს გაგვიჩნენ“.

სხვა გზა არ მქონდა, საფარნამე შუა გზაზე მივატოვე და ძირს ჩავედი. გეოგრაფიის სახელმძღვანელო გადავშალე და იქიდან დავინ-ყე გადაწერა ჩემს საფარნამეში. ისე ვწერდი, თითქოს ყველაფერი საკუთარი თვალით მენახოს.

ღამით დავიძინეთ. მეორე დღესაც იგივე სადარდებელი მქონდა. საფარნამეთი ხელში გარს ვუვლიდი სატვირთო მანქანას და, თუ რაიმე ახალს დავინახავდი, ვწერდი. ერთხელაც გავთამამდი და პროფილაქტიკიდან გარეთ გავედი. რამდენიმე ნაბიჯის მერე ირგვლივ მიმოვიხედე. შევძრწუნდი. დაკარგვის შიშმა შემიპყრო. აქბარალასაც გავანაწყენებდი. უკან მივბრუნდი და პროფილაქტიკის დარაჯს ვკითხე: „ძიაკაცო, მენარ-ჯონბანი რანაირი ადგილია?“

მიპასუხა: „მენარ-ჯონბანი ადგილი კი არა, მინარეთია, რომელიც ირყევა. ბოლოს და ბოლოს ერთ დღესაც დაბერდება და ალარ ექნება განძრევის თავი“.

დაბინდებამდე ასე მოვცდი, ხელებში მივჩერებოდი აქბარალას, როდის მორჩებოდა თავის საქმეს. როგორც იქნა, საქმე დასრულდა. ხელ-პირი დაიბანა, ტანისამოსი

<sup>1</sup> დიზი – ქოთანში მომზადებული ტრადიციული ირანული ხორციანი წვნიანი.

<sup>2</sup> სიოსეფოლის ხიდი – შაჳ აბასის ვეზირის, ქართველი ალავერდიხან უნდილაძის მიერ აშენებული 33-თაღიანი ხიდი ისპაპანში მდინარე ზაიანდერუდზე.

გამოიცვალა და მითხრა: „წავედით, მაჯიდ-ჯან, მოვრჩით“.

გახარებულმა ვკითხე: „სად მივდივართ, ჯერ ხაჯუს ხიდი<sup>1</sup> ვნახოთ, მერე ჩაპარბალი, მერე...“

გაეცინა, ჩაახველა და მითხრა: „ალაპის ნებით, სხვა დროს. თავადაც ნახე, რომ ცოლი ავად მყავს. აქ დარჩენა არ შემიძლია. სხვა დროს რომ ჩამოვალთ ისპაპანში, ყველა ადგილს ერთად მოვივლით და შენც შენს წიგნში ყველაფერს ჩაწერ“.

თითქოს ერთი სათლი ცივი წყალი გადამასხეს თავზე. სახტად დავრჩი, ენა ჩამიგადა. აქბარალა ავიდა მანქანაში. მეც, სხვა რა გზა მქონდა, მივყევი და გვერდით მივუჯექი. ფაზლოლაც ამოვიდა. გავიარეთ ისპაპანის ქუჩები და სიოსეფოლი. ლამის იყო, თვალებით შევჭამე მთელი სიოსეფოლი, დუქნები, ხეები და ყველაფერი, რასაც ვხედავდი. წერის საშუალება არ იყო. გიაზის<sup>2</sup> დუქანთან გავჩერდით. თითოეულმა ორ-ორი კოლოფი გიაზი ვიყიდეთ და კვლავ გავუდექით გზას. მთელი ღამე ვიარეთ გათენებამდე.

მეორე დღეს ჩემი საფარნამეს ბოლო ფურცელზე დავწერე:

„ისპაპანის ისტორიული ძეგლების ნაკლი იმაშია, რომ ისინი მინაზე არიან აშენებული. დიდი, ცას აწვდენილი ხეები და რამდენიმესართულიანი სახლები არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ სატვირთო მანქანაში მჯდომმა დაინახოს ისინი. ჩაპარბალი და სიოსეფოლი მაღალ სვეტებზე რომ აღმართათ, ადამიანი მათ უკეთესად დაინახავდა. ვინც ისპაპანში ჩასვლას დააპირებს, აჯობებს, თან გაიყოლოს ძლიერი და დიდი დურბინდი, რათა შორიდანაც შეძლოს ისტორიული ძეგლების ნარმტაცი შორენკეცების დანახვა. თუ მოგზაური განიერ ქუდს ან ქოლგას იქონიებს, მზე აღარ დაუნვავს კეფასა და თავს. კიდევ იმის თქმა მინდა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი ისპაპანის პროფილაქტიკებს ისტორიული ძეგ-

ლების სიახლოვეს ააშენებდნენ. ვისაც პროფილაქტიკაში ექნებოდა საქმე, კარგად შეეძლებოდა მათი დათვალიერება. კიდევ ის, რომ ისპაპანის მცხოვრებლებმა არ უნდა დაუშვან მათი ისტორიული ქალაქის ხეების სიმაღლეში ზრდა, რათა მათ არ დაფარონ ისტორიული ძეგლები. აჯობებს, რომ რამდენიმე ადამიანს მისცენ ფული, გაახედონ ქალაქის ყველა კუთხე-კუნძულში არ-სებული პროფილაქტიკებიდან და დაუყოვნებლივ მოჭრან ყველა ხე, რომელიც ეფარება მინარეთებსა და გუმბათებს. ასევე, ფული მისცენ მარჯვე და დახელოვნებულ მსროლელებს და მათ დაავალონ, ყოველგვარი სიბრალულისა და სინდისის ქენჯნის გარეშე დახოცონ აბეზარი, მაღლა მფრენი ყვავები, რათა ისინი თვალებში არ ეჩირებოდნენ მოგზაურებს. ყველაზე მნიშვნელოვნად კი იმას ვთვლი, რომ პროფილაქტიკების ხელოსნებსა და მესვეურებს ჩააგონონ, აუცილებლად მოინახულონ ამ ლამაზი ქალაქის ისტორიული ძეგლები, რათა შემდგომ შეძლონ პასუხის გაცემა მოგზაურთა კითხვებზე და...“

შინ რომ დავბრუნდი, წინ დავიდგი ყურძენი და ჩაი, შემოვიკრიბე ხალხი და დავიწყე ისპაპანის აღწერა. ისეთი რამეები მოვიგონე და ვთქვი, რომ მსმენელებმა ჭკუა დაკარგეს. ჩემი საფარნამეც ნელ-ნელა წავაკითხე ბებიას. ძალიან ისიამოვნა.

შემდგომ სკოლაშიც, გაკვეთილზე ვყვიბოდი ისპაპანში მოგზაურობის, ამ ქალაქის ისტორიული ძეგლების, ქუჩაბანდებისა და კუთხე-კუნძულების შესახებ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბავშვებმა „მაჯიდ ისპაპანი“ შემარქვეს და, როდესაც გეოგრაფიის მასნავლებელი იკითხავდა, „ბავშვებო, აბა, რომელი თქვენგანია ნამყოფი ისპაპანში?“ მე ვპასუხობდი: „მე ვიყავი“ და ბავშვებიც მიდასტურებდნენ. მერე მასნავლებელი მომმართავდა: „გამოდი და მოყევი, რაც ნახე, სხვებმაც რომ გაიგონ“. მეც, რაც კი ამომეკითხა გეოგრაფიის წიგნიდან, რაც

<sup>1</sup> ხაჯუს ხიდი – ისტორიული ხიდი ისპაპანში მდინარე ზაიანდერუზზე.

<sup>2</sup> გიაზი – ცნობილი ისპაპანური ტკბილეული, ნუგას ნაირსახეობა.

მენახა და მომესმინა ჩემი მოგზაურობისას, ერთმანეთს ვუმატებდი და ხატოვნად ვყვებოდი. ნასიამოვნები მასწავლებელი მეუბნებოდა: „ყოჩაღ, ბარაქალა“. მერე მიუბრუნდებოდა მოსწავლეებს: „აი, ესაა მოგზაურობისა და ქვეყნის სხვადასხვა ადგი-

ლის მონახულების შედეგი. ბავშვებო, ეცა-დეთ იმოგზაუროთ, სანამ შეგიძლიათ.“

რა აღარ ვიღონე, რომ ჩემი საფარისამე დამებეჭდა, მაგრამ ვერც ერთი სტამბა ვერ დავიყოლი.

### სპარსულიდან თარგმნა ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა

## თონე

მამას მეჩეთის წინ დაჯდომა და სალამ-ქალამის გაბმა არ შეეძლო. ქუჩაში თავჩაქინდობული მიდიოდა. ვაი და მისი სახის-თვის ვინმეს თვალი მოეკრა. ულვაშს, წარბს და წამწამს მაღავდა. რცხვენოდა. ბავშვები უტიფრად უცქერდნენ, მოზრდილები კი მასზე უთითებდნენ.

— ნახე, ნახე, თავი რა დღეში ჩაუგდია, წუნურაქობაა, აბა რაა?! შე კაი კაცო, გეთქვა და ვინმე დედაკაცი პურს დაგიცხობდა! ორი პურის საფასურს მისცემდი. ბავშვს ერთი ნატეხიც ჰყოფნის. ასე არ აჯობებდა, თავი ცა და ქვეყნის დასაცინი რომ გაიხადე?

ქალები ქირქილებდნენ:

— ღმერთო, შენ დავვიფარე, რა კაცები არიან! ჯერ არ მოვსწრებივარ, კაცს პური დაეცხოს თონეში!

— ეე, ვინც ავადმყოფ ცოლს ქალაქში მარტო გაუშვებს ...

— ნახე, ბაყალს ულვაში რომ დასწია?

— წარბები არ ნახე?! რომ გენახა, სიცილით მოკვდებოდი.

— კიდევ კარგი, ალმა არ დააბრმავა.

— ზაპრა ქალაქიდან რომ დაბრუნდება და ნახავს, მისი ქმარი რა დღეშია, დარდის-გან გული გაუსკდება.

მარიამს მამამისის ზურგს უკან ნათქვა-მისთვის ყურადღება რომ არ მიექცია, არ შეეძლო.

— მამა, რატომ დააცხვე პური?

— იმიტომ, რომ არ მინდოდა, ვინმესგან დავალებული ვყოფილიყავი. ისევ დავაც-

ხობ. აწი უფრო ყურადღებით ვიქნები, ცეცხლმა სახე რომ არ დამინვას.

— სად გინახავს, კაცი თონეში პურს აცხობდეს? სასაცილოა!

— ვინ გითხრა, რომ სასაცილოა? ქალაქში ყველა მეპურე კაცია და კაციშვილი არ დასცინის.

— მე ხომ არ ვყოფილვარ ქალაქში და არ მინახავს, კაცები პურს როგორ აცხობენ! დედა რატომ გაგზავნე ქალაქში მარტო?

— დედაშენი ბიძაშენთან წავიდა. ისე ცუდადაც არ იყო, რომ საქმეები მიმეყარა და გავყოლოდი. ცუდადაც რომ ყოფილიყო, ძმა წაიყვანდა ექიმთან. შენ ხომ უკვე დიდი ხარ — თერთმეტი წლის, ათასი ვინმეს უაზრო ლაპარაკს ყური არ უნდა უგდო.

მარიამს მამის ნათქვამი ესმოდა, სადღაც ეთანხმებოდა კიდეც, მაგრამ სხვებს ამას ვერ აუხსნიდა. კაცის პურის ცხობა ისეთ რამედ ითვლებოდა, რაც თან დასაცინი იყო და თანაც — საკვირველი.

— მამა, პური გაგვითავდა. გინდა, წავალ სოყრასთან, მოვიდეს ...

— არა, მე თვითონ დავაცხობ. ნაშუადლევს, სამსახურიდან რომ დავბრუნდები, დავაცხობ. არავისთვის თქმა არაა საჭირო, გესმის?

— სულაც წავიდეთ, ალისგან ვიყიდოთ პური. ის პურს ყიდის.

— კიდევ რა გინდა! ფქვილი და შეშა ჩვენი იყოს, მივიდეთ ალის თონესთან, ცალფეხზე დავდგეთ, თავი დავუხაროთ, ლამბა-

ქისოდენა ორი პური ხელის გულზე დაგვიღოს და მთელ ფული გამოგვართვას? მე თვითონ დავაცხობ პურს, ვისაც რა უნდა, ისა თქვას!

– წარბი და ულვაში?

– წარბს და ულვაშს რას ერჩი?! შენ პური გინდა, პურს მიიღებ.

– შენი პურები თან არც ვარგა, არ იცი პურის ცხობა.

– იმიტომ, რომ შენ არც გიქამია. მშიერი კაცი ქვასაც შეჭამს.

მამამ ბარი აიღო და სახლიდან გავიდა.

მარიამმა კარი დაკეტა. მერე წყლიანი ქვაბი ღუმელზე შემოდგა. წყალი რომ გათბა, ქვაბი აიღო, მძიმე იყო. მარიამს ხელები აუკანკალდა და ცოტა ღუმელზე გადაესხა. ცეცხლი ჩაქრა. ნახევრად დამწვარმა ხემ კვამლი დააყენა; თავისითვის ჩაილაპარაკა: „ეგ არაფერი, შემა ნელ-ნელა გაშრება“. ნელთბილ წყალში მარილი ჩაყარა. მოურია.

კიდევ რა უნდა გაეკეთებინა, აღარ ახსოვდა. მეზობელთან წავიდა:

– მაშ ქაბარი, ერთი მოთხოვნა მინდა დავწერო, დამეხმარეთ. ჩემი მოთხოვნის სათაურია „როგორ ცხვება პური“. ხვალ ხომ შაბათია და გაკვეთილზე უნდა წავიკითხო.

მეზობლისგან მობრუნებულ მარიამს ხელში ფურცელი ეჭირა:

„მარილს წყალში კარგად ვხსნით და შემდეგ ვსინჯავთ. მარილი ზომიერად უნდა ჰქონდეს, არც ცოტა და არც ბევრი. მერე მარილიან წყალს გობში ვასხამთ, რომ ცომი მოვზილოთ. შემდეგ ფქვილს და საფუარს ვყრით.“

მარიამმა მოზელილ ცომს ცოტა მოაგლიჯა და პატარა ხელისგულზე დაიდო. მეორე ხელით კი გამეტებით ურტყამდა. ცომის გუნდას დარტყმისას ტყაპუნი გაუდიოდა.

ცომი ამჟავებულიყო.

„შემდეგ, რომ შევამოწმებთ, ცომი ამოსული და ამჟავებული უნდა იყოს და გუნდების გასაკეთებლად მზადაა. თუ ცომი არ ამჟავდება, პური უფუარი დარჩება“.

მარიამმა ცომი კიდევ ერთხელ მოაგუნ-

დავა, გარშემო ფქვილი მიაყარა, გუნდები გააკეთა. გუნდები პატარა იყო, მისი პატარა მუჭისოდენა. მაგიდაზე ჩამოამწირივა. გახარებული იყო, კერჯერობით საქმე კარგად მიუდიოდა. ფეხებქვეშ ქვა დაიდო და თონეში ჩაიჭყიტა. თონე ძალიან დიდი იყო და, ფსკერს რომ ჩახედა, თვალთ დაუბნელდა:

„ღმერთმა არ ქნას, უცებ შიგ რომ ჩავვარდე!“ შიშმა შეიძყრო, „დავიცდი, სანამ მამა შინ დაბრუნდება. არა, ამდენი იმიტომ ვიწვალე, პური მე თვითონ დამეცხო და არა მამაჩემს!“

ეშინოდა, რამე არ მომხდარიყო: „თუ ყველაფერი სწორად არ იქნება, სადღაც საქმე აუცილებლად გაფუჭდება. ხომ არ წავსულიყავი და მეთქვა, მაშ ქაბირი, იქნებ მოხვიდეთ-მეთქი? არა, არ ივარგებს, მამა წამეჩსუბება.“

„შემდეგ თონეში ცეცხლი უნდა დაანთო და ისე უნდა გაახურო, რომ კედლები გათეთრდეს. თონე უნდა გახურდეს. თუ არა და, პურს არ მიიკრავს.“

თონეში ცეცხლი დაანთო, ფიჩხი ჩაყარა; ალი და კვამლი თონის კედლების დანახვაში ხელს უშლიდა. „აუცილებლად რამე მოხდება, ცუდი რამ. ცეცხლი პერანგის სახელოებს წაეკიდება და ნელ-ნელა მთელ ტანსაცმელს მოედება. ბავშვმა ცეცხლთან არ უნდა ითამაშოს, მაგრამ მე ხომ ბავშვი არ ვარ, თერთმეტი წლის ვარ?! ბებიაჩემი ათი წლის იყო, ბაბუაჩემს რომ გამოჰყვა, ათასი რამე იცოდა.“

დაელოდა, სანამ ალი მინელდა. ქვაზე შედგა და თონეში ჩაიხედა. ცეცხლიდან ამოვარდნილმა სიმხურვალემ სახე დაუწვა. წარბებზე ხელები იტაცა. „არა! წარბები, წამწამები და თმები დამწვება და შემეტრუსება!“

ალი მინელდა, ფსკერზე კუნძებს კვამლი ასდიოდა, თონის კედლები გათეთრებულიყო.

„ნახევრად დამწვარი შემა მაშით უნდა ამოილო, გადადო გვერდზე და წყალი დაასხა, რომ ჩაქრეს.“

მარიამს ეშინოდა, თონეში არ ჩავარდნილიყო: „ჩავვარდები, სახეს დავიწვავ,

თმაც დამეწვება. რაც არ უნდა ვიყვირო, ხმას ვერსად მივაწვდენ,“ ტირილი დაიწყო. ეშინოდა ნახევრად დამწვარი კუნძების ამოღების. თავი შეიგულიანა. მაშა აიღო, შემამდე საკმაო მანძილი იყო. ქვა ფეხქვეშ ქანაობდა. ფეხები უკანკალებდა. წავიდა და თოკი მოიტანა, კოჭთან შემოიჭირა. თოკის მეორე ბოლო მაგრად მიაპა ხეს, – თონეში თავით თუ გადაეშვებოდა, ფეხებით ხეს იქნებოდა მიბმული.

ფეხები მაგრად ჰქონდა დაბმული. შეშის ორი ნაჭერი, რომელსაც ბოლი ასდიოდა, ძლივსძლივობით ამოილო თონიდან და წყალი დაასხა. შეშა რომ ამოჰქონდა, თან სახე ეწვებოდა, ტუჩები და თვალები ეწვოდა, ცრემლი სდიოდა. კვამლი ითანტებოდა. „შემდეგ გუნდები უნდა აიღო და სათითაოდ გადააკრა ბალიშზე, მიაკრა თონის კედელს. რა თქმა უნდა, მანამდე თონის კედლებს სველი ცოცხით უნდა ჩამოფხიკო ჭვარტლი და ნაცარი, თორემ პურს არ მიიკრავს.“

თოკი ისე მაგრად ჰქონდა ფეხებზე მობმული, რომ თონის კედლების სველი ცოცხით გაწმენდა არ გასჭირვებია.

პირველი პური ზევით მიაკრა. თონის ფსკერიდან კვამლი კვლავ ამოდიოდა. კვამლი თვალში მოხვდა, დაეწვა. გაბრტყელებული ცომის გუნდა თონის კედელმა კარგად ვერ დაიჭირა, არ მიეკრო. მოიკეცა და თონეში ჩავარდა.

„აკი ვთქვი, რაღაც ცუდი მოხდება-მეთქი, და, აპა, ჩავარდა კიდეც! როგორ ამოვილო ახლა ცომი ფსკერიდან?!“ ტირილი დაიწყო. მერე ისევ თავი გაიმხნევა: „ეს ჯერ კიდევ მთლად ცუდი რამ არაა. დედასაც დამართნია ასე პურის ცხობის დროს.“

მოკეცილი და დამტვრეული ცომი ტკეცით ძლივს ამოილო. ხელები და თითები ეწვოდა.

სახეზე ალმური ასდიოდა. ლოყები და თვალები დასწითლებოდა: „ლმერთო, შენ მიშველე!“

მეორე პური უფრო ქვევით მიაკრა, ისევ

ვერ შეურჩია დრო – ცომი ისევ მოიკეცა და ჩავარდა: „შეახედა, ერთი, მამას, რა ვუქენი ცომს.....“

„თუ პურს იქ, ქვევით, მივაკრავ, კარგი იქნება.“

თონეს ქვევით პატარა ბზარი ჰქონდა. ამ ადგილს ხმირი მიკვრისგან პურის ნატეხი შერჩენოდა და დამწვარიყო. მარიამი თონეში ჩაეკიდა და საცხობ ბალიშზე გაბრტყელებული გუნდაც იქვე მიაკრა. ცომს კიდეები აუნია. მაშით განმინდა და კვლავ მიაკრა თონის კედელს. როცა თონეში ჩაეყუდა, ფეხზე მობმული თოკი გაიჭიმა. მარიამი დადგა. მარჯვენა ხელის ზედაპირი ეწვოდა. თითებიც ეწვოდა. ქალალდს დახედა: „პურის დაცხობამდე მარჯვენა ხელზე წამოცმულ საცხობ ხელთაომანს მაჯაზე ძაფს შემოვახვევთ, რომ ცეცხლმა და თონის სიმბურვალემ ხელი არ დაგვიწვას.“

მარიამმა დედამისის „პურის საცხობი ტომსიკა“ მოძებნა, შიგ ხელი ჩაყო და ძაფი მაგრად გადაიჭირა მაჯაზე. თონეში ჩაიხედა. პური გამომცხვარიყო და იწვოდა.

„მას მერე, რაც პური გამოცხვება, დიდხანს თონეში ნუ დატოვებთ, რადგან გამოშრება. შესაძლოა, დაიწვას კიდეც და ცეცხლშიც ჩავარდეს.“

დაიხარა და ტკეცის კბილანებით გამომცხვარი პური თონიდან ამოილო. პურს ორთქლი ასდიოდა, თონეზე დადო და დახედა: „ბოლოს და ბოლოს გამოვიდა, პირველი პური გამომცხვარია!“ გაიღიმა და მეორე გუნდა თონეში ჩააკრა.

თონეში ჩაყრილი და ნახევრად დამწვარი გუნდები ნაცრიდან ამოილო. არ იცოდა, მათვის რა ექნა, სად დაემალა, რომ მამას თვალში არ მოხვედროდა.

ქუჩიდან მამას ფეხის ხმა მოისმა. დალლილი და მშიერი იყო. ირგვლივ ახლად გამომცხვარი პურის სუნი იდგა. შეისუნთქა. ეგონა, რომ პურის სუნი მეზობლის სახლიდან მოდიოდა. თავისთვის თქვა: „ნეტა ჩვენს სახლშიც აცხობდეს ვინმე პურს!“

## სარჩევი

### არაბული ლიტერატურა

<b>მიხაილ ნუაიმე,</b> სამოცდაათი წელი, ზეციური მამა და ამერიკაში მყოფი მამა,	
ბავშვობის მოგონებებიდან, თარგმანი მარიამ ქარდავასი.....	6
ბაბუაჩემი ბუ იუსიფი, თარგმანი მარიამ სიმონიშვილისა.....	19
<b>ატ-ტაიბ სალიჰი,</b> ერთი მუჭა ფინიკი, თარგმანი ლია ლონდარიძისა .....	23

<b>ლადა ას-სამანი,</b> ლექსები (ზღვის ქალი, შენი ყინულის სასახლის დედოფალი,	
სიყვარულის დილა), თარგმანი ნინო დოლიძისა .....	27

<b>საბრინ ას-საბალი,</b> SMS ლიტერატურა, თარგმანი იზოლდა გრძელიძისა.....	33
--	----

### თურქული ლიტერატურა

<b>ერპან დოლანი,</b> შენს ქვეყანაში მზიანი დღეები გამოვაგზავნე, თარგმანი მაყვალა	
ხარებავასი .....	47
<b>ოქთაი რიფათი,</b> წვიმის მოლოდინი, თარგმანი ნანა კაჭარავასი .....	49

### სომხური ლიტერატურა

<b>ნარ-დოსი,</b> სულზე მიუსწრო, თარგმანი ასია დარბინიანისა.....	69
---	----

### სპარსული ლიტერატურა

<b>ჰუშანგ მორადი-ქერმანი,</b> ისპაპანის საფარნამე, თარგმანი ნიკოლოზ	
ნახუცრიშვილისა .....	76
თონე, თარგმანი თამარ დემეტრაშვილისა .....	83

**სტამბოლი. აია სოფია.** მართლმადიდებლური ეკლესია - V-XV საუკუნეები.  
მეჩეთი - XV-XX საუკუნეები. ამჟამად -მუზეუმი.

ტირაჟი 50 (ორმოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com  
სწავლული მდივანი 599160619; E-mail: nanio@yahoo.com

